

არნოლდ ჩიქობავას
საკითხავები

XXX

2019

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXX

2019 წლის 20-23 მაისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2019

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის **სბდომათა დარბაზში**
(პ. ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორი — **ვ. ჴენგელია**

© თსუ არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2019

ISBN 978-9941-13-849-2

მ უ შ ა ო ზ ი ს გ ე გ მ ა

20 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **თ. ვაშაკიძე, მ. სუხიშვილი**

- ბ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, შესავალი სიტყვა
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიოზავას საკითხავე-ბი“ – ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა (1987-1995)
- გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, გადაადგილებითი მოძრაობის გამომხატველი ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური კომპონენტები მთის დიალექტებში
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ლაბილური გარდამავალი ზმნა – ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების წინაპირობა
- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, კვლავ *ტაბ-, ტო^რმ/ნ^ბ-/ტებ-, ტო^რმ^ბ-/ტუ^რმ^ბ-/ტ^რუ^ბებ-/ ტ^რუ^ბებ-, ტებ- ძირის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზისათვის
- ბ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, უღვლილების ტიპების რეკონსტრუქციისთვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ზოგი უმართებულო გამოთქმის გავრცელების ტენდენციისათვის
- ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, მ. ბ ე რ ი ძ ე, ფერეიდანი და ფერეიდნელი – ტერმინთა დამკვიდრების ისტორიიდან
- ბ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ტერმინთმემოქმედების პრინციპების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიისათვის (ქართული ტერმინთსაცავის მიხედვით)
- ი. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ნ. წ უ ლ ე ი ს კ ი რ ი, თ. გ უ ჩ უ ა, სკოლებში ქართული ენის სტატუსის შესახებ (მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის პრესის მიხედვით)

21 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. არდოტელი, ს. ომიაძე**

- თ. გვანცელაძე, აფხაზურ-აბაზური სინტაქსის ზოგი თავისებურების შესახებ
- თ. ვაშაკიძე, პრეფიქსულ პირის ნიშანთა ასახვისათვის თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში
- ს. ომიაძე, „წმინდა პურისა“ და ნარევი პურის სახელმდებელ ლექსემათა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება
- ქ. მარგიაანი-სუბარი, საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველ ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში
- ნ. ხახიაშვილი, **დამხე** სიტყვის სემანტიკისათვის
- ნ. ბართაია, ძველი აღთქმის ერთ ტერმინთან დაკავშირებით: ქონდაქარი
- მ. ჩაჩანიძე, ორდონიანი ინფორმაცია, როგორც ინტერპრეტაციის საშუალება და თანამედროვე ქართული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში „გოქსუ“
- ე. გაზდელიანი, ღვთაებათა სახელები სვანურ მიკროტოპონიმებში
- შ. გაბესკირია, სხვადასხვა ენაში შესული ქართული ბოტანიკური ტერმინის „ჭაკუნტელის“ (Beta) ეტიმოლოგიისათვის
- მ. თეთრაძე, რედუპლიკაცია ლეზგიურში ფორმოზრივი და სემანტიკური თვალსაზრისით
- მ. დლონტი, ძალ-/ძლ- → ძარ-/ძრ-ის ლექსიკურ-სემანტიკური დიაქრონიისათვის ქართულში

22 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **თ. გვანცელაძე, ქ. მარგიანი-სუზარი**

- რ. ფარეულიძე, დროის აღმნიშვნელი ნახური ლექსიკა ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში
- გ. გვანცელაძე, ქართული ენის სახელმწიფო კომისიის ისტორია რამდენიმე დოკუმენტის მიხედვით
- ქ. დათუკიშვილი, მოდალობისა და სხვათა სიტყვის ნიშნები ქართულში
- ა. ბასილაშვილი, კავკასიის ანბანურ დამწერლობათა შექმნარეფორმაციის გააზრებისათვის ქრისტიანულ კონტექსტში
- ბ. ყანდაშვილი, მრავალგზისობის გამოხატვა დიმიტრი მაჩხანელის მოთხრობების მიხედვით
- მ. საღლიანი, არქაული და ნასესხები ლექსიკა სვანურ ხალხურ ზღაპრებში
- თ. ტეტელოშვილი, „სხვადასხვასთან“ დაკავშირებული საზღვრული წევრების რიცხვის გამო
- ე. ნაპირელი, კახური დიალექტური ლექსიკისთვის (ქდკ-ის ტექსტების მიხედვით)
- ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარეთა სახელების (მახობელი, მახა) ურთიერთმიმართებისათვის ქართულში
- ნ. ფონიავა, ლექსემა „თვალის“ შემცველი იდიომები აფხაზურსა და ქართველურ ენებში
- ჭ. ქირია, სახელური ფუძეები კუმშვის თვალსაზრისით და მათი მართლწერის საკითხი

23 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, გ. ცოცანიძე**

- ნ. მაჭავარიანი, ინსტრუმენტალისის -ლა სუფიქსის წარმომადგენლობისათვის აფხაზურში
- ც. კვანტალიანი, მ. ბერიძე, ფორმალურ სიტყვათა ანოტირების ზოგი საკითხისათვის ქართულ დიალექტურ და სამეცნიერო მეტაენის კორპუსებში (თანდებული, ნაწილაკი, კავშირი)
- მ. ჩუხუა, კომპოზიტებში შემონახული კანონზომიერი შესატყვისებისათვის მეგრულ-ლაზურში
- რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ანბანის ერთი პოლიფუნქციური ასო-ნიშნის შესახებ
- ნ. ჭოხონელიძე, ფუძე-გაორკეცებული და ტოლად შერწყმული სახელები რევაზ ინანიშვილის ენის მიხედვით
- ე. შენგელია, მეგრული **ყუჯი**, ლაზური **ყუჯი** || **ყუჯი** || **უჯი** „ყური“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის
- მ. ლაბარტყავა, **-მდე, -მდის** თანდებულთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში
- მ. ბარიხაშვილი, რ. ლანდია, ე. ნაპირელი, რ. პაპია-შვილი, სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონში) ჩაწერილი ტექსტების ინტეგრირება ქართულ დიალექტურ კორპუსში
- ნ. სურმავა, თურქეთის ქართველთა მეტყველებიდან: -თ ა ლ ა ი დაბოლოებიანი ზმნისართები
- ლ. გიგლემიანი, ძირეულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმთა სტრუქტურული ანალიზისათვის სვანურში

უღვლილების ტიპების რეკონსტრუქციისთვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

1. ამჟამად დიდოურ ენათა ზმნაში გაირჩევა ხმოვანფუძიანი (I უღვლ.) და თანხმოვანფუძიანი (II უღვლ.) ზმნები, მაგრამ ისტორიულად, როგორც ამას ტ. გუდავა აღნიშნავს, ხუნძურ-ანდიურ ენათა ზმნას ანალოგიური უღვლილება (I უღვლ. -**იდ** თემისნიშნიანი, II უღვლ. -**ინ** თემისნიშნიანი) უნდა ჰქონოდა (გუდავა 1978 : 217). თავად ანდიურ ენებში განსხვავება ორ უღვლილებას შორის ბოთლიხურ ენასა და კარატაული ენის ტოქიტურ დიალექტში სავსებით მოშლილია, ხოლო სხვა ანდიურ ენებში – საგრძობლად შერყეული.

2. აღსანიშნავია, რომ -**იდ** და -**ინ** თემისნიშნიან ზმნათა შორის კორელაციის ელიმინაცია ნიშანდობლივია ხუნძური ენის სამხრული დიალექტებისთვისაც. ხუნძურ ენასაც, რომელიც, ზმნური კატეგორიების წარმოების თვალსაზრისით, თვალსაჩინოდ განსხვავდება დიდოური ენების შესაბამისი კატეგორიებისაგან, ზმნური ფუძის სტრუქტურაში თავადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია.

3. ყურადღებას იქცევენ ერთი რიგის -**ინ** თემისნიშნიანი ხუნძური ზმნები, რომელთა ისტორიული ფუძე ბეჟიტურსა და ნაწილობრივ ხვარშიულში ნაზალიზაციის სახით რელიქტურად არის შემონახული, მაგ.: ხუნძ. რელ-**ინ**-ე, ნამყ. რელ-**ან**-ა, შდრ. ბეჟ. ეფ-ლ'-ე-მო (<*ეფ-ლ'-**ენ**-მო < *ეფ-ლ'-**ენ**-მო) „დამსგავსება“, „მგავსი“, ხუნძ. რა-ჰ-**ან**-ა, ანდ. არ-ხ-**ინ** (<*რა-ხ-**ინ**), ბოთლ. ხუ-აბ-დუ, ჭამ. ა-ხ-**ან**, ტინდ. ბა-ხუ-**ინ**, კარ. რუ-ჰ-**ან**, ახვ. ა-ხ-**არ**-ი, შდრ. სავ. დიდ. მა-ლ-**ინ**-ს, ხვარშ. მა-ლ-**ინ**-ა (<*მა-ლ-**ინ**-ა), ბეჟ. ეფ-ჰ-ე-მო (<*ეფ-ჰ-**ენ**-მო < *ეფ-ჰ-**ენ**-მო) „გაილო“ და მისთ.

ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე

ფერეიდან და ფერეიდნელი – ტერმინთა დამკვიდრების ისტორიიდან*

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ისპაჰანის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 150–160 კილომეტრის დაშორებით, ბახტიარის მთებში ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები, რომელთა ერთი ნაწილი დღესაც ლაპარაკობს ქართულად. რეგიონს, სადაც ქართველები არიან დასახლებული, ფერეიდანს უწოდებენ: فریدان – faridan.

ამ რეგიონის სახელი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად გვხვდება წყაროებში.

ჩვენ ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცადეთ თვალი მიგვედევნებინა ფერეიდანის რეგიონის სახელდებისათვის ქრონოლოგიური თვალსაზრისით.

ტოპონიმ **ფერეიდანს** ქართულ ისტორიულ წყაროებში ვერ შევხვდებით. მის ნაცვლად გვხვდება **ფერია**, როგორც ამ რეგიონის იმ დროისათვის სახელდების სავარაუდოდ ერთადერთი ფორმა ქართულ სივრცეში. ეს სახელი გვხვდება ფერეიდნიდან გადასახლებულ სომეხთა მიერ შექმნილ ნაშრომებშიც. ადრე ეს ტოპონიმი ფერეიდნის ქართულ მოსახლეობაშიც რომ მიღებული ყოფილა, ამას ადასტურებს ლადო აღნიაშვილი. მისი თქმით, „მთელ იმ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს, ზოგნი **ფერეიასაც**“ (ლ. აღნიაშვილი, გვ. 188).

ზურაბ შარაშენიძის წიგნში „ფერეიდნელი გურჯები“ გვხვდება **ფერეთი**. წყაროდ მითითებულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ – იონა ხელაშვილი ლოცვაში მოიხსენიებს **ფერეთის** ქართველებს. ჩვენ, სამწუხაროდ, „კალმასობის“ გამოცემებში ამ ტოპონიმის დადასტურება ვერ შევძელით.

XIX-XX საუკუნის **უცხოურ წყაროებში** ამ რეგიონს უწოდებენ **ფერედუნს, ფერიდუნს, ფარიდანს**. თუმცა, ბოლო პერიოდის ნაშრომებში ქართველებით დასახლებული ადგილის სახელად გვხვდება **ფერეიდანო**.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №217438).

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ქართულ პრესაში ფერეიდანის თემაზე გამოქვეყნებულ პირველ პუბლიკაციებში, პუბლიცისტურ წერილებში, არსად არაა ნახსენები არც *ფერია*, არც *ფერეიდანი*, მით უფრო *ფერიდუნი* თუ *ფერეიდანი*. ძირითადად გვხვდება: **სპარსეთში მცხოვრები ქართველების სოფლები**, ზოგჯერ – **ისპაჰანის მახლობლად მდებარე ქართული სოფლები**.

1877 წელს **ჭრეიდან** (ჭერეიდანი), სავარაუდოდ, პირველად ჩნდება ქართულ პრესაში. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში ამ დროისთვის დაკარგულია ცოდნა **ფერიას** შესახებ და მის ადგილს ფერეიდანი ადვილად იკავებს, თანდათან შემოდის მიმოქცევაში.

თავდაპირველ სტატიებსა თუ მოგონებებში გვხვდება უკუ-მშველი ფორმა ტოპონიმისა **ფერეიდანი**.

რაც შეეხება წარმომავლობის აღმნიშვნელ ტერმინს **ფერეიდანელი/ფერეიდნელი**, ის გაცილებით გვიან დამკვიდრდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში მცხოვრები ქართველები, მათ შორის ფერეიდანში მცხოვრებნი, მოიხსენიებოდნენ როგორც **სპარსელი ქართველები**, **სპარსეთელი ქართველები**, **ქართველი სპარსელები**, **სპარსეთის ქართველები**, **ისპაჰანის ქართველები**. ზოგჯერ ერთი ავტორი თავის სტატიასა თუ ნაშრომში ერთდროულად უწოდებს მათ ხან **სპარსელ ქართველებს**, ხან **ქართველ სპარსელებს**.

1907 წელს პრესაში გვხვდება „**ფერეიდანის ქართველობა**“ (გაზ. ისარი, N85), „**მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ქართველობა**“ (გაზ. მწყემსი, 1907, N8). ზუსტად ისე, როგორც ლადო აღნიაშვილის წიგნშია ერთგან: „მე არ ვიცოდი, თუ შენ **ფერეიდანის ქართველობაში** აპირობდი წასვლას“ (ლ. აღნიაშვილი, გვ.169).

ამ პერიოდისთვის ვერსად შევხვდებით წარმომავლობის სახელს „**ფერეიდანელს**“ მით უფრო **ფერეიდნელს**, რადგან შეკუმშული ფორმა კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში ჩნდება, ისიც პარალელურ და არა ერთადერთ ვარიანტად, ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტშიც კი.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართულ სამეცნიერო და პუბლიცისტურ სივრცეში უკვე აქტიურად გამოიყენება წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი **ფერეიდანელი/ფერეიდნელი**. ამ დროისთვის „**ფერეიდანელი ქართველები**“ სპარსეთში, ფერეიდანის რეგიონში მცხოვრები ქართველების აღსანიშნად, ფაქტობრივად, უკვე დამკვიდრებულია.

უკუმშველი ფორმა გამოყენებული (**ფერეიდანელი და ფერეიდანის**) 1922 წლის ქართულ პრესაში, გაზეთებში: „ტრიბუნა“, „ბახტრიონი“, „ლომისი“. ვარლამ თოფურიაც ტოპონიმის უკუმშველ ფორმას იყენებს თავის სტატიაში: ნიმუშები ფერეიდანის ქართულის ენისა“ (ლომისი, 1922, N16).

არნ. ჩიქობავას ნაშრომებში ტოპონიმი **ფერეიდან** გვხვდება როგორც რედუცირებული, ისე არარედუცირებული სახით, წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინები **ფერეიდნელი** და **ფერეიდნული** კი - ყოველთვის შეკუმშული ფორმითაა.

ტერმინი **ფერეიდნული** დამკვიდრდა სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების აღსანიშნავად. არნ. ჩიქობავამ 1923 წელს ფერეიდნელების მეტყველება პირველად მოიხსენია ტერმინით **ფერეიდნული** და იგი დაუკავშირა კახურს.

მკვლევართა ნაწილი კვლევის პირველ ეტაპზე **ფერეიდნულს** მიიჩნევდა ქართული ენის კახური დიალექტის ფერეიდნულ კილოკავად (თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი).

მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან თვალს თუ გავადევნებთ ამ ტოპონიმისა და წარმომავლობის სახელის ისტორიას, ვნახავთ, რომ დღემდე გამოიყენება მათი რედუცირებული და არარედუცირებული ფორმები.

ამ საკითხებზე დეტალურად ვისაუბრებთ მოხსენებაში.

ნ ო მ ა დ ი ბ ა რ თ ა ი ა

ძველი აღთქმის ერთ ტერმინთან დაკავშირებით:

ქ ო ნ დ ა ქ ა რ ი

ძველი აღთქმის „წიგნი იერემია წინასწარმეტყველისა“ და „წიგნი მეფეთას“ ქართულ თარგმანებში არაერთხელ გვხვდება **ქონდაქარი** // **ქუნდაქარი** შესიტყვებებით: **ქონდაქართუხუცესი** და **მთავარქონდაქარი**, როგორც ტერმინი, აღმნიშვნელი ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის კარზე მდგომი პირის – ნაბუზარადანისმოხელეობრივი მდგომარეობისა.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულისა“ და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **ქონდაქარი** ნიშნავს **ჯალათს**.

სხვა ქართულ ლექსიკონებში, **ქონდაქარს**, **ჯალათთან** ერთად, გააჩნია შემდეგი მნიშვნელობანი: **მზარეული**, **ყასაბი**, **მეზორცე**, **გვამის მცველი**, **ზედამდგომელი**, **ქეშიკი** (მცველი), **ყორჩი** (მეჭურჭლეთუხუცესი...) და **მატაკარან**-ი (მზარეული).

იზადება კითხვა: რომელია აქედან **ქონდაქარი**?

ჯერ **ქონდაქარის** წარმომავლობასთან დაკავშირებით.

ქონდაქარი აშკარად სპარსული ნასესხობაა.

სპარსულ ენაში არის ფონეტიკურად **ქონდაქარის** მსგავსი, მაგრამ სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის მქონე ორი ლექსიკური ერთეული: **گاندآگ**[**kondâgar**] და **گاندآگ**[**gandâkâr**], რომელთაგან პირველის მნიშვნელობებია: ზეგ. 1) მამაცი, გმირი; 2. ბრძენი, სწავლული; 2. 1) გოლიათი; სარდალი; 3) ასტროლოგი, ხოლო მეორის – 1. დაუდევარი; მოუწესრიგებელი; არააკურატული. 2. ბნელი საქმეებით დაკავებული.

گاندآگ[**gandâkâr**]-თან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი მომენტი: **گاند**[**gandâ**] – არის **گاندیدان**[**gandidan**] (გაფუჭება, ლპობა) ზმნის ნამყო დროის ფუძე **-گاند**[**gande**], რომელიც მოდის ძველი სპარსული **گاند**[**gand**]-იდან, შემდეგი მნიშვნელობებით: **ზიანის**, **ტანჯვის**, **წამების** მიყენება.

როგორც ჩანს, **گاندآگ**[**gandâkâr**]-ის შემდეგი მნიშვნელობების: – **ბნელი საქმეებით დაკავებული**, **ზიანის**, **ტანჯვის**, **წამების მიყენება** – სემანტიკური განვითარებით მიღებული არის **ჯალათი**.

მართალია, **ქონდაქარი** ქართულად ნიშნავს **ჯალათს** და **ქონდაქართუხუცესი** – **ჯალათთა უფროსს**, მაგრამ ცალკე მსჯელობის საგანია, სინამდვილეში რას წარმოადგენს ნაბუზარადანი მეფის კარზე.

მაია ბარიხაშვილი, რუსუდან ლანდია,
ელენე ნაპირელი, რუსუდან კაპიაშვილი

სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონში) ჩაწერილი ტექსტების ინტეგრირება ქართულ დიალექტურ კორპუსში

მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის დიგიტალური დოკუმენტირება და არქივირება კულტურული მემკვიდრეობის კვლევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებამ და ენათა და კულტურათა ელექტრონული დოკუმენტირების საშუალებების გაჩენამ ახალი პარადიგმა შექმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

ამ ფორმით მასალის დამუშავებამ საფუძველი დაუდო ენები-სა და დიალექტების დოკუმენტირების ახალ ეტაპს, დიგიტალურ დოკუმენტირებას და არქივირებას. შესაბამისად, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში კიდევ ერთი ინტერდისციპლინური მიმართულება შეიქმნა – დიგიტალური დოკუმენტირებისა და არქივირების შემსწავლელი დარგი, დოკულინგვისტიკა¹.

2006 წლიდან არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ქართული დიალექტების კორპუსი, (ქდკ), რომელიც აერთიანებს თითქმის ასი წლის განმავლობაში ქართული ენის სხვადასხვა დიალექტის კუთვნილ ტექსტებს.

კორპუსი თანდათან ივსება საარქივო მასალით, რომელიც სხვადასხვა დროს არის ჩაწერილი. ამ მასალიდან განსაკუთრებით აქტუალურია დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა (1983, 1984 წლების ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპედიციის მასალები და ჩვენ მიერ 2010, 2012 წლებში ჩაწერილი ტექსტები). ამ რეგიონში 1983-84 წლების ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპედიციის მასალების ნაწილი ინახება ჩვენს განყოფილებაში. 2006-2009 წლებში ჩვენ შევძელით ამ მასალის ელექტრონულ მატარებელზე გადატანა მაგნიტოფირებიდან.

¹ <http://tandaschwili.com/thema-3/>

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს განყოფილებაში ამ დროის განმავლობაში შეიქმნა სამაჩაბლოში ჩაწერილი აუდიომასალის ელექტრონული ვერსიები, რამაც მნიშვნელოვნად გააადვილა მათი დამუშავება დიალექტური თვალსაზრისით. ამჟამად მუშავდება ეს ჩაწერილი ტექსტები დიალექტურ კორპუსში განსათავსებლად. დღეს საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ცხინვალის რეგიონში ჩაწერილი მასალის დოკუმენტირებას, დამუშავებას და ინტეგრირებას კორპუსში... აუდიომასალა დამუშავდება ELan-ის პროგრამით, რომელიც, სხვა პლატფორმებისგან (Shoobox და Toolbox) განსხვავებით, მეტ ინფორმაციას გვაძლევს. ერთ ფანჯარაში შესაძლებელია ვიდეოფაილის განთავსება, სეგმენტებად დაყოფა და გაშიფვრა. სხვადასხვა მთქმელის შემთხვევაში თითოეულს აქვს თავისი შესაბამისი ველი და მარტივად არის შესაძლებელი რესპონდენტისა და ტექსტის იდენტიფიკაცია. ასევე ზოგიერთი პარალინგვისტური ელემენტის მონიშვნაც.

ამ პროგრამით ტექსტების დამუშავება ეფექტური იქნება მათი კვლევისა და ლექსიკოგრაფირებისთვის.

სამუშაო გულისხმობს ტექსტების ქდკ-ს კონცეფციით გამოქვეყნებასაც.

ა მ ი რ ა ნ ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

კავკასიის ანბანურ დამწერლობათა შექმნა-რეფორმაციის გააზრებისათვის ქრისტიანულ კონტექსტში

კავკასიაში სამი ძველი ანბანია წარმოდგენილი: ქართული, სომხური და ალბანური. სამივე დამწერლობა მოღწეულია მწერლობისა და ეპიგრაფიკული ძეგლების სახით, თუმცა ქრისტიანულ ეპოქას არცერთი არ სცდება.

დამწერლობის ქონა, ზოგადად, რელიგიის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ქრისტიანობამდელი რელიგიური მიმდინარეობები, კერძოდ კი რე-

ლიგიურ რიტუალთა აღმსრულებლები – ქურუმები იყენებდნენ გარკვეული ტიპის დამწერლობას. ამ დამწერლობის ცოდნა და მისი გამოყენება მხოლოდ ქურუმთათვის იყო სავალდებულო, აუცილებელი და გარკვეულ მისტიკურ საბურველში იყო გახვეული. რიგით მორწმუნეს მისი გამოყენება არ შეეძლო. ასეთი ტიპის დამწერლობები მხოლოდ ვიწრო რელიგიური ელიტისთვის იყო განსაზღვრული და არა საერთო-სახალხო დანიშნულებისთვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ქრისტიანობამდელი რელიგიები მოკლებული იყო საყოველთაოობას და იმ მასშტაბის მისიონერულ მოღვაწეობას, რომელსაც მოგვიანებით ქრისტიანობა ეწეოდა.

ქრისტიანობამ, როგორც ზეეთნიკურმა რელიგიამ, ყველა ხალხსა თუ კულტურულ სივრცეს მისცა საშუალება საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზებისა. ეს შესაძლებლობები პირველ რიგში მწიგნობრული ხასიათისა იყო და გულისხმობდა მისიონერულ საქმიანობას, ლიტერატურის შექმნას, ლოცვას მშობლიურ ენაზე. მაგრამ მეორე მხრივ, იგივე ქრისტიანობა გულისხმობდა ახალი რეალობის მოტანას, რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა ძველი, წარმართული იდეოლოგია და რეალიები. ამიტომაც არ არის გამორიცხვული, ქურუმთა დამწერლობა ქრისტიანობის შემოდების შემდეგ ყოფილიყო რეფორმირებული ან ჩანაცვლებული ახლი დამწერლობით.

საქართველო, სომხეთი და კავკასიის ალბანეთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოებია. ქრისტიანობის გავრცელებას ამ ქვეყნებში თან სდევდა „პროცესი... როცა პოლიტიკურად და კულტურულად არც თუ ისე გამორჩეული ენები ერთბაშად იძენდნენ დიდ სოციალურ და საზოგადოებრივ ფუნქციას“ (ნ. დობოროჯგინიძე). მიუხედავად ამისა, ბერძნული, როგორც სახარების ენა, გარკვეული უპირატესობით მაინც სარგებლობდა. სწორედ ბერძნულ ენაზე იქმნებოდა პირველი თეოლოგიური ლიტერატურა. ბერძნულის, როგორც მხატვრული თვალსაზრისით მდიდარი და ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიით დახვეწილი ენის უპირატესობის აღნიშვნას ქართველ მთარგმნელთა მიერ, თან სდევდა ქართულის (ისევე როგორ სხვა ახლადგაქრისტიანებული ერების ენათა შე-

მთხვევაში) ბერძნულთან ფუნქციური და თვისობრივი გათანაბრების ტენდენცია, რაც გულისხმობდა ამ ენათა თვითმყოფადი ნიშის გამონახვას და დამკვიდრებას სხვა ენათა შორის (ნ. დობორჯგინიძე). ამ კონტექსტშიც არის დასაინახი ქრისტიანული აღმოსავლეთის ანბანურ დამწერლობათა შექმნა-რეფორმაციის ისტორიაც.

კავკასიის ანბანთა შექმნის გააზრებას ქრისტიანულ კონტექსტში მხარს უჭერს სომხური წყაროები (კორიუნი, ლაზარე ფარპელი, მოსე ხორენელი, მოსე კალანკატუელი...), სადაც საუბარია ქართული, სომხური და ალბანური დამწერლობების სწორედ ქრისტიანული მიზანდასახულობით შექმნა-რეფორმაციაზე.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ზოგი უმართებულო გამოთქმის გავრცელების ტენდენციისათვის

ქართული მდიდარია სხვადასხვა სახის შესიტყვებითა და მყარი ფრაზეოლოგიური ფორმულებით. როგორც ცნობილია, ისინი სტილისტიკის თვალსაზრისით ენის მნიშვნელოვანი გამომსახველობითი ენობრივი საშუალებებია, რომელთა სიმრავლე როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველებისას გვიჩვენებს სალიტერატურო ენის სიმდიდრესა და მოქნილობას. სიტყვას სალიტერატურო ენაში ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სავსებით გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაუფუკავშიროთ. ამავე დროს ყოველ სიტყვას აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებაში და სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა იყენებს მათ.

თანამედროვე მეტყველებაში სწორედ მზა სიტყვათშეხამებების გვერდით გახშირდა ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: **საკითხში არ შევალ, კამათში არ შევალ, სტატისტიკაში არ შევალ, შინაარსში არ შევალ, თემაში არ შევალ, დეტალებში არ შევალ**: „მე ახლა ამ სტატისტიკაში არ შევალ“, „არაადეკვატურ ადამიანებთან მე კამათში არ

შევალ“, „ჩანაწერების **შინაარსში ვერ შევალ**“, „**დეტალებში არ შევალ**, ეს ყველაფერი ცნობილი და ნათელია“, „ავთენტურობა მნიშვნელოვანი საკითხია, ახლა ამ **თემებში არ შევალ**“... (წინადადებები მოგვყავს მასმედიიდან, ჟურნალისტებისა თუ რესპონდენტების მეტყველებიდან). ეს ფორმები განსაკუთრებით საჯარო მოხელეთა თუ პოლიტიკოსთა მეტყველებაში ისმის. როგორც ჩანს, მოყვანილმა გამოთქმებმა ოფიციალურ-საქმიანი სტილის ნიუანსები შეიძინა და ახლა ჩვენ თვალწინ მკვიდრდება როგორც მყარი გამოთქმები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასახელებული ფორმები გაბმული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, ამ ეტაპზე წერით მეტყველებაში ჯერ არ ჩანს გავრცელებული.

ცხადია, ეს შესიტყვებები გაჩნდა ქართული ბუნებრივი თქმების სანაცვლოდ – საკითხს, სტატისტიკას, შინაარსს, დეტალებს, თემას **არ განვიხილავ / არ შევხებით**, ან საკითხზე, შინაარსზე, დეტალებზე, თემებზე, სტატისტიკაზე **არ ვისაუბრებ / არ შევჩერდები**. რაც შეეხება შესიტყვებას **კამათში არ შევალ**, მისი ორგანული წარმოებაა **არ ვიკამათებ**. როგორც ვხედავთ, ენას მრავალი საშუალება აქვს სათანადო შინაარსის ბუნებრივი ფორმებით გადმოსაცემად. ვფიქრობთ, ეს გამოთქმები ინგლისური ენის ანალოგიით შემოვიდა ქართულში (მაგალითად, to go into detail – დეტალებში შესვლა). ეს კალკირებული ფორმებია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ენის გრამატიკულ სტრუქტურას.

ფრაზეოლოგიზმთა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება უფრო გამომსახველსა და მოქნილს ხდის ენას, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომები დასტურდება, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და ფრაზას ამახინჯებენ. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შესიტყვებები კი სწორედ ასეთი „დანიშნულებისაა“ და ქართული ენისათვის არაბუნებრივ, ხელოვნურ ფორმებს ქმნიან.

სხვადასხვა ენაში შესული ქართული ბოტანიკური ტერმინის „ჭაკუნტელის“ (Beta) ეტიმოლოგიისათვის

ძველ ქართულ ტექსტებში ჭარხლის ერთერთი კულტურული ნაირსახეობის მნიშვნელობით დადასტურებული სიტყვა **ჭაკუნტელი**, რომელიც გურულ დიალექტში „წითელ მხალს“ ნიშნავს, სპარსულ ნასესხობადაა მიჩნეული (ივ. ჯავახიშვილი); ირანული წარმომავლობის მცენარის ეს სახელწოდება ქართულ ენაში უშუალოდ სომხური ენიდანაა შემოსული (რ. აჭარიანი).

მოხსენებაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ **ჭაკუნტელი** ქართული კომპოზიცია, რომელიც **ჭაკუნ**-ისა („ჭარხალი“) და **დელ**-ისგან („მხალი“) არის შედგენილი. ***ჭაკუნდელი**-სგანაა მიღებული **ჭაკუნტელ**-ი. განსახილველი ტერმინის არქეოფორმასთან განსაკუთრებით ახლოს დგას სომხური **ჭაკუნდელ** „ჭარხალი“, რომელშიც შედგენილი სიტყვის პირველ წევრში **უ**-ხმოვნის რედუქციაა, ხოლო მეორე კომპონენტი **დელ** გვიან სომხურისთვის დამახასიათებელი **ლ > დ** გადასვლითაა წარმოებული. აღსანიშნავია, რომ სომხურში **ჭაკუნ** დამოუკიდებლადც „ჭარხალს“ ნიშნავს.

გასაანალიზებელი ლექსიკური ერთეული პოვნეირია რამდენიმე ირანულ ენაში, როგორებიცაა: სპარსული, ავღანური, ქურთული. იგი **ჩუდუნდარ** ფორმითა და „ჭარხლის“ მნიშვნელობითაა დამკვიდრებული სპარსულ ენაში.

განსახილველი სიტყვა ირანული ენებიდან შეითვისა არაერთმა თურქულმა ენამ, მათ შორისაა: თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული ენები, რომლებშიც იგი თურქული ენებისთვის დამახასიათებელი ხმოვანთჭარმონის შედეგად მიღებული, უპირატესად **ჩუდუნდურ**-ის სახითაა წარმოდგენილი.

ზემოხსენებულ მეცნიერთა ნაშრომებში ჩამოთვლილ ენათა რიცხვს უნდა დაემატოს ასევე არაბული სალიტერატურო ენა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ბოტანიკური ტერმინი „ჭარხლის“ მნიშვნელობითა და **შავანდარ** // **შამანდარ** ფორმებითაა დადასტურებული.

ღვთაებათა სახელები სვანურ მიკროტოპონიმებში

ამბაკო ჭკადუას მიერ 50 წლის წინ შედგენილ სვანურ ტოპონიმთა ხელნაწერ ლექსიკონში ხშირია ღვთაებათა სახელებთან დაკავშირებული ადგილის სახელწოდებები.

ქრისდე არამარკირებული, მარტივი ფორმით აღინიშნება ქრისტეს სახელობის ეკლესია-საყდრები სოფლებში: ჰადიში, ლახირი, ფარი. **ქრისდე** სოფ. ჰადიშის პატარა საყდარია. ასევე ეწოდება სოფ. ლახირის ეკლესიას და მის მიმდებარე მიდამოებს. ქრისტეს სახელს უკავშირდება ნასაყდრალი სასაფლაოთი სოფ. ფარში. ამ ადგილს **ქრისდ ლადბაშელ** ქრისტეს სადიდებელ ადგილსაც უწოდებენ. **ლა-დბ-აშ-ელ ლა-** დანიშნულების პრეფიქსი. **-დბ- < დიდბ < დიდება -აშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **-ელ** კნინობითის აღმნიშვნელი სუფიქსი. ამ ნასაყდრალში იმართებოდა ქრისტეს სადიდებელი ლოცვები. ადრე ეკლესიის მსახურნი ვიბლიანები ყოფილან და ეკლესია **ქრისდე იბლიან რიშ** – ქრისტე ვიბლიანების სახელითაც არის ცნობილი. ღვთაებებისადმი მიძღვნილ ეკლესია, სალოცავებთან ხშირად ლეგენდებითაცაა დაკავშირებული. სოფ. უშგულში ერთ ადგილას **ქრისდე ღოშგინ** „ქრისტეს უკან“ ჰქვია. გადმოცემით მაცხოვარს სოფ. უშგულის შემოგარენი მოუვლია, ეკლესიის უკან მდებარე სახნავ-სამოვარი უკან დარჩენია, ამიტომ ამ ადგილებს **ქრისდ ღოშგინ** „ქრისტეს უკან“ დარქმევია. სოფ. იელის ეკლესიას **ქრისდე-მაცხოვარი საყდარ** – ქრისტე-მაცხოვრის ეკლესიას უწოდებენ. ეკლესიის სიახლოვეს აღმოჩენილია უძველესი წყალსადენი თიხის მილებით. მიკროტოპონიმია **ქრისდეშარ** „ქრისტესები“. **ქრისტანი** ტერმინით აღინიშნება ეკლესიის მიმდებარედ მცხოვრები ოჯახები. სათიბ-სახნავია **ქრისტანი** „ქრისტესი“. ინფორმატორების ცნობით აქ გამორჩეულად ლამაზი ადგილებია. ეკლესია ამ ადგილზე არ ფიქსირდება. ქვემოსვანეთის სოფ. მაზაშში საკულტო ადგილია დიდი ლოდი, რომელსაც **ქრისტეი ჰიშხე ნაგამ** – ქრისტეს ფეხის ნადგამს უწოდებენ. თითქოს ამ ლოდზე შეინიშნება ქრისტეს ფეხის ნაკვალევი (ნადგამი).

სვანეთის მიკროტოპონიმებში ხშირად დასტურდება ღვთაე-
ბათა იერარქიაში ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის მარიამ ღვთის-
მშობლის სახელი. მარიამ ღვთისმშობელი დიალექტებში შემდეგი
ფორმებით აღინიშნება: **ლამწრია** ბზ., **ლამწრია** ბქ., ლნტ. **ლამწრია**
ლშხ., ჩოლ. ვერა ბარდაველიძის განმარტებით, **ლამწრია** სვანურ
ღვთაებათა პანთეონში მიწის ნაყოფიერების, შვილიერების, ქალების
მფარველი, მოწყალე ღვთაებაა, ქრისტიანულ ნიადაგზე – ღვთის-
მშობელი, წმინდა მარიამი.

ღვთისმშობლის სახელის სვანურ ფორმაში გამოიყოფა **ლა-**
დანნიშნულების პრეფიქსი: **ლა-მწრია** ნიშნავს „სამარიოს“, ადგილს,
სადაც მარიამის სახელთან დაკავშირებული ეკლესიები და სხვა გე-
ოგრაფიული ადგილებია. სავარაუდოდ, ადრე წარმართულ ზოგ სა-
ლოცავს, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, **ლა-მწრია** „სამარიო“
ეწოდა. ამ ტერმინის ფუძეა **მწრია** შდრ. ქართ. მარიამი. სვანურ ფორ-
მაში დაკარგულია **-მ-** თანხმოვანი და სახელობითი ბრუნვის **-ი** ნი-
შანი.

ტოპონიმიკურ ხელნაწერ ლექსიკონში **ლა-წრია** არამარკირე-
ბული ფორმით გვხვდება ზემოსვანეთის შემდეგ სოფლებში: კაერი,
უმგული, იელი, ზეგანი, იენაში ჰადიში, ლეხთაგი... ქვემოსვანეთში:
ფაყი, ლექსურა, სასაში, ჩიხარეში, ყვედრეში. **ლამწრიაშ** „ლამარიასი“
ნათესაობითი ბრუნვის ფორმით აღინიშნება სათიბი სოფ. ნაკში, სა-
კულტო ადგილი, ნაეკლესიარი სოფ. თოთელეში, სადაც **ლამწრიას**
ევედრებიან საქონლის სიმრავლეს. ეკლესია, სალოცავების გარდა,
წმინდა მარიამის სახელთან სხვა სახის მიკროტოპონიმებიც არის
დაკავშირებული. **ლამრიაშ დაბარ** „ლამარიას ყანები“ – სოფ. ზეგანი
ბზ., სოფ. ლექსურა ქს. შენიშნულია, რომ გამორჩეულად კარგ მოსავ-
ლიან ყანებს ლამარიას სახელს არქმევდნენ. **ლამწრიაშ ლაცხტარ** –
ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის ნაკრძალი სოფ. შყალერი.
ლაცხტარ ტერმინით აღინიშნება, რომელიმე ღვთაების ან წმინდანის
სახელზე შეწირული ყანა, სათიბი ან ტყე, სადაც სამეურნეო საქმიან-
ობა აკრძალულია იმ შემთხვევაში თუ ეს საქმიანობა არ უკავშირ-
დება ეკლესიას, ან რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს.

ამბაკო ჭკადუას სვანურ ტოპონიმთა ხელნაწერ ლექსიკონში
ღვთაებათა სახელებთან დაკავშირებული სხვა მიკროტოპონიმებიც
მრავლად გვხვდება.

ქართული ენის სახელმწიფო კომისიის ისტორია რამდენიმე დოკუმენტის მიხედვით

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის მიმართულებით დიდი სამუშაოები კოლექტიურად შეუსრულებიათ ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს XIX–XX საუკუნეებში, როცა იდეენობოდა ყოველივე ეროვნული. საბჭოთა რეჟიმის არსებობის განმავლობაში საქართველოში მუშაობდა ჯერ **განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭო**, მერე კი **მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია**. 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოური არჩევნების შედეგად არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის, ენის ფუნქციათა რეალურად გაფართოებისა და სხვა საკითხებს იმთავითვე მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება, რასაც ადასტურებს უზენაესი საბჭოს წევრის თ. გვანცელაძის პირად არქივში დაცული რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც შეუდგენიათ ენათმეცნიერებს: **ვაჟა შენგელიას, მანანა ტაბიძეს, ტარიელ ფუტყარაძეს, ლევან ღვინჯილიასა და თეიმურაზ გვანცელაძეს**. კერძოდ, ირკვევა, რომ 1990 წელსვე უზენაეს საბჭოში შესულა წინადადებები ქართული ენის ნორმების დადგენისა და ამ ენის ფუნქციათა გაფართოების, ასევე ტოპონიმიკის მოწესრიგების მიზნით უზენაეს საბჭოსთან, ან მის უშუალო შემადგენლობაში შექმნილიყო ქართული ენის მუდმივი კომისია, რომელსაც უფრო მასშტაბურად უნდა განეგრძო მინისტრთა საბჭოსთან ადრე არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის საქმიანობა.

ბატონ ლ. ღვინჯილიას პროექტის ძირითადი ტექსტის მიხედვით, მინისტრთა საბჭოსთან უნდა ემუშავა **ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საზედამხედველო მუდმივ სახელმწიფო კომისიას** (შემოკლებით: სახკომს), რომლის მუშაობის საერთო ხელ-

მძღვანელობა დაეკისრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. სახკომს ექნებოდა ანგარიში ბანკში, ბლანკი და ბეჭედი. პროექტში წერია: „სახკომი ხელმძღვანელობს საკუთარი წესდებით, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებებით და კანონით ენის შესახებ“. იქვე დართულია შენიშვნა: „მომავალში მიზანშეწონილი იქნება ეს კომისია (ნორმათა დამდგენი კომისია – გ. გ.) გადაეცეს საქ. უზენაეს საბჭოს, ხოლო მინისტრთა საბჭოსთან დარჩეს მხოლოდ სახედამხედველო კომისია“. ავტორის აზრით, სახკომს უნდა ჰქონოდა 7 სექტორი: ტელე- და რადიოგადაცემათა ენის, ქართული რესპუბლიკური პრესის ენის, რაიონული პრესის ენის, ქალაქგაფორმებისა და რეკლამის ენის, პროდუქციის სასაქონლო და სავაჭრო ნიშანთა ენის, სატიტულო დასახელებათა ენისა და საქმისწარმოების ენის სექტორები. პროექტში დიდი ადგილი ეთმობოდა ენის ნორმათა და ენის ფუნქციონირების წესების დამრღვევთა მიმართ სანქციების გამოყენების კონკრეტულ საკითხებს.

სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ შედგენილი ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი: „**საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ**“, რომლის მთელ ტექსტში სათაურის ჩათვლით სიტყვა „**მუდმივმოქმედი**“ შეცვლილია სიტყვით „**სახელმწიფო**“, რაც იმას ნიშნავს, რომ კომისია საბოლოოდ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად მოიაზრებოდა, ბატონ **ვ. შენგელიას** მიერ შედგენილ უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტშიც კომისია მოიხსენიება როგორც „**საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კომისია**“; კომისიის საბაზო ორგანიზაციებად დასახელებულია **არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი** და **თსუ ტოპონიმის კვლევების ცენტრი**.

1990 წლის 18 დეკემბერს უზენაესი საბჭოს ენათმეცნიერი წევრების **ტ. ფუტკარამისა** და **თ. გვანცელაძის** მოკლე განცხადებაში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუ-

მისადმი წერია შემდეგი: „განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომაზე გადაწყდა, რომ უზენაეს საბჭოსთან შეიქმნას ქართული ენის მუდმივი კომისია ბ-ნ **ზვიად გამსახურდიას** თავმჯდომარეობით, რომელიც დაამტკიცებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაადგენს საქართველოს ისტორიულ ტოპონიმებს და კონტროლს გაუწევს საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, უკვე შექმნილია ყველა მუდმივი კომისიის საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვა, გარდა ქართული ენის მუდმივი კომისიისა.

გთხოვთ, განიხილოთ ქართული ენის მუდმივი კომისიის სტატუსისა და მისი დაფინანსების საკითხი.

საზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ენის ნორმების კანონმდებელი და სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი მუდმივი კომისია უნდა არსებობდეს უზენაეს საბჭოსთან და არა მინისტრთა საბჭოსთან, როგორც ეს აქამდე ფორმალურად იყო“.

ამ განცხადების შემდგომ პრეზიდენტი დასთანხმებია წინადადებას კომისიის უზენაეს საბჭოსთან შექმნისა და მისთვის სახელმწიფო კომისიის სტატუსის მინიჭების შესახებ, რაც ასახულია ზემოთ ნახსენები დადგენილების ორივე პროექტის ტექსტებში.

სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომისიის თავმჯდომარედ ივარაუდებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**, მოადგილედ – **ნ. ბურჭულაძე**, სწავლულ მდივანად – **თ. გვანცელაძე**, ხოლო გადაწყვეტი ხმის მქონე წევრებად უზენაესი საბჭოს ენათმეცნიერი და მწერალი დეპუტატები, აგრეთვე ენათმეცნიერთა საკმაოდ ფართო სპექტრი მათი პოლიტიკური პოზიციების მიუხედავად. სამწუხაროდ, კომისია ცნობილი მიზეზების გამო ვერ ამოქმედდა.

აფხაზურ-აბაზური სინტაქსის ზოგი თავისებურების შესახებ

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აფხაზურ-აბაზური სინტაქსის ზოგი სპეციფიკური თვისება დამოკიდებულია მორფოლოგიური, მორფონოლოგიური და ლექსიკური სისტემების თავისებურებაზე. მაგალითად:

1. **აფხაზურ-აბაზურს არა აქვს რთული ქვეწყობილი წინადადება**, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ისეთი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების უქონლობით, როგორებიც არის მაქვემდებარელი კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნისართები – **რომ, ვინაიდან, ვიდრე, სანამ, ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...**, რომელთა გარეშე შეუძლებელია ერთი წინადადების დაქვემდებარება მეორისადმი. ამიტომაც, რომ აქ არსებობს მხოლოდ მარტივი, შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებები;

2. ენაში **არ არსებობს ბრუნების სისტემა**, რაც უმთავრესი მიზეზია სინტაგმის წევრთა შორის სინტაქსურ ურთიერთობათა ისეთი სახეობის უქონლობისა, როგორიცაა სინტაგმის მთავარი წევრის მიერ მეორე წევრის **მართვა** ბრუნვაში, ან მათი **კოორდინაცია**.

3. ორივე დასახელებული ფაქტორი განსაზღვრავს იმას, რომ რთული წინადადების შინაარსის გადმოცემის ფუნქცია დაეკისრა, ერთი მხრივ, **სუბიექტ-ობიექტების ნიშანთა დაყოფას დ-სა და ლ-ს რიგებად, მორფონოლოგიურ პროცესებს** (პირის ნიშანთა გამჟღერებას გარკვეული მორფოსინტაქსური ფუნქციით) **და სიტყვათა რიგს, მეორე მხრივ კი ზმნის ფინიტურ-ინფინიტურ წარმოებას**, როცა **ზმნურ ფუძეში ინკორპორირებული აფიქსები, აფიქსოიდები და ბირები** კისრულობენ მაქვემდებარებელი კავშირების, მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნისართების სემანტიკის გადმოცემის ფუნქციას.

ძირულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმთა სტრუქტურული ანალიზისათვის სვანურში

წარმოების თვალსაზრისით ჰიდრონიმები დიდად არ განსხვავდება სხვა ტოპონიმებისაგან. განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ის მიკროჰიდრონიმები, რომელიც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ა. ჭკადუას ხელნაწერ შრომაში, „სვანეთის ტოპონიმია“ (ნაშრომი დამუშავებულია კომპიუტერულად და მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომელთა მიერ – რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით).

ზოგადად ჰიდრონიმული მასალის სიუხვეს განაპირობებს აღნიშნული რეგიონის რელიეფის სპეციფიკა. ლანდშაფტურად მრავალფეროვან სვანეთში, მთა-გორები, დიდი თუ პატარა მდინარეები, შენაკადები, ღელე-ნაკადულები, მჟავე წყლები, მთებში უამრავი პატარ-პატარა ტბები სახელდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ, რაც თავისთავად მდიდარ მასალას წარმოადგენს ტოპონიმურ კვლევისათვის.

სვანური ჰიდრონიმები, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

- 1. უაფიქსო, მარტივი სახელები;**
- 2. აფიქსებით ნაწარმოები, წარმოქმნილი სახელები (დერივატები);**
- 3. რთული შედგენილობის სიტყვა-შეერთებანი;**

ამჯერად განვიხილავთ ძირულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმულ ტერმინებს.

სვანური ძირული ჰიდრონიმები ძირითადად შემდეგი აპელატივებითაა წარმოდგენილი: **ლიც/წიც** „წყალი“, **ჭალამ** „ჭალა, მდინარე, მდინარის პირი“, **ტუზ//ტუზი, ტუზირა** „ღელე, ხევი“, **ტუზა, ჭუზ** „ტბორი, ჭაობი“, **სარაგ** „წყარო“, **სგიმ** „მჟავე წყალი“, **ტობ** „ტბა“, **ღარ** „ღელე“, **ჭყიბ, ჭყეხ** „ჭაობი“ და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადო სახელები გარკვეული ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მათ საშუალო ადგილი უჭირავთ საზოგადო სა-

ხელთა კლასსა და ტოპონიმთა კლასს შორის. „საზოგადო სახელთა კლასიდან გამოსული არიან, მაგრამ ჯერ არ არიან შესულნი საკუთარ სახელთა კლასში“ (პ.ცხადაია).

ცალკე საკითხად გამოიყოფა წყლის აღმნიშვნელ საზოგადო სახელთა ჰიდროაპელატივთა გამოყენება ინდიკატორის ფუნქციით რთულ ჰიდრონიმებში (ამ საკითხის შესახებ შემდგომში გვექნება საუბარი). რაც შეეხება, წარმოქმნილ ჰიდრონიმულ ტერმინებს, მათ ძირითადად სუფიქსური წარმოება ახასიათებთ. ყველაზე ხშირად გვხვდება **-ურ-ა, -ურ-ა, -ულ-ა, -ერ-ა, -გრ-ა** ტოპოფორმანტით ნაწარმოები მდინარეთა და ღელეთა სახელები (**ხაიმ-ურ-ა, თეკლ-ურ-ა, ვედრ-ულ-ა, თეთნაშერა//თეთნაშგრა** და ა.შ) აღნიშნული სუფიქსები საკმაოდ არის გავრცელებული ქართველურ ტოპონიმიაში.

სვანურის ჰიდრონიმებში გამოყენებულია სხვა სუფიქსებიც:

ნათესაობითი ბრუნვის **-იშ, -აშ...** ფორმანტი: **ჭიბრ-იშ, შდგმ-ლჰშ, შგედილ-ჰშ...**

მრავლობითი რიცხვის და მქონებლობის **-არ, -ალ** ფორმანტი: **ჭყებ-არ, ქუიშ-ლ-არ, დარ-ალ, ქუანდ-არ...**

საყურადღებოა კნინობით-სუფიქსიანი (**-ილდ, -გლდ -ილ, -ნლ, -გლ**) ჰიდრონიმთა სიმრავლე: **ლიც-ილდ, წერნ-გლდ, ნიც-ილ, კირნლ, სარგლ...**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს **სარაგ** „წყაროს“ სიხშირე **მიკრო-ჰიდრონიმებში**. **სარაგ** ძირეული გაუფორმებელი სახით ძირითადად წყაროს აღნიშნავს, მაგრამ, ამავე დროს, სათიბის, ყანის, სამოვრის, ტყის და სხვა ობიექტების სახელადაც დასტურდება, მაგ: **სარაგ-ალ, სარგ-ალ, სარგ-არ** „წყაროები“ ეწოდება სხვადასხვა ადგილს, სათიბს ან სამოვარს, მითითებულია, რომ შორიახლო წყაროები ჩამოდის.

სარაგ-ჰშ, სარგ-ჰშ „წყაროსი“, აღნიშნავს სახნავ ფართობს, ტყეს, ყანას, სამოვარს.

სარაგ-გლ, სარგ-გლ „პატარა წყარო“, გვხვდება ყანის სახელად.

სარგ-გლდ-ჰშ „პატარა წყაროსი“ სათიბის სახელწოდებაა, აღნიშნული ლექსემა განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს რთულ ჰიდრონიმებში. ასეთივე პროდუქტიულობით გამოირჩევა ზოგიერთი ჰიდროაპელატივი.

საერთოდ, ჰიდრონიმებში ისევე, როგორც მთლიანად სვანურ ტოპონიმიაში ნათლად ჩანს სვანეთის რელიეფის თავისებურებანი.

ქეთევან დათუკიშვილი

მოდალობისა და სხვათა სიტყვის ნიშნები ქართულში

როგორც ცნობილია, ქართულში ორი სახის ნაწილაკები გამოიყოფა:

1. ცალკე მდგომი (განა, ნუთუ, არ, კი...);
2. სიტყვასთან შერწყმული (-ც, -ვე, -ლა...).

ნაწილაკებისა და თანდებულების შესახებ ჩვენ გამოთქმული გვაქვს შემდეგი მოსაზრება: სიტყვასთან შერწყმული თანდებულები და ნაწილაკები არ არის მეტყველების ნაწილები, ისინი ფლექსიური აფიქსებია (კერძოდ, სუფიქსები) და სახელის ფლექსიურ სისტემაში უნდა იყოს განხილული.

მაშასადამე, სიტყვასთან შერწყმული ნაწილაკები ფორმამაწარმოებელი აფიქსებია, ამიტომ მათ ნაწილაკებს ვერ ვუწოდებთ. ამ დებულების საფუძველზე ჩნდება კითხვა: რა ფუნქცია აქვთ ამ სუფიქსებს? რა ტერმინი შეიძლება გამოვიყენოთ მათ აღსანიშნავად?

დასახელებული სუფიქსები გამოიყენება ორგვარი ფუნქციით: **-ც, -ვე, -ლა** და მსგავსი ერთეულები გამოხატავს მოდალურ მნიშვნელობებს, **-მეთქი, -თქო** და **-ო** კი სხვათა სიტყვის აღმნიშვნელი სუფიქსებია. ეს ორი ტიპის აფიქსები ერთმანეთისაგან განსხვავდება რანგითაც: **-ც, -ვე, -ლა...** სუფიქსები რანგით წინ უსწრებს **-მეთქი, -თქო, -ო** სუფიქსებს.

ჩვენი აზრით, **-ც, -ვე, -ლა** და მსგავს აფიქსებს შეიძლება მოდალობის ნიშნები ვუწოდოთ, **-მეთქი, -თქო, -ო** აფიქსებს კი – სხვათა სიტყვის ნიშნები.

პრეფიქსულ პირის ნიშანთა ასახვისათვის თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ პირის ნიშან-თაგან სალექსიკონო სტატიებად წარმოდგენილია მხოლოდ პირველი სუბიექტური და მეორე ობიექტური პირის პრეფიქსები შესაბამისი კომენტარებით: **„გ-** პირველი პირის ნიშანი, იწერება ყოველთვის: ვვარდები, ვვარცხნი, ვვარგვარ... ვუთხარი, დავუწერე“; **„გ-** ობიექტური თავსართი II პირისა, იხმარება უცვლელად: გქონდა, გწერს, გკლავს“.

თუ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ საჭიროდ მიიჩნევა პრეფიქსული პირის ნიშნების ცალკე გამოყოფა მათთან დაკავშირებული მართლწერის პრობლემების წარმოსაჩენად, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი იქნება პირველი ობიექტური პირის ნიშანიც მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში: **მ-** – პირველი ობიექტური პირის ნიშანი მხოლოდობითი რიცხვისა, იწერება ყოველთვის, ხოლო თუ ზმნის ფუძე **მ** თანხმოვნით იწყება, ორი **მ** მოიყრის თავს ერთად: მმაღლავს, მმართვეს; **გგ-** – პირველი ობიექტური პირის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა, იწერება ყოველთვის, ხოლო თუ ზმნის ფუძე **გგ**-თი იწყება, ორი **გგ** მოიყრის თავს ერთად: გვგვრის, დავგვვიანებია.

ზემოთ აღნიშნული ორთოგრაფიული სირთულენი, რა თქმა უნდა, ანბანური რიგის მიხედვით გაწყობილ ზმნებშიც შეიძლება აისახოს თავ-თავის ადგილას, მაგ.: ვარჯიშობს (ვვარჯიშობ, ვარჯიშობ), ან კიდევ: ვვარჯიშობ მე (ვარჯიშობ შენ) – სწორედ ისე, როგორც ეს არის წარმოდგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. ასეთ შემთხვევებში პირისნიშნისეული პრეფიქსების ცალკე სტატიებად გამოყოფა შესაძლოა საჭირო აღარც იყოს, თუმცა ორივე ვარიანტის გათვალისწინებაც (პირის ნიშნის ცალკე გამოყოფა კომენტარითურთ და ანბანური რიგის მიხედვით განლაგებულ ზმნებში მისი ასახვა) სავსებით მისაღებია, ოღონდ – ერთგვაროვნების დაცვით.

რედუქლიკაცია ლეზგიურში ფორმოზრივი და სემანტიკური თვალსაზრისით

რედუქლიკაცია, ჩვეულებრივ, ერთდრულად მოიცავს ფონოლოგიისა და მორფოლოგიის წესებს. თუმცა თითოეულ ენაში ფონოლოგიისა და მორფოლოგიის კვეთა რედუქლიკაციისას შეიძლება სხვადასხვაგვარად წარმოჩნდეს.

მრავალ ენაში რედუქლიკაციის ერთ-ერთი ფუნქცია განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობის წარმოებაა. ლეზგიურში, კერძოდ, ბრძანებითის ფორმათა გამოხატვის ერთი გზა სწორედ ფუძის გაორკეცებაა.

მოხსენებაში განვიხილავთ რედუქლიკაციის ისეთ შემთხვევებს, როდესაც თავდაპირველი ფუძე გარკვეული მნიშვნელობის მქონე იყო და რედუქლიკაციის შედეგად ახალი შინაარსის სიტყვა მივიღეთ.

სპეციალურ ლიტერატურაში ლეზგიურ ენაში შენიშნული რედუქლიკაციის ტიპები ფორმოზრივად შესწავლილია (მაგალითად, რ.გაიდაროვი გამოყოფს რედუქლიკაციის 11 ტიპს ფორმის თვალსაზრისით და ახასიათებს მათ).

მოხსენებაში ლეზგიურის სალიტერატურო ენისა და დიალექტური მასალის საფუძველზე განვიხილავთ რედუქლიკაციის ტიპურ შემთხვევებს: სეგმენტების, მარცვლის გაორკეცვებით მიღებულ ახალ სტრუქტურულ ფორმებს. ცალკე გამოყოფთ მხოლოდ დიალექტებში შენიშნულ რედუქლიკაციის შემთხვევებს, ასევე გავაანალიზებთ ენობრივი კონტაქტების შედეგად ენაში შესულ რედუქლიციურებულ ფორმებს. ამასთან, გავარკვევთ გაორკეცვებული სიტყვების იმ ახალ სემანტიკას, რომელიც რედუქლიკაციით მიიღება.

**ფორმაუცვლელ სიტყვათა ანოტირების ზოგი
საკითხისათვის ქართულ დიალექტურ და
სამეცნიერო მეტაენის კორპუსებში
(თანდებული, ნაწილაკი, კავშირი)**

ქართულ დიალექტურ და სამეცნიერო მეტაენის კორპუსების ტექსტების ანოტირების ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლემატიზაციისა და ანოტირების შედეგების ტესტირება, რაც ითვალისწინებს მცდარი ფორმების გამოვლენასა და ამოუცნობი ფორმებისათვის ლემისა და გრამატიკული მახასიათებლების მიწერას, განსაკუთრებით, პირველი (მეტყველების ნაწილის აღმნიშვნელი) მარკერისა. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც მოითხოვს ერთიან მიდგომასა და საერთო პრინციპების შემუშავებას. ანალიზატორი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენისათვის არის შექმნილი და რომელიც ნაწილობრივი ავტომატური ანოტირებისთვის გამოვიყენეთ (Geo Trans), ემყარება აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“ და „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“.

ტესტირებისა და საბოლოო გრამატიკული ანოტირების პროცესში გამოჩნდა, რომ ფორმაუცვლელი სიტყვებისთვის გრამატიკული მახასიათებლის მინიჭება ზოგჯერ გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. წინამდებარე მოხსენებაში შევხებით ისეთ ფორმებს, რომლებსაც აკ. შანიძე მხლებლებს უწოდებს: „მხლებლის“ სახელით აღინიშნება სიტყვები, ბგერა თუ ბგერათა კომპლექსები, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახური უწევთ ენაში: ისინი ემსახურებიან სხვა სიტყვებს ან მთელ წინადადებას“ (აკ. შანიძე). მკვლევარი მხლებლებს უწოდებს თანდებულს, კავშირსა და ნაწილაკს.

ამჯერად განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას, რომლებსაც განსხვავებული კვალიფიკაცია აქვს სამეცნიერო ლიტერატურაში (ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ქეგლი, ქართული ლექსიკონი (ელექტრონული ვერსია – ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი), ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ. ბერიძე) და წარმოვადგენთ კორპუსის ანოტირების დროს მიღებულ ჩვენს გადაწყვეტილებას.

თაობაზე

ეს ფორმა ნაწარმოებია თავ- არსებითი სახელისაგან აბსტრაქტულობის -ობა სუფიქსის დართვით (**თაობაზე – თავ(ც)-ობ-ა(ს)-ზე** (მორფემების ლექსიკონი, 1988, გვ.190). **თაობაზე** მნიშვნელობით უტოლდება **შესახებ** ფორმას. აკ. შანიძეს ცალკე გამოყოფილი აქვს **შესახებ** თანდებული, მაგრამ არა აქვს – **თაობაზე**. ქეგლ-ში **თაობაზე** განმარტებულია როგორც **დამხმარე სიტყვა**. მორფემების ლექსიკონის შემდგენლებისათვის **თაობაზე** თანდებულ-მორფემოიდია, რომელიც დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (იწერება ცალკე) და გამოხატავს საუბრის (ფიქრის, ოცნების...) ობიექტს (მორფემების ლექსიკონი, გვ.190). ქართულ ლექსიკონში **თაობაზე** ზმნიზედად არის კვალიფიცირებული, ხოლო განმარტებად უწერია **შესახებ**, რომელიც თავის მხრივ თანდებულად არის მიჩნეული.

ჩვენს კორპუსებში **თაობაზე** თანდებულად არის მონიშნული.

მიხედვით

აკ. შანიძესთან **მიხედვით** თანდებულია, ქეგლ-ში – ზმნიზედა, მორფემების ლექსიკონში -თანდებულ-მორფემოიდია, რომელიც დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (იწერება ცალკე) და გამოხატავს რისამე შესაბამისობას, შესატყვისობას (მორფემების ლექსიკონი, გვ.300). ქართულ ლექსიკონში **მიხედვით** თანდებულია, ჩვენც თანდებულის სასარგებლოდ ვაკეთებთ არჩევანს: „ყანის სიგრძის **მიხედვით** სამანი შეიძლება ოთხიგ იყოს ერთ მწკრივზე“.

ვინიცობაა

აკ. შანიძეს **ვინიცობაა** განხილული არა აქვს, ქეგლ-ში ის ჩართულ სიტყვად არის განმარტებული. მორფემების ლექსიკონში **ვინიცობაა** მოდალური ფორმაა, რომელიც გამოხატავს პირობა-შესაძლებლობას; ჩვეულებრივ გამოიყენება „თუ“ კავშირთან ერთად (მორფემების ლექსიკონი, გვ.172). ქართულ ლექსიკონში მას არ უწერია გრამატიკული ჯგუფის მარკერი, მაგრამ განმარტებულია როგორც **იმ შემთხვევაში, თუ**.

ჩვენი აზრით, **ვინიცობაა** უნდა განვიხილოთ ნაწილაკად (შდრ.: იქნებ, ვინძლო და სხვ.) „ვინიცობაა ეჭვი აიღონ, ქაღალდები ვიპოვე-თქო“.

კინალამ

კინალამ აკ.შანიძეს ნაწილაკად აქვს მიჩნეული (აკ. შანიძე, გვ. 614). ქეგლ-ში **კინალამ** ზმნისართად არის განმარტებული: ცოტადა აკლდა, თითქმის, ლამის. მორფემების ლექსიკონის შემდგენლებისთვის **კინალამ** ნაწილაკ-მორფემოიდია, რომელიც უკავშირდება ზმნის ფორმას და აღნიშნავს ოდნაობას, მიახლოებითობას, იმავეს, რასაც „თითქმის“, „ლამის“ (მორფემების ლექსიკონი, გვ. 264). „ქართული ლექსიკონის“ შემდგენლებისთვის **კინალამ** ზმნიზედაა, განმარტებულია, როგორც თითქმის, ლამის. **კინალამ** კორპუსში ნაწილაკად მოვნიშნეთ (ასევე ნაწილაკებად გვაქვს მონიშნული ფორმები თითქმის და ლამის): მაგალითად: „**კინალამ** დაბინდებამდი ვიყავით“. „აბუთიძე [ცხენს] ყელში ეცა, **კინალამ** გამოწელა“.

კო

აკ. შანიძეს **კო** მიჩნეული აქვს კავშირად და ნაწილაკად. განმარტებით ლექსიკონში **კო** ზმნიზედად და მიგებითი ნაწილაკად არის მიჩნეული. მორფემების ლექსიკონში ორგვარი **კო** არის გამოყოფილი: I – ნაწილაკ-მორფემოიდი, რომელსაც აქვს შემდეგი ფუნქციები: ა) მტკიცებითი, ბ) გაძლიერებითი, გ) დაპირისპირებითი, დ) დაეჭვებითი. II – დადასტურებითი ნაწილაკ-მორფემოიდი; იგივეა, რაც „ჰო“, „დაიხ“ (მორფემების ლექსიკონი, 260). „ქართული ლექსიკონის“ შემდგენლებისთვის **კო** ომონიმური მნიშვნელობისაა: ნაწილაკი და კავშირი.

კორპუსშიც **კო** ომონიმურ ფორმად არის მონიშნული – ნაწილაკად და კავშირად.

მოხსენებაში განხილული იქნება ფორმაუცვლელი სიტყვების განსხვავებული კვალიფიკაციის სხვა შემთხვევებიც.

**-მდე, -მდის თანდებულთა მართლწერისათვის
თანამედროვე ქართულში**

-მდე//მდის თანდებულები დაერთვის მიმართულებითი ბრუნვის ფორმას. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ძველ ქართულში მიმართულებითი ბრუნვის „დ“ **მდე // მდის** თანდებულის წინ მეტწილად დაცული იყო (**დღე-დ-მდე // დღე-დ/მდის, სახლ-ად-მდე...**). მაინც მიმართულებითის „დ“ ამ თანდებულის წინ ადრევე დაიკარგა... ასევეა დღევანდელ ქართულშიც. მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებშია შემონახული მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის „ა“ ელემენტი (**სახლ-ა-მდე**). ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა ამ თანდებულის ორივე ვარიანტი: **-მდე** და **-მდის**, რომელთაგან უფრო გავრცელებული იყო **მდე**. XVI-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში ამათ დაემატა **-მდენ, -მდენა, -მდი, -მდინა, -მდისინ, -მდისინა** ვარიანტები, რომლებიც ამჟამად დაცულია კილოებში და ზოგი მათგანი გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის მწერალთა ენაში (ნორმები).

ანალოგიური ვითარება გვაქვს დღევანდელ სალიტერატურო ქართულშიც, – აღნიშნულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში: **-მდე, -მდის** სახეობები თითქმის თანაბრადაა გავრცელებული. ამასთან, **მდის** სახეობაა გამოყენებული ზოგიერთ გაქვავებულ გამოთქმაში, როგორცაა, მაგალითად, გამოთხოვების ფორმულები: **ნახვამდის, ხვალამდის**. ენობრივად ორივე ვარიანტი სწორია, ფუნქციური განსხვავება მათ შორის არ არის. მაინცდამაინც უფრო გავრცელებული **-მდე** სახეობაა [იქვე].

აღნიშნული თანდებულები „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია შემდეგნაირად: „**-მდე // -მდის თანდებული** (მაგ.: ქალაქამდე // ქალაქამდის; ნახვამდის)“ (ქეოლი).

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულში?

სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის თანახმად (აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით), **-მდე** თანდებულიანი ფორმები საგრძნობლად სჭარბობს **-მდის** თანდებულიან ვარიანტებს. ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **-მდე**, **-მდის** თანდებულები შემდეგნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი: **-მდე** [// **-მდის**].

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

კავკასიის ალბანური ანბანის ერთი პოლიფუნქციური ასო-ნიშნის შესახებ

კავკასიის ალბანურ ანბანში დასტურდება **ს** გრაფემა, რომელიც, ჩვეულებრივ, ოდენ ფარინგალიზაციის გამომხატველია. ის **ა**, **ე** და **ო** ხმოვნებთან (იშვიათად – **ო** და **უ** ხმოვნებთანაც) ჰქმნის გრაფიკულ კომბინაციებს და, ჩვენი აზრით, მას, ამ შემთხვევაში, ფონემის სტატუსი არ მოეპოვება, თუმცა ინტერვოკალურ პოზიციაში ეს ნიშანი თითქოსდა **შ** ბგერას ან მის რომელიმე ფონეტიკურ ვარიანტს გადმოსცემს, მაგ., **ა.ო.ჩ.ს.ჯ. მუ(შ?)აკ** „მუშაკი“, შდრ. ქართ. **მუშაკ-ო**, სომხ. **მშაკ** „id“; **ა.ო.ს.ჯ. ხო(შ?)აკ** „სიცხე“, „ფაფანაკება“, შდრ. ქართ. **ხორშაკ-ო**, სომხ. **ხორშაკ** „id“; **ჩ.ჯ.ჯ.ჯ. ვა(შ?)ამაკ** „სუდარი“, შდრ. ქართ. **ვარშამაკ-ო**, სომხ. **ვარშამაკ** „id“; **ყ.ს.ჯ. ო(შ?)ა** „ახლოს“, შდრ. უდ. **იშა** „id“. ამ მაგალითთა რიცხვს შეიძლება კიდევ სამი ლექსემა დავუმატოთ, ესენია **ხი(შ?)უ** „ქალი“, „ცოლი“, **ო(შ?)უა** „ქვრივი“ და **ნაი(შ?)უ** „მონა“, „მსახური“. სამივე ლექსემა ნაწარმოებია **იშუ** „კაცი“, „ქმარი“ სიტყვისაგან, შდრ. უდ. **იშუ** „id“.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლექსემას **ო(შ?)ა** „ახლოს“, ფონემური ღირებულება **ს** ასო-ბგერისა წარმოდგენილ მაგალითებში თითქოსდა უნდა განისაზღვროს როგორც „მარტივი“ **შ**

ბგერა, მეორე მხრივ კი, – ის ფაქტი, რომ ამ ასო-ნიშნით აღინიშნება ფარინგალიზაცია, მხარს უჭერს ვარაუდს ამ ბგერის ფარინგალიზებულიობის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ კავკასიის ალბანურ ანბანში, თუ ამ საექვო შემთხვევას არ მივიღებთ მხედველობაში, არ გვაქვს პრეცედენტი, რომ ერთი და იგივე ფონემა ორი გრაფემით იყოს გადმოცემული.¹ თუ ამ ფაქტით ვიხელმძღვანელებთ და გამოვრიცხავთ, რომ აქ შეიძლება იყოს ან „მარტივი“ **შ** ბგერა ან მისი ფარინგალიზებული ვარიანტი, მაშინ რომელ ბგერას აღნიშნავს **ს** ასო-ნიშანი ზემოთ წარმოდგენილ ლექსებში?

ვფიქრობთ, რომ აქ შეიძლება გვექნოდეს ინტენსიური **შ** ბგერა. ის ფაქტი, რომ ეს ბგერა კავკასიის ალბანურში პოზიციურად შეპირობებულია – გვხვდება მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში – გამორიცხავს მის ფონემურობას. ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ დადესტნურ ენებში ბგერის გაინტენსირება ინტერვოკალურ პოზიციაში ხშირი მოვლენაა.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ **ს** ასო-ნიშანი გამოყენებულია ორი რადიკალურად განსხვავებული ფუნქციით. თუ გავითვალისწინებთ ამ ასო-ბგერის სახელწოდებას ალბანური ანბანის სომხურ ნუსხებში („**შა**“), ეჭვს არ იწვევს, რომ მისი ერთ-ერთი ფუნქცია **შ**-ს ან მსგავსი ბგერის გადმოცემაში მდგომარეობდა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ იქნა არჩეული ეს ასო-ბგერა ფარინგალიზაციის გადმოსაცემად ალბანური ანბანის შემქმნელისა (ან შემქმნელთა) მიერ. ეს შეიძლება ყოფილიყო მისი პოზიციური შეზღუდულობა, ანუ გამოყენება სულ რამდენიმე სიტყვაში (ფუნქციური აღრევა რომ არ მომხდარიყო), ანდა მათ მიიჩნიეს, რომ ამ გრაფემით გადმოცემული ბგერა ყველაზე ახლოსაა ფარინგალიზაციის ქდერადობასთან კავკასიის ალბანურში.

¹ მხოლოდ **ლ** ნიშანი ბერძულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში, რომლებიც შეიცავს **ჲ**-ს, სავარაუდოდ აღნიშნავს **ჟ** ბგერას, ისევე როგორც **ქ** ასო-ნიშანი. თუმცა აქ გასათვალისწინებელია იმჟამინდელი ბერძნულის იდენტური მდგომარეობა და მისი დიდი გავლენა კავკასიის ალბანურზე.

საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველ ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ენა ლექსიკურ საშუალებას მაშინ მიმართავს, როცა მორფოლოგიური საშუალება არა აქვს განვითარებული რაიმე სემანტიკის გადმოსაცემად... ენაში უნახაობის გამომხატვის მოთხოვნილებამ, რომელსაც მორფოლოგიური საშუალება არ გააჩნდა, ლექსიკური წარმოშვა. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფუნქციის გადმოცემა ფორმებს დაეკისრა; მაგრამ, რამდენადაც ამისთვის განსაკუთრებული ნაკვეთი არ შეიქმნა (მორფოლოგიური ნიშანი არ გაჩნდა), ნაწილაკი ენაში დარჩა, როგორც მოქნილი საშუალება უნახაობის გამომხატვისა“ (ა. არაბული 1984).

როგორც კვლევამ გვაჩვენა, სვანურში ე. წ. უნახაობის სემანტიკის ძლიერმა მოთხოვნილებამ განაპირობა არა მარტო პერფექტული მწკრივების ფუნქციურად გამოყენება, არამედ სპეციალური მწკრივებისა და მორფემის ჩამოყალიბება. მართლაც, მიუხედავად ამისა, ამ ზმნურ ფორმებთან (I შედეგობითის უპრევერბო ფორმებში, I სერიის თურმეობითებში), ნაწილაკი **ესნარ¹** (**თურმე**) არა მხოლოდ თავსებადია, არამედ მეტწილად შენარჩუნებულია.

სხვა ვითარებაა საკუთრივ ინფერენციულ, საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველ მწკრივებთან, რომელთა ფარდი ფორმები ქართულ ენაში არ არის.

ეს ზმნური ფორმები სრულებით ვერ ითავსებენ ვერც **ესნარ** ნაწილაკს და ვერც საეჭვოობის გამომხატველ დამხმარე ლექსემებს, რომლებიც ენაში უფრო მრავლადაა: **მერეს**, **დრუე/დოდუე**, **მაჰშლი**, **ჰეურდ** (< ზმნიზედა **ჰედურდ** – „მთლიანად“, „მთლად“) – „აღბათ“, „როგორც ჩანს“; ეს ნაწილაკები მხოლოდ არავეიდენციალურ (resp. პირდაპირვეიდენციალურ, ნეიტრალურ) ზმნებთან (აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, ოდენ „წინდებულ-თანდებულაინი“ წარმოების მყოფადი, I და II შედეგობითის უპრევერბო, უსუფიქსო ფორმები) ერთად გამოიყენება;

ინფერენციულ მწკრივებთან ამ ნაწილაკების შეუთავსებლობის მიზეზი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იყოს: რომ აღნიშნულ მწკრივთა კილო პირობითია (შდრ. ქართულის ვითარება: -**მცა** ნაწილაკი არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას) და, როგორც ქართულშია შეუძლებელი ენის მცოდნემ თქვას სინტაგმა: „აღბათ დაწერდეს“ ან „აღბათ დაწეროს“, ასევე მიუღებელია სვანურში პირობითობის, სავარაუდოობის მნიშვნელობის მქონე ზმნებთან ამავე სემანტიკის დამხმარე საშუალებათა გამოყენება, რაც იმაზე მეტყველებს რომ საანალიზო მწკრივებს მოგვიანებით კი არ დაეკისრა სავარაუდოობის სემანტიკის გამოხატვის ფუნქცია, არამედ ისინი იმთავითვე ამისთვის შეიქმნა (ამას ადასტურებს სპეციალური მორფემაც); ამიტომაც, თურმეობითებისგან განსხვავებით, ისინი ვერ იგუებენ საანალიზო სემანტიკის ნაწილაკებს. ისინი მხოლოდ ინდიკატიურ ზმნურ ფორმებთან გამოიყენება. როგორც ჩანს, თხრობითი კილო, რომელიც ნეიტრალურია, ნაკლებ პრეტენზიულია დამხმარე, ლექსიკურ საშუალებებთან დაწყვილების თვალსაზრისით, ხოლო კავშირებითი და პირობითი, სწორედ სპეციფიკური სემანტიკის გამო, ამ მრივ გარკვეულწილად შეზღუდულია.

ნ ა ნ ა მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ინსტრუმენტალისის -ლა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში

აფხაზურში ინსტრუმენტალისის კატეგორია იწარმოება -**ლა** სუფიქსით. ამ კატეგორიაში სახელი ზოგადობის **ა**- პრეიქსის გარეშე: **აჩგ** „ცხენი“, **ჩგ-ლა** „ცხენით“.

ზოგჯერ -**ლა** სუფიქსი დამოუკიდებელი ფუძის სახითაც გვხვდება; ეს ხდება მაგ.: მრავლობით რიცხვში: **აჩჟა რგ-ლა**, სიტყვა-სიტყვით: **„ცხენები მათ-ით“**... (მესამე პირის მრავლობითობის **რ**-პრეიქსის დართვით -**ლა** ფუძე-სუფიქსზე).

ზოგადად, „მანძილი სახელსა და ზმნას შორის აფხაზურში მეტად მცირეა“ (ქ. ლომთათიძე).

„ზმნებთან შედარებით სახელს შესაძლოა თითო-ოროლა განსხვავებული აფიქსი გააჩნდეს“ (ქ. ლომთათიძე).

ლა- არის ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს შიგ მყოფობას: აბნა **ა-ლო-უპ** „ის (არაგ.) ტყეში შიგ არის“...

ლა- ძირ-სუფიქსია, რომელიც აღნიშნავს იქითა მიმართულებას გარდაუვალ ზმნაში: აწლა დექ.ლომტ „ხეზე ავიდა“.

-ლა სუფიქსი აღიშნავს იქითა მიმართულებას, საპირისპიროა **-აა...**

-ლა პრეფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმართულებას ზევიდან ქვევით: დ-**ლა-ზ-გო-მტ** „მე ის ჩამომყავს დაბლა“.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსის მასალობრივი ერთიანობა ლოკალურ პრევერბ **-ლა-სა** და იქითა მიმართულების აღმნიშვნელ **-ლა** ელემენტს, ასევე ძირ-სუფიქს **ლა-ს** შორის შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს და ამ **-ლა-** ელემენტის თავდაპირველი ამოსავალი მნიშვნელობა „**თან შეტანება, შიგ მყოფობა, საიქითო მიმართულების აღნიშვნა**“ იყოს.

ე ლ ე ნ ე ნ ა პ ი რ ე ლ ი

კახური დიალექტური ლექსიკისთვის

(ქდკ-ის ტექსტების მიხედვით)

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა. კახურ მასალაზე მუშაობისას გამოიკვეთა მთელი რიგი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც დამოწმებული არ არის სხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროებში.

საკვლევად ავიღეთ ქართულ დიალექტურ კორპუსში გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები. კორპუსში ინტეგრირებულია სხვადასხვა დროს კახეთის სხვადასხვა რაიონში ჩაწერილი მასალა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი

(1949–1988); შინამრეწველობის მასალები ((პირველ–ასლები) (შეკრებილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით), კახური დიალექტი (გრიგოლ იმნაიშვილი, არამ მარტიროსოვი, 1952) და სხვა.

დღეისათვის ქედკ-ის კახურ ლექსიკონში ინტეგრირებულია სტეფანე მენთემაშვილის „ქიზიყური ლექსიკონიც“. ლექსიკოგრაფიული რედაქტორი იძლევა იმის საშუალებას, რომ ლექსიკოგრაფიულ წყაროს ნებისმიერ დროს დაემატოს ახალი მასალა ყველა საჭირო საავტორო მითითებით. ამჟამად მიმდინარეობს კახური ლექსიკის დაზუსტება, შეკრება და ლექსიკონის შევსება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე არ გვაქვს ერთ ლექსიკონად წარმოდგენილი კახური ლექსიკა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ლექსიკური ერთეულების მცირე ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ დასტურდება ან განსხვავებული შინაარსით გვხვდება.

ნიშნოულობა კორპუსის მასალიდან გამომდინარე მას დაემატა ახალი მნიშვნელობა: *დანიშნულება*, ეს ლემა იმერულ და ფერეიდნულ დიალექტებშიც გვხვდება, ოღონდ სხვა შინაარსით (მაგ.: ნიშნოულობა (იმერ.), ნიშნულობა (ფერეიდ.) „*მნიშვნელობა*“);

ღირება = *ღირებულება*, ეს ლემა ხევსურულ დიალექტშიც გვხვდება, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით (იხ. ღირება (ხევს.) „*ღერება, მინიშნება*“);

დაპლანვა (план რუს.) = *ადგილებად დაყოფა*, ეს ლემა იმერულ დიალექტშიც დადასტურდა, მაგრამ ცოტა განსხვავებული შინაარსით (იხ.: დაპლანავს „*დაგეგმავს, მიწას დაყოფს რიგებად ნამყენი ვაზის დასარგავად*“). აღსანიშნავია, რომ კახურ დიალექტში ამ მნიშვნელობითაც გამოიყენება ეს ლემა.

გაეყუფება, ფეხი გაეყუფება = *ფეხი გაებმება, (ყუფულ* ლემა ინგილოურ დიალექტში „*ბოქლომის*“ მნიშვნელობით გამოიყენება; ყულფი, ყულფიანი იხ. განმარტებით ლექსიკონში);

დაოდებული = *ოდი, სოკო რომ გაუჩნდება, დანესტილი*;

დამშოთამს = *კარგ შოთის პურებს დააცხოფს*;

დასარჩლული = *სარჩულიანი*;

გვაობს = *ხარობს, ეგუება*;

გაღირჯნილი = *ნაყვავილარი, დასახიჩრებული*, იმავე ძირის სიტყვა იმერულ ლექსიკონშიც დადასტურდა (იხ.: მოღირჯენა „*უსწორმასწოროდ მოკბენა ხილისა*“);

ზუის, ინდაური ზუის = *ხმაურობს, ინდაური ხმაურობს* და მრავალი სხვა.

ყველა ასეთი ლექსიკური ერთეული ქართული დიალექტური კორპუსის კახურ ლექსიკონში შევა ცალკე სალექსიკონო სტატიად, რომელშიც ლემას ექნება სათანადო განმარტება, ილუსტრაციები, ფონეტიკური და გრამატიკული ვარიაციები. წყაროდ მიეთითება ქდკ – კახური ლექსიკონი.

ამ და სხვა ფორმებს უფრო ვრცლად წარმოვადგენთ მოხსენებაში.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

„წმინდა პურისა“ და ნარევი პურის სახელმძღვანელო ლექსემათა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება

პურის, როგორც უძველესი და უმთავრესი საკვები პროდუქტის, სახელმძღვანელო ლექსიკურ ერთეულებში უხვი და ნაირგვარი კულტურული ინფორმაციაა დაუნჯებული.

ორკომპონენტიანი სახელი „**წმინდა პური**“ „შეურველ პურს“ აღნიშნავს და ამით გვამცნობს „ნარევი პურების“ არსებობასაც. „წმინდა პური“ „ხორბლის პურის“ სახელია (ფშაურ დიალექტში **წმინდა** ხორბალს ნიშნავს, **წმინდის** პური – ხორბლის პურს). პური, თავის მხრივ, ქართულ დისკურსში ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ხორბლეულის ფქვილისგან გამომცხვარი საკვები და როგორც ერთწლოვანი მცენარე (ხორბალი), რომლის დაფქული მარცვლისგანაც მზადდება ეს საკვები. შესიტყვება „წმინდა პური“ ორივე მნიშვნელობით გამოიყენება: „წმინდა პური“ – როგორც მხოლოდ ხორბლის ნათესი და „წმინდა პური“ – როგორც მხოლოდ ხორბლის ფქვილით გამომცხვარი პური. ასევეა ნარევი პურის შემდეგი სახელებიც:

ქერდიკა აღნიშნავს როგორც ქერსა და დიკას ერთმანეთში არეულსა და დათესილს, ასევე ქერისა და დიკის ნარევი ფქვილით გამომცხვარ პურს;

ქერსვილა ქერნარევი ჭვავის ნათესსაც ჰქვია და ქერნარევი ჭვავის პურსაც;

ქერჭელა იგივე **ქერჭრელი** ერთმანეთში არეული ქერი და ხორბალია, ცნობილია ამავე სახელის პურიც (შდრ. **ჭვავჭრელი** – ჰიბრიდული მცენარე, რომელიც ჭვავისა და ხორბლის ურთიერთდამტვერვით მიიღება).

რადგან ქერის ფქვილისაგან გამომცხვარ პურს გაფუების ნაკლები უნარი აქვს, მას ხშირად ურევდნენ ხორბლის ფქვილს, რაც აისახა კიდევ პურის სახელებში. ნარევი პურის ერთ-ერთი სახეობაა **მჭადპურაც**, რომელიც ხორბლისა და სიმინდის ან ხორბლისა და ფეტვის ფქვილის ნაზავისაგან გამომცხვარი პურია. ამ უკანასკნელის აღმნიშვნელ სახელს განსხვავებული სტრუქტურა აქვს იმიტომ, რომ მისი პირველი კომპონენტი „მჭად“ უკვე გამომცხვარი პროდუქტის სახელის ფუძეა. „მჭადი“ ძველად ფეტვის პურს ერქვა (გურულსა და ქვემო იმერულში მჭადი იგივეა, რაც ფეტვი), შემდეგ სიმინდის ფქვილის ნამცხვარს ეწოდა.

ზემოთ დასახელებულ ლექსემებში შენახულია შემდეგი მნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული ინფორმაცია: ა) პურს აცხოვდნენ მხოლოდ ხორბლის ფქვილისაგან (წმინდა პური, პური = ხორბალი); ბ) პურის გამოსაცხობად იყენებდნენ ნარევი ფქვილს; გ) პურის ცხობისას მოიხმარდნენ ხორბლის (პური = ხორბალი; დიკა – საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი), ქერის, სვილის (იმავე ჭვავის), ფეტვისა და სიმინდის ფქვილს.

„წმინდა პური“, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ ორი მნიშვნელობის გამომხატველია: ერთი ფქვილის მიღების ტექნოლოგიურ პროცესს – წვრილად დაფქვას – ასახავს (წმინდა პური წმინდა, ანუ წვრილად დაფქული ფქვილისაგან გამომცხვარი პურია); მეორე – პურის საკრალურობასა და მის სარიტუალო ობიექტად სახელდება გულისხმობს (თონეც წმინდა ადგილად იყო მიჩნეული).

მოხსენებაში განვიხილავთ ყოველი ერთეულის სალიტერატურო თუ დიალექტურ კონტექსტებს, რის საფუძველზეც აღვწერთ თითოეული მათგანის კონოტაციურსა და პრაგმატიკულ ველებს.

არქაული და ნასესხები ლექსიკა სვანურ ხალხურ ზღაპრებში

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გააქტიურდა ქართველოლოგიური კვლევა-ძიება, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას უკვე დიდი ხანია იქცევს უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემები. ამ მხრივ გამოირჩევა სვანური, რომლის ძირითად ლექსიკურ ფონდში, გრამატიკულ სტრუქტურასა თუ ფონოლოგიურ გარდაქმნებში არაერთი არქაიზმია შენარჩუნებული. მეტადრე ეს შეიძლება ითქვას ზღაპარზე, რომელიც თავისთავად არქაული მოვლენაა და უხვად შეიცავს უძველესი ცხოვრების რუდიმენტებს. მისი პირვანდელი მხატვრული სამყარო კი, როგორც ცნობილია, ეყრდნობა მითოლოგიური და უფრო ადრეული წარმოსახვის ხანას ადამიანის აზროვნებაში.

თხრობით ჟანრებს შორის ცენტრალური ადგილი სწორედ ზღაპარს უჭირავს, რაც აიხსნება მისი თემატიკური დიაპაზონითა და მხატვრული მრავალფეროვნებით. თავის მხრივ თემატიკური სიუხვე ცხადყოფს ზღაპრის დიდხნოვანობას და აქტიურ სოციალურ ფუნქციას... ცხადია, ზღაპარს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს როგორც ზეპირად, ისე წერილობით, ქართველები, როგორც ჟანრს, ქრისტიანობამდეც იცნობდნენ. ის უდიდესი მასალა კი, რომელიც აქამდე ბეჭდვითი სიტყვით არის ცნობილი ან არქივებში ხელნაწერების სახით ინახება, სრულ შესაძლებლობას აძლევს მკვლევრებს იმსჯელონ ქართული ზღაპრული ეპოსის ბუნების შესახებ და იგი მეცნიერული შესწავლის საგნად აქციონ.

ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა სვანური მრავალფეროვანი ზღაპრების მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა მათი არქაულობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე. სვანურ ზღაპრებში უხვად არის წარმოდგენილი როგორც ცხოველთა სამყაროს ამსახველი, ისე საყოფაცხოვრებო ხასიათის ზღაპრები, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო ადგილი მაინც ჯადოსნურ ზღაპრებს უკავია.

ამ მხრივ სვანური მასალა დიდი არჩევანის საშუალებას იძლევა და უმდიდრესია საქართველოს სხვა კუთხეების ფოლკლორულ მონაცემებთან მიმართებით. ამასთანავე, ეს ზღაპრები მკითხველს აცნობს სვანების ნატურასა და ოცნებას ზღაპრულ გარემოში წარმოდგენილს. მათი საშუალებით კი შესაძლებელი ხდება ფასდაუდებელი ინფორმაცია მოვიპოვოთ ამ ხალხის წარსულის, უძველესი რელიგიის, წესჩვეულებებისა და ა. შ. შესახებ.

მოხსენებაში შეძლებისდაგვარად დაწვრილებით იქნება განხილული სვანურ სხვადასხვა ჟანრის ზღაპრებში წარმოდგენილი როგორც არქაული (მაგ.: **პკი-კპკი** „წამოძახილი ერთ-ერთი ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულების შესრულების დროს“, **ჯგერა** „წმინდა გიორგი“, **ბარბალ** „წმინდა ბარბარე“, **კამინჩირხა** „ციდამტკაველა“, **ჩალქმეტ** „მოკლე და წვრილი ბაწარი“, **ტარხან** „ხელკეტი, ჭოლოკი; თოფი“...), ასევე სხვადასხვა ენობრივი სამყაროდან (ქართულ-მეგრული, აფხაზურ-ადიღეური, დაღესტნური, ნახური...) შემოსული ლექსიკური ერთეულების (*ტოპონიმების – ელოლანა ი გელოლანა* „ელოლანი და გელოლანი/გალილეა“, *იურქქეთი ი თურქქეთი* „იურქეთი და თურქეთი“, *სათათრეთ* „სათათრეთი“, *ბალდაჩი* „ბალდაჩი“, *ბალღეთ* „ბალღეთი“..., *ანთროპონიმების – ალმასხანი* „ალმასხანი“, *სოსრუყუტ* „სოსრუყვი“, *არაფერანა* „არაფერა“, *ადილგერ* „ადილგერი“, *ვაშლიშვილი* „ვაშლიშვილი“, *როსტომ* „როსტომი“..., *საზოგადო სახელების: დედაბერ* „მოხუცი ქალი, დედაბერი“, *დიდაბ* „დიდება“, *ზეთუნახაპუ* „მზეთუნახავი“, *ლიბულქოუწალ* „ბანქოს/კარტის თამაში“, *სპედაგ* „სპეტაკი“, *ბროწოუილი* „ბროწეული“, *დედფალ* „დედოფალი“, *ლიპრისდალ* „ნათლობა“...) სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი.

ბუნებრივია, ნასესხებ ფორმათა პარალელურად ყურადღება იქნება გამახვილებული საკუთრივ სვანურ მასალაზეც, რომელიც გარდა ზღაპრებისა სხვა თხრობით ჟანრებში არ დასტურდება (მაგ.: **იშთხილ-მიშთხილ**, **იხნილ-მიხნილ** და მისთ.) და, შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრამატიკული სტრუქტურის თვალსაზრისითაც.

თურქეთის ქართველთა მეტყველებიდან:

-თ ა ლ ა ი დაბოლოებიანი ზმნისართები

გურჯულ მეტყველებაში – ძირითადად, შავშურ-იმერხეულსა და კლარჯულში – დასტურდება ზმნისართთა წარმოების ტიპი, რომელიც გამოავლენს **თალაი / თალაი** დაბოლოებას. ეს ზმნისართები: **თავითალაი, თავეთთალაი, მისთალაი, მითთათალაი, ჩემთალაი, თქუნთალაი, თქუნთათალაი...** (შ. ფუტკარაძე). დასტურდება ამ დაბოლოების **-თლაი** ვარიანტი, რომელიც უთუოდ „თალაი“-ს შეკუმშვით (/ა/ ხმოვნის ამოვარდნა) არის მიღებული: -თალაი<-თლაი: **ჩემ-თა-თლაი, მის-თა-თლაი...**

აღნიშნული ზმნისართები მომდინარეობენ შესაბამისი უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან (ჩემი, შენი, მისი, თავისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავიეთ) და ზმნისართის როლშიც ინარჩუნებენ იმავე რეფლექსურ-კუთვნილებით სემანტიკას: მაგ.: **თავითალაი** = თავისთავად, თავისით, სხვისი ჩარევის გარეშე: „არ უნდა წახმარება, **თავეთ** იცის იმან. **თავითალაი** შევა ისა, **თავითალაი** შევა შიგან“ (იმერხევი, ჩაქველთა), **მისთათლაი** = თავისით, თავისთავად: „ყურძენი **მისთათლაი** დებდაჭება“.

სტრუქტურული შეპირისპირების გზით ვლინდება, რომ: ა) ზმნისართთა ერთ წყებაში **თალაი** დართულია უშუალოდ უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძეზე: **თავი-თალაი, თავეთ-თალაი, თქუნ-თა-ლაი, მის-თალაი**, ბ) ხოლო ზმნისართთა მეორე წყებაში **თალაი** დაბოლოებასა და კუთვნილებით-ნაცვალსახელურ ფუძეს შორის გამოიყოფა **/თა/** სეგმენტი: **მით-თა-თალაი, თქუნ-თა-თალაი, მის-თა-თალაი**.

მაგრამ რა წარმომავლობისაა **-თალაი** დაბოლოება და **/თა/** ჩართული სეგმენტი? – რაც უდავო და უეჭველია, ეს არის ბოლოკიდურა **აი(აი)** სუფიქსი. იგი აჭარულსა და გურჯულ კილო-თქმებში სისტემურად გვხვდება ზმნისართებში (განსაკუთრებით ვითარებით ზმნისართებში) და, შეიძლება ითქვას, ზმნისართული მაწარმოებ-

ლის ფუნქციას ასრულებს. სიტყვაწარმოებითი ფუნქციით მას შეესატყვისება სალიტერატურო ენის **-ად/-ათ** სუფიქსი.

-თალაი-სა და **/თა/-ის** ფუნქციების დასადგენად მნიშვნელოვანია აღნიშნულ ზმნისართთა სემანტიკური ანალოგების (სინონიმების) სტრუქტურული აგებულების გათვალისწინება ზოგადად, და განსაკუთრებით კი – მომიჯნავე ქვესისტემების მონაცემებზე დაყრდნობით:

აჭარულში, (მუჰაჯირ აჭარელთა მეტყველების ჩათვლით), ისევე როგორც ნიგალურ-კლარჯულ კილო-თქმებში ძლიერ არის გავრცელებული რეფლექსურ-კუთვნილებითი ნაცვალსახელოური წარმოშობის ზმნისართთა წარმოება მოდელით: ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმა + **-თვინ** თანდებული + **-აი(აი)** სუფიქსი: **ჩემთვინაი, შენთვინაი, ჩვენთვინაი, მისთვინაი**. ამ წარმოების პარალელურად დასტურდება იგივე მოდელი **-და /-თა** (<და) თანდებულის ჩართვით: **მიზდათვინაი, ჩემთათვინაი, შენდათვინაი...**

სწორედ ეს **-და** თანდებულია საგულვებელი **მისთათალაი** ტიპის ზმნისართებში.

შავშურ-იმერხელის მომიჯნავე სამცხურ-ჯავახურს **-აი(აი)** ზმნისართული სუფიქსი არ ახასიათებს. აქ ამ ტიპის ზმნისართების საწარმოებლად გამოიყენება კომპოზიციის გზა: ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმა + **თავათ** ნაცვალსახელი. მაგ.: „**ჩემთავათ** წავედი“ (თოკი, ქდკ); „**თავითავათ** ლაპარაკონს ახლა ეს მონადირე“ (ხიზაბავრა, ქდკ); „ლაპარაკონს **თავისთავად**“ (ხიზაბავრა, ქდკ).

კომპოზიტური წარმოება ამ ტიპის ზმნისართებისა ბუნებრივია აჭარულისა და გურჯული მეტყველებისთვისაც (ოღონდ, მეტწილად **-აი(-აი)** სუფიქსით): „რა გინდანან ჩემიდან, **ჩემდათვინაი, თავისთაველაი** ვმუშაობ, არავის არ ვაწუხებ“ (შ. ნიჟარაძე, ლექსიკონი).

ამ მონაცემების გათვალისწინებით, ჩნდება ვარაუდი, რომ **-თალაი** დაბოლოებიანი ზმნისართები კომპოზიტური წარმოებისაა, **-თალაი** კომპონენტი შესაძლოა სწორედ **თაველაი**-ს სახენაცვალი ფორმა იყოს (/ვე/ მარცვლის ელიზიის ნიადაგზე): **თავითალაი < თავითაველაი, მისთალაი < მისთაველაი**.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

ლაბილური გარდამავალი ზმნა – ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების წინაპირობა

ძველი ქართულის (ასევე, ახალი ქართულის) **ი**- პრეფიქსიანი ზმნების II სერიის ფორმებში გარჩენილი ლაბილური (გარდამავალ-გარდაუვალი) კონსტრუქციები („რომელმან განიკითხოს, იგიცა განიკითხოს ღმრთისაგან“ სწავ. 149, 10 B) ქართული ზმნის განვითარების ადრინდელი ეტაპის – ზმნის ნეიტრალურობის (გვართა მიხედვით განუსხვავებლობის) მნიშვნელოვანი არგუმენტი: როცა ლაბილური კონსტრუქციის ზმნა სუბიექტსაც და პირდაპირ ობიექტსაც ფორმალურად ერთგვაროვნად ასახავდა; ოღონდ სუბიექტად წარმოდგენის შემთხვევაში ზმნა გარდაუვალი იყო, პირდაპირ ობიექტად წარმოდგენის შემთხვევაში – გარდამავალი (არნ. ჩიქობავა).

ამის კვალობაზე, ძველ ქართულში სახელობითბრუნვიანი სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფარდი სახელების შემცველი ზმნები გარდამავლობის (და გვარის) მიხედვით სხვადასხვა ზმნებია:

რომელმან განიკითხოს (იგი) – გარდამავალი,

იგიცა განიკითხოს ღმრთისაგან – გარდაუვალი.

გარდამავალ ზმნებს II სერიაში სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვა – ერგატივი აქვთ: რომელმან განიკითხოს...

ეს ყველაფერი საზოგადო სახელებს ეხება. პირის საკუთარ სახელებთან სხვა ვითარება გვაქვს; სუბიექტიც და პირდაპირი ობიექტიც აქ გაუფორმებელი, წმინდა ფუძის სახით გვევლინება: „სიმონ, რომელსა ერქუა პეტრე“ (მრ. 4, 18). „ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე“ (მ. 14, 3).

ამ გარდამავალზმნიან შესიტყვებაში („ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე“) სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფუნქციით ორი საკუთარი (პირის) სახელი გვაქვს წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში. სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს სიტყვათა რიგი განარჩევს; ძვ. ქართულში სუბიექტი პირველ ადგილზე დგას, მას მოსდევს პირდაპირი ობიექტი. მაგრამ გვაქვს რიგის დარღვევის შემთხვევები: „მას ჟამსა მიიყვანა იესუ პილატე და გუემა იგი (ი. 19,

1 C); როგორც ჩანს, ეს გადამწყვეტებამ ფრაზის შინაარსი შეცვალა, შდრ., „მაშინ მიიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი“ (ი. 19, 1 DE).

გამოსავალი პირის საკუთარ სახელით გამოხატული სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მარკირებაა, საზოგადო სახელთა მსგავსად.

როგორც ჩანს, ეს გაუფორმებელი ფუძე უნდა გვექონოდა საზოგადო სახელებშიც სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფუნქციონაც: „უკუეთუ ნიშ და სასწაულებ არა იხილოთ“ (ი. 4, 48 C), „რომელსა ჰრქვან მოძღუარ“ (ი. 20, 16).

ძველ ქართულში ეს ფუნქციები წარმოჩნდება შეზღუდული დისტრიბუციით გარკვეული სემანტიკის ზმნებთან, რთული ზმნების სახელად ნაწილებთან (კ. დანელია).

გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის, ასევე გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვების გაფორმება წმინდა ფუძეზე ჩვენებითი **o** (← *იგი) და **მან** ნაცვალსახელების დართვით მოხდა. **o** (← *იგი) და **მან** ერთი და იმავე ფუნქციის განსაზღვრებითი ელემენტებია.

ბრუნებისა და დეტერმინაციის სისტემათა ჩამოყალიბებისა და ურთიერთმიმართების, განვითარების საკითხი რთული საკითხია, ამის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს (ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ი. იმნაიშვილი, ჰ. ფოგტი, თ. უთურგაძე, კ. დანელია, ზ. ჭუმბურიძე...).

ამასთან, ის მრავალ თანამდევ საკითხს აჩენს.

ერთ-ერთია გვარის კატეგორიის ჩამოყალიბება: II სერიის გარდამავალი ზმნის ი- პრეფიქსიან ფორმებში გარჩენილი ლაბილური (გვარის მიხედვით განუსხვავებელი) კონსტრუქციები გარკვეულ წინაპირობას წარმოადგენს გარდამავალ ზმნასთან შეწყობილ სათანადო სახელებში ერგატიულობის პრინციპის რეალიზაციისათვის (გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი სახელობითი ბრუნვით აღინიშნება, გარდამავალი ზმნის სუბიექტი – ერგატივით), გარდამავალი ზმნის უღლებაში ნომინატიური კონსტრუქციის ჩამოყალიბებისათვის და სხვ.

**ძველი ქართული ტერმინთშემოქმედების პრინციპების
მნიშვნელობა თანამედროვე ქართული
ტერმინოლოგიისათვის**

(ქართული ტერმინთსაცავის მიხედვით)

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად. სათარგმნი ენისა თუ ტექსტის თემატიკიდან გამომდინარე ძველი ქართველი მთარგმნელები მუდმივად ცდილობდნენ ზუსტი, „უეჭვი“ თარგმანის შექმნას, ეს პროცესი კი თავისთავად გულისხმობდა ცნების შესაბამისი ტერმინების მოძიება-მოფიქრებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ძველი ქართული ენის არაერთი ძველი აღმოჩენილა და შესწავლილა, გამოკვლეულია სხვადასხვა თხზულების ენობრივი თავისებურებანი და ლექსიკაც, ეს მასალა ლექსიკოგრაფიულად შეჯერებული არაა იმ დონეზე, რომ იგი მთლიანად იყოს აღნუსხული და აღბეჭდილი სპეციალურ ლექსიკოგრაფიულ ცნობარებში.

ტერმინოლოგიური ბაზები სწორედ ძველსა და ახალს შორის უწყვეტობის, ერთიანობის აღდგენა-შექმნის გზად გვესახება.

ქართულ ტერმინთსაცავში ტერმინთა ძიება სხვადასხვა საშუალებით შეიძლება. მაგალითად: მაწარმოებლების, ძირების, განმარტებების, სინონიმებისა და სხვ.

მაგალითად, თუ გვინტერესებს „გონ“ ძირით ნაწარმოები ტერმინები, ვნახავთ, რომ ძველ ქართულში ამგვარი წარმოებისაა:

უგონებო – ávovc¹

¹ თვალსაჩინოებისთვის მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს, ქართული ტერმინთსაცავის სრულ (ამჟამინდელი მასალის მიხედვით) მონაცემებს კი წარმოვადგენთ მოხსენებისას.

უგუნური – სინ. უცნობო – უგნური, გონებადაკარგული –
αγροικος

უგუნურება – უგონებობა, გონდაკარგულობა, სიგიჟე –
αφροισύη

თანამედროვე ქართულში ასე გააქტიურებული -ად სუფიქსი ძველი ქართული ტერმინთშემოქმედებისთვისაც რომ არ იყო უცხო, ნათელი ხდება ტერმინთსაცავის მონაცემებზე დაკვირვებით:

ადგებადი (სინონ. ქმნადი, დაქსნადი; ანტ. ა(ღ)უგებელი; იხ. აგებული, აგებულება) ქმნადი, შექმნილი, აგებული – ταιγειηται

აღსრულებადი – მოსახდენი, გასახდომი – εκβησμενος (εκβανω)

განწვალებადი – დანაწილებული, დაყოფილი – τομεριστόν

დაქსნადი – განხრწნადი, დაშლადი – ἄναλσμενον

ამავე პრინციპით შეიძლება დავაკვირდეთ „თვთ“ ნაცვალსახელიანი კომპოზიტების გამოყენებასაც. მაგ.:

თვთ-განახლება – αυτοσχεδιάζω

თვთ-განღმრთობა – αμτιმწασიცი

დღეს მეცნიერების თითქმის ყველა დარგში შეინიშნება შემოდინება, უმეტესად, ლათინურძირიანი სიტყვებისა. არადა, ეს ეტაპი ქართულ ენას უკვე გადალახული აქვს ბერძნულთან უშუალო კავშირის პერიოდში, ამიტომაცაა ძველ ქართველ მთარგმნელთა გამოცდილების გააზრება-გაზიარება დღეს ქართული ენისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი, ტერმინოლოგიური ბაზები კი გვამღევეს საშუალებას თვალი გავადევნოთ ქართული ტერმინთშემოქმედების მთლიან პროცესს და, ამასთანავე, განვსაზღვროთ, რომელი ყალიბისა თუ მოდელის ტერმინები აღმოჩნდა უფრო ბუნებრივი სალიტერატურო ენისათვის.

„სხვადასხვასთან“ დაკავშირებული საზღვრული წევრების რიცხვის გამო

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით „სხვადასხვა“ არის განსხვავებული, არა ერთი და იგივე, არაერთნაირი, არამსგავსი, ნაირ-ნაირი.., ანუ „სხვადასხვა“ შინაარსობრივად მოიაზრებს ერთზე მეტს. ამ სემანტიკის გამო ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის თანახმად, მასთან დაკავშირებული საზღვრული წევრი მხოლოდით რიცხვში უნდა იყოს, თუმცა თანამედროვე ქართულის ზეპირი თუ წერიტი მეტყველებისას ასეთი სიტყვები საკმაოდ ხშირად წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით.

თანამედროვე ქართულში მოქმედი ტენდენციის გამოვლენის მიზნით გავანალიზეთ კორპუსული მონაცემები. შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგჯერ „სხვადასხვა“ მხოლოდ ერთ სახელს განსაზღვრავს და, შესაბამისად, ცალსახად მხოლოდითი რიცხვის ფორმით უნდა იყოს, თუმცა გვაქვს ისეთი მაგალითებიც, როდესაც საზღვრული წევრის რიცხვის საკითხი გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. შესაბამისად, აუცილებელია ყურადღება მიექცეს რამდენიმე გარემოებას. კერძოდ, თუ „სხვადასხვა“ განსაზღვრავს მაჯგუფებელკავშირიან სიტყვებს, უნდა დავუკვირდეთ იგი ორივე მათგანს მიემართება თუ მხოლოდ იმას, რომელსაც უშუალოდ უძღვის. მაგალითად¹: ჩვენ მზად ვართ სამომავლოდ ამ აქციების განვრცობისთვის კავკასიის **სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში**.

აღნიშნულ წინადადებაში „სხვადასხვა“ განსაზღვრავს ქალაქსაც და რეგიონსაც, ამიტომ ორივე მხოლოდით რიცხვში უნდა იყოს: **სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში**. თუმცა ზოგჯერ მთლიანი კონტექსტის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია იმის გარკვევა, „სხვადასხვა“ მაჯგუფებელკავშირიან ორივე სიტყვას განსაზღვრავს, თუ მხოლოდ იმას, რომელსაც წინ უძღვის:

¹ მაგალითები დამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?session-id=246504456021249>) და მათში შენარჩუნებულია ავტორთა ენა და სტილი.

ამ საშუალებებით ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე ტარდება **სხვადასხვა დაავადებისა და დაზიანებათა** დროს.

უკანასკნელ წინადადებაში სავარაუდოდ „სხვადასხვა“ მხოლოდ „დაავადებას“ მიემართება. მის მიერ ორივე სიტყვის განსაზღვრის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: **სხვადასხვა დაავადებისა და დაზიანების** დროს. ამგვარი ბუნდოვანების საკომპენსაციო ქმედებად გვეჩვენება „სხვადასხვა“ სიტყვის გამეორება ორივე საზღვრულთან: **სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა სახელმწიფოში, სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ხალხის თქმულებები...**

ამას გარდა, ყურადღებას იმსახურებს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „სხვადასხვა“ მომდევნო მსაზღვრელ(ებ)ითურთ ახლავს სახელს. მომდევნო მსაზღვრელი შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტული, ისე ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები. მაგალითად, ერთი მხრივ, **სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის/ტიპის/დანიშნულების... ორგანიზაცია** და, მეორე მხრივ, **სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია/ორგანიზაციები, სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირი/პირები, სხვადასხვა ეპოქისა და სტილის სურათი/სურათები, სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფი/ჯგუფები.** უკანასკნელ შემთხვევებში (გარდა იმ მაგალითებისა, როდესაც მომდევნო ატრიბუტული მსაზღვრელი ერთია) იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომდევნო მსაზღვრელ(ებ)ი საზღვრულს მოითხოვს მრავლობითში. შდრ.: **სხვადასხვა სასწავლო და საგამოცდო ოთახი** და **სხვადასხვა სასწავლო და საგამოცდო ოთახები.** პირველი შესიტყვების მიხედვით სწავლისა და გამოცდისთვის განკუთვნილია ერთი ოთახი, მეორე შემთხვევაში – ერთზე მეტი. ამ შემთხვევაში შესაძლოა დაგვეწერა ასეც: **სასწავლო და საგამოცდო სხვადასხვა ოთახი...** თუმცა ზოგჯერ მსაზღვრელთა ამგვარი გადანაცვლება შეუძლებელია. მაგალითად, **სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია** ისეთ მყარ შესიტყვებად გვეჩვენება, როგორცაა **ღორის ხორცი** მაგალითში: **ორი კილო ღორის ხორცი.** ამიტომ საკითხის დასმის წესით განვიხილავთ „სხვადასხვით“ განსაზღვრული მრავლობითში მდგარი საზღვრული წევრებისათვის ზოგ შემთხვევაში (კონკრეტულად განხილული იქნება მოხსენებაში) აკრძალვის მოხსნის მიზანშეწონილობას.

დროის აღმნიშვნელი ნახური ლექსიკა ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში

დროის გამომხატველი ქართულიდან ნასესხები ლექსიკის შესახებ სტატია დაბეჭდილი გვაქვს ჟურნალ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მე-40 ტომში (2012). ქისტური ლექსიკის ეს ნაწილი უცხოა ჩეჩნური სალიტერატურო ენისათვის, სხვა დიალექტებისათვის. გამონაკლისია კვირის ოთხი დღის სახელი (ორშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა – ჩეჩნურად: **ჭორშუოთ**, **პერასკა**, **შუოთ**, **კირა**), რომლებიც დაფიქსირებული აქვს პ. უსლარს. ამ სიტყვათა ქართულიდან ნასესხობის შესახებ ჩეჩნურ-ინგუშურ ენებში მითითებული აქვს ს. ჯანაშიას. ყველა სიტყვა, რომლებიც კვირის დღეებს აღნიშნავს, საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელებს, გასუბსტანტივებულ ზედსართავებს, წარმოადგენენ, მათი გაზმნისართება ხდება **დიან** (< **დიანაჰ**) „დღისით“ სიტყვის მეშვეობით, რომელიც ნასახელარი ზმნისართია, ე. ი. გვაქვს: „ორშაბათ დღისით“, ე. ი. „ორშაბათს“ და ა. შ. იგივე ითქმის თვეთა სახელების შესახებაც. შდრ.: ინჭორ ბათთაჰ „იანვრის თვეში“ და შემდეგი.

არაბულიდან შესული ჩანს ჩეჩნურში **დანიმ** „მუდამ, მუდმივად“, **ტაკჰა** „შემდეგ“ სიტყვები, სესხების გზას, სავარაუდოდ, დაღესტნის ენები წარმოადგენენ (ა. ვაგაპოვი...). ამათგან მხოლოდ **დანიმ** დასტურდება ქისტურში.

საკვლევი ლექსიკის შესწავლა ქისტურში და მისი შედარება სალიტერატურო ენის მონაცემებთან გვიჩვენებს შემდეგს:

ბარის კილოს (იგივე სალიტ. ენის) რამდენიმე ლექსემის აუსლაუტში გვაქვს ყრუ სპირანტი **ხ**, რომელსაც ქისტურში შეესაბამება იმავე სპირანტის მჟღერი ვარიანტი **ღ**; შდრ.:

ბარის კილო	ქისტური
ლურჩახ „შარშანწინ“	ლურჩად
მაგახ „ძველად“	მაცად...

ხმოვანი ბგერა ბოლოკიდურ პოზიციაში ქისტურში ან იკვეცება, ან კიდევ გრძელდება. ამ წესის თანახმად ქისტურში მოკვეცილია აუსლაუტისეული ხმოვანი სიტყვებში:

ჰალხა „წინათ“	ჰალხ
შინარა „სამშაბათი“	შინარ
თახანა „დღეს“	თახან
ლამა „ზეგ“	ლამ
სიღსარა „წუხელ (სადამოს“	სიღსარ...
ფონემურად განსხვავებულია ლექსემები:	
ჰინცა „ახლა“	ჰუნძ
ჰეთა „მაშინ“	ეთ...

ქისტურში შეცვლილია ანლაუტის **სთ** კომპლექსი, შდრ.: ბარის კილო **სთომარა** „გუშინწინ“ – ქისტური **სრმურ (დრწ)** „გუშინწინ(დელ) (დღეს“; **სთოხქა** „შარშან“ – ქისტური **სოხქ||სრხქ**. თანხმოვათა კომპლექსის წინ ქისტურში, როგორც დასახელებულ მაგალითში, ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელი, თანხმოვანთკომპლექსის წინ გრძელი ხმოვანი არ ჩანს ჩეჩნური ენის სხვა კილოკავებში.

ჩეჩნურში დღეთა სახელების საკმაოდ ბევრი და საინტერესო სიტყვა არსებობს. ასე მაგალითად, „გუშინ“ (**სიღლხანა**), „გუშინწინ“ (**სთომარა**), **თახანა** „დღეს“ სიტყვებს მოსდევს მომდევნო რვა დღის გამომხატველი ლექსიკური ერთეული, რაც არც ინგუშურში, არც ბაცტურში და არც ჩეჩნური ენის სხვა დიალექტებში არ არის გავლენილი. ამ სიტყვათაგან ოთხი (**თახანა** „დღეს“, **კანა** „ხვალ“, **ლამა** „ზეგ“, **ულა** „მაზეგ“) თითქმის ყველა ენასა და დიალექტშია, ქისტური **წაქ**-ს (დღეის შემდეგი მე-5 დღე) შესატყვისება სალ. ენაში **წაქა**, ახიურში კი – **წაქქა**; **წუქ**-ს (მე-6 დღე) შესატყვისი აქვს ახიურში **წუქა**-ს სახით, შდრ., სალ. ენის **წასთა**.

ამ სიტყვათაგან ენაში აქტიურად გამოიყენება მხოლოდ **თახანა** „დღეს“, **კანა** „ხვალ“, **ლამა** „ზეგ“, **ულა** „მაზეგ“. დანარჩენები არქაიზმებს წარმოადგენენ.

ვარაუდობენ, რომ დღეთა სახელები ნახურში უკავშირდება ღვთაებათა სახელებს და ჰქონდათ ცხრადღიანი კვირა.

გეძ „გვიან“, რომელიც ქისტურშია, ჩეჩნურმა არ იცის. ნაწარმოებია ზმნური ძირისაგან **გა||გა^წ** „დაგვიანება“. არც ეს ზმნა ჩანს ნახურ ენაკილოებში.

მოხსენებაში განხილულია, აგრეთვე, მეორეული, ნაყარი დროის გამომხატველი არსებითი სახელებისაგან ნაწარმოები ლექსემები, როგორცაა:

ბ'წითე „გაზაფხული“ – ბარ. კ.: **ბ'წითა** ქისტ. **ბ'ქსთ** „გაზა-
ფხულზე“

ბ. კ. **წხქე**; ქ. **ახქ** „ზაფხული“ – **წხქა ეხქ** „ზაფხულში“

გჭრე „შემოდგომა“ – **გურაჰ** „შემოდგომაზე“

‘ა „ზამთარი“ – ბ. კ. ‘**ამ**; ქ. ‘**ანიჰ**, ‘**ანიბ**

ნათელია, სრული ერთგვაროვნობა ბარის კილოსა და ქისტურში მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს. მეორეული ლექსემები ჩეჩნურში, დროის გამოხატვის თვალსაზრისით, სისტემებს ქმნიან. ამ მხრივ ქისტური არ განირჩევა სალიტერატურო ენისაგან. შდრ.: **გურაჰ** „შემოდგომაზე“, **გურალდე** „შემოდგომამდე“, **გურაჰ დუინა** „შემოდგომიდან“ და მისთ.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

ლექსემა „თვალის“ შემცველი იდიომები აფხაზურსა და ქართველურ ენებში

მოხსენება ეხება სტრუქტურულ-სემანტიკურად მსგავს აფხაზურ და ქართველურ იდიომებს, რომელთაც საყრდენ სიტყვად **თვალი** აქვთ.

წარმოვადგენთ რამდენიმე აფხაზურ და ქართველურ (კერძოდ, ქართულ და მეგრულ-ლაზურ) ფრაზეოლოგიურ ერთეულს:

აფხაზ. **სგბლა (სგლა) ღებგლოჟუბ** (ზედმიწ. „ჩემს თვალზე დგას“), ქართ. **თვალწინ მიდგას**, ზან. (მეგრ.) **თოლს / თოლშა აწომრე**, (ლაზ.) **თოლის გოწამიდგინ** „მახსოვს, არ მავიწყდება“.

აფხაზ. **იბლაქა (ილაქა) ამცა რხუბ** (ზედმიწ. „მის თვალებს ცეცხლი ახურავს“), ქართ. **თვალეზიდან ცეცხლს ყრის**, ზან. (მეგრ.) **თოლშე დაჩხირს ორღვანს**, (ლაზ.) **თოლიშენ დაჩხიი დობღავს / დაჩხუი დობღამს** „ძალიან გაბრაზებულია“.

არის ისეთი შემთხვევაც, როცა აფხაზურის მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეული მხოლოდ ზანურში, კერძოდ, მეგრულში დავადასტურეთ, ან – მხოლოდ ქართულში:

აფხაზ. **ილა ხტუზ** (ზედმიწ. „მისი თვალი გაღებულა“), ზან. (მეგრ.) **თოლგოფაჩილი(ი) რე** (ზედმიწ. „თვალგაშლილი არის“) „სტუმართმოყვარე“.

აფხაზ. **იბლა (ილა) ხგრტიტ** (ზედმიწ. „მისი თვალი გაულეს“), ქართ. **თვალი აუხილეს** „სინამდვილე სწორად დაანახეს, რაც არ ეს-მოდა, შეაგნებინეს“.

გვაქვს შემთხვევები, როცა იდიომთა კომპონენტები განსხვავებულია:

აფხაზ. **იბლაქა (ილაქა) იხაგთან იხალტ** (ზედმიწ. „მისი თვალები თხემისკენ ავიდა“), ქართ. **თვალი შუბლზე აუვიდა**, ზან. (მეგრ.) **თოლქ ცვაშა გეშუსხაპუ** (ქობალია) (მეტყველებაში ეს ვარიანტი დავადასტურეთ: **თოლქ ეშე გელუსხაპუ** „თვალმა აქეთ გამოუხტა“) „ძალიან გაუკვირდა (რალაც)“.

აფხ. **აღემ აფსი რგზჟარა (რგლა)** (ზედმიწ. „მის თვალსა და სულს შორის (მათით)“, ქართ. **თვალსა და ხელს შუა**, ზან. (მეგრ.) **თოლ დო ხემ შქას** „უეცრად, თვალის დახამხამებაში“.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

სახელური ფუძეები კუმშვის თვალსაზრისით და მათი მართლწერის საკითხი

კუმშვა ბგერის დაკარგვის კერძო შემთხვევაა. ეს არის კომბინატორული ცვლილება, რომლის შედეგადაც ბრუნებადი სიტყვის ფუძიდან იკარგება **ე ან ა**. მას იწვევს **-VC** სტრუქტურის სუფიქსი, კერძოდ:

1. **ბრუნვის** ნიშნები (დედალი: დედლის, დედლით, დედლად);
2. **მრავლობითის** სუფიქსი **-ებ** (დედალი – დედლები...);
3. **სადერივაციო** მორფემები (დედალი – დედლობა, დედლია-ნი, დედლური... მბრძანებელი – მბრძანებლობა, მბრძანებლიანი, მბრძანებლური...).

რა შემთხვევაშია მოსალოდნელი ფუძის კუმშვა? – ფუძის აუსლაუტის სტრუქტურა უნდა იყოს **VS**, ანუ **ხმოვანი პლუს სონორი** (აგრეთვე – ვ)... ამდენად, სარედუქციო სეგმენტის სტრუქტურაა: **ალ, არ, ან, ამ, ავ, ელ, ერ, ენ, ემ, ევ, ოლ, ორ, ონ, ომ, ოვ**.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ამ ორი პირობის არსებობის შემთხვევაში სახელის ფუძე იკუმშება? თუ მათემატიკის ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, შეიძლება ასე ითქვას: ეს არის კუმშვისთვის **აუცილებელი**, მაგრამ **არასაკმარისი პირობა**; **ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ზემოთ დასახელებული პირობები არსებობს, მაგრამ კუმშვა არ ხდება**. სხვაგვარად: ამ ორი პირობის არსებობის შემთხვევაში სახელის ფუძე **შეიძლება შეიკუმშოს**. ეს არის „წესი“.

ამჯერად არ შევუდგებით იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომლებიც შეიძლება ხელს უშლიდეს კუმშვის პროცესს სათანადო ფონეტიკური გარემოცვის პირობებში. ფაქტობრივი რეალობაა ჭრელი სურათი, რაც გვაქვს – **სპორადული** ფონეტიკური ტრანსფორმაციები: **აწ-ის > წ-ის, ეწ-ის > წ-ის, აწ-ით > წ-ით, ეწ-ით > წ-ით, აწ-ად > წ-ად, ეწ-ად > წ-ად, აწ-ებ > წ-ებ, აწ-ობა > წ-ობა, ეწ-ობა > წ-ობა, აწ-იან > წ-იან, ეწ-იან > წ-იან, აწ-ურ > წ-ურ, ეწ-ურ > წ-ურ**

კუმშვა არ არის წმინდა ფონეტიკური პროცესი, ერთი ხმოვნის (მარედუცირებლის) მექანიკური ზემოქმედება მეორეზე (რედუცირებადზე) და ამის შედეგად ფუძეში ავტომატურად მომხდარი ცვლილება.

სისტემაში მეტნაკლები სიციხადის შესატანად საკმარისი არ არის **მხოლოდ სტრუქტურული** კანონზომიერებების დადგენა. **ფუძეკუმშვადი** და **ფუძეუკუმშველი** სახელების დიფერენცირებისთვის უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშანი. პირველ რიგში, ეს არის **ფუძის აუსლაუტის სტრუქტურა**, რომლის მიხედვითაც იკვეთება **წესი**: ფუძეუკუმშველია ყველა სახელი, რომელსაც ფუძის ბოლოს **CV** სტრუქტურის მარცვალი აქვს (არის რამდენიმე გამონაკლისი).

SV სტრუქტურის აუსლაუტის მიხედვით ცალსახად ვერაფერს ვიტყვით: ასეთი ფუძე შეიძლება იყოს კუმშვადი ან კვეცადი. ამავე ნიშნის, **აუსლაუტის სტრუქტურის მიხედვით** შესაძლოა კიდევ დავაზუსტოთ ზოგიერთი ნიუანსი; კერძოდ, არ იკუმშება: ფუძეები, რომელთა ბოლოში გვაქვს: **ოლ, ომ, ონ, ორ, ოვ, ემ, ენ, ავ, ევ** (თით-

ზეა ჩამოსათვლელი ამგვარი დაბოლოების მქონე ფუძეთა რედუცირების მაგალითები).

რაც შეეხება სხვა საკლასიფიკაციო ნიშნებს: თვალში საცემია, რომ, უკუმშველია, მაგ., **ელ** დაბოლოების მქონე ფუძეები, სადაც ეს - **ელ წარმომავლობის სუფიქსია** (დაუშვებელია: ზუგდიდლის, თელავლის... კიევის, ლონდონის, ამერიკლის...).

ფუძის აუსლაუტის სტრუქტურისგან დამოუკიდებლად ფუძეუკუმშველია **ადამიანთა სახელები და გვარსახელები**.

გეოგრაფიულ სახელებში ფუძეუკუმშვადია კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტია: **სოფელი, უბანი, წყალი, ჯვარი...**

ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, თუ შეიქმნება გარკვეული ელექტრონული ბლოკები აქტუალური საკითხების მიხედვით, – უნდა დამუშავდეს მასალა (ფუძის კუმშვისა და კვეცის, ანთროპონიმების, **-ავ** თემისნიშნიანი, ფუძედრეკადი ზმნებისა და სხვა აქტუალური საკითხის მართლწერის თვალსაზრისით) და გაკეთდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ინსტიტუციის მიერ ვიზირებული ორთოგრაფიული ბაზები, რომლებთანაც ზმა ექნება სხვადასხვა ნორმატიულ გამოცემას.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ძალ-/ძლ- → ძარ-/ძრ-ის ლექსიკურ-სემანტიკური დიაქრონიისათვის ქართულში

ქართ. **ძალი**-ს („ძალა“) ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში თავს იყრის 150-მდე ლექსიკური ერთეული, ხოლო ქართ. **ძრ**-ვის (→ **ძვრა** „მოძრაობა“) ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში – 100-მდე ლექსიკური ერთეული. ორივე ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის მონაცემებიდან გამომდინარე, საგულისხმოდ იკვეთება ზიარი მოტივირებული სემანტიკით შეწყვილებულ **ძალ-/ძლ-** და **ძარ-/ძრ-** ძირ-ფუძეთა შესაძლებელი ისტორიული მორფო-სემანტიკური განვითარება: **ძალ-/ძლ-** „ძალა“ → **ძარ/ძრ-** „მოძრაობა“, შდრ., ერთი მხრივ, ლექსიკური განმარტებანი:

„**ძალა** – კუნთების ენერჯია. რომელიც წარმოადგენს მოძრაობისა და მუშაობის წყაროს; ღონე“; მოქმედების უნარი; მექანიკური ზემოქმედება, მიზეზი, რომელიც მატერიალურ წერტილს ანიჭებს აჩქარებას; ინტენსივობა; ფიგ.: გამწევი ძალა“ (**ქეგლ-ი**); „**ძალი** – მდაბიურად ძალი, ღონე, ძლიერება; ძალადობა, მძლავრობა“; „**ძალიან** – ძრიულ“; „**ძალუმი** – ძალიანი, ძრიელი“ (**დ. ჩუბინაშვილი**) და სხვ.

„**ძვრა** – სახელი **ძრავს, იძვრის** ზმნათა მოქმედებისა“; „**ძრვა** – ვუცვლი ადგილს; ხელის ხლებით დავძრავ“ (**დ. ჩუბინაშვილი**); „**ძვრად-ი** – რასაც მოძრაობის უნარი აქვს, რის დაძვრაც შეიძლება“. „**ძვრადობა** – მოძრაობის თვისება; მოძრაობის უნარი“ (**ქეგლ-ი**) და სხვ.;

მეორე მხრივ, საკუთრივ ძირ-ფუძეთა ალტერნატიული მონაცვლეობა – როგორც ორივე ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში ცალცალკე (**ძალ-/ძელ-/ძლ-** ↔ **ძარ-/ძერ-/ძრ-**), ისე ამავე ბუდეთა მიმართებით (**ძალ-** ↔ **ძარ-**; **ძელ-** ↔ **ძერ-**; **ძლ-** ↔ **ძრ-**), შდრ.:

ძალ-/ძელ-/ძლ- : **ძალ-ი, ძალ-ვა** / შე-ვ-ი-ძელ / მ-ძლ-ე, ძლ-ევ-ა, ვ-ძლ-ი-ე;

ძარ-/ძერ-/ძრ- : **ძარ-ი/ა, და-ვ-ძარ** / გა-ვ-ი-ნ-ძერ / ვ-ძრ-ავ, ი-ძრ-ვ-ი-ს-ი.

ძალ-ი/ა → **ძარ-ა** ისტორიული განვითარების განმსაზღვრელ და განმაპირობებელ მოტივად გვესახება ქართ. **ძალ-**ის კონკრეტული საგნობრივი შინაარსი – „მოძრაობის მიზეზი, ის, რაც იწვევს ამოძრავებას, ამის უნარი, ანუ გამწევი ძალა“ (შდრ. ლათ. Intencio „ინტენსივობა, დამაბულობა, გაძლიერება“), რასაც ნიშანდობლივად გვიდასტურებს **ძრვ-**ის დავით ჩუბინაშვილისეული სალექსიკონო განმარტება: „**ძრვა** – ვძრავ = ვუცვლი ადგილს; **ხელის ხლებით** დავძრავ“.

ამ ვარაუდის აპრობირების შემთხვევაში, ქართ. **ძალ-/ძლ-** → **ძარ-/ძრ-**ის ლექსიკურ-სემანტიკური განვითარების შემდეგი ისტორიული თანმიმდევრობა უნდა ვიგულოთ: *ძ- → *ძ-ალ- → **ძალ-** (→ **ძალ-/ძელ-/ძლ-**) „ძალა“ → **ძარა** (→ **ძარ-/ძერ-/ძრ-**) „ამოძრავება“, მათგან წარმომდგარი სიტყვაწარმოებითა და თხზულთა შედგენით, შდრ., ერთი მხრივ:

„**ძლიერი** – ძალდიდი“ (საბა); „**ძლივ, ძლით** – ძალმორევით“ (საბა); ძვ.ქართ. **ძლით** „თანდებული: გამო“ „**ძნელი** – (იერემია 49,8) გარჯით საქნელი; ადვილის წინააღმდეგი“ (საბა) და სხვა მრ.; „**ძა-**

ლისმიერ-ი – ძალაზე დაყრდნობილი; ძალით შესრულებული“; **„მალისხმევა** – ძალის დამაბზვა. ძალვა“ (ქეგლ-ი); **ძალვა** „მოქმედება; მორევა“; **„ძლევა** (ეზრა 3,9) – მორევნა“ (საბა);

და მეორე მხრივ:

„ძრიან, ძრიენ, ძრიელ „ძლიერ“; **ძრიანი, ძრიელი** „ძლიერი“ (დ. ჩუბინაშვილი); **„ძანძარ**:- ქართული **ძანძარ**:- ძანძარი „ძლიერი კანკალი“, ქართ. ონომასტ. **ოძანძაია** „ჭაობი (ს. ცვანე)“ [←მეგრ. " მერყევი"]; ზანური **ძანძ**:- **იძანძ** „ირყევა, ინძრევა“; **მაძანძაია** „მორყეული“ (პ. ცხადაია), და სხვ.

მოხსენებაში ასევე განიხილება საანალიზო ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეებში ჩენილი რამდენიმე საყურადღებო ლექსიკური ერთეული – ალტერნატიული **ძალ**-/**ძან**-იდან გამომდინარე სიტყვაწარმოება და ფუძეგაორმაგებული თხზულები: **ზანზარ**-ის, **ძანძარ-ძანძალ**-ის, **ცანცალ-ცანცარ**-ის, **წანწალ**-ისა და **ძუნძულ**-ის ტიპის (შდრ.: **„ძანძახი** – ცახცახი, თრთოლა“ – დ. ჩუბინაშვილი).

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

მრავალგზისობის გამოხატვა დიმიტრი მაჩხანელის მოთხრობების მიხედვით

დიმიტრი მაჩხანელი მე-19 საუკუნის შუა პერიოდის მწერალია. იგი წარმოშობით ქიზიყიდან, ქვემო მაჩხანდიდანაა. მისი შემოქმედება საინტერესოა დიალექტოლოგიის თვალსაზრისით, ვხვდებით ქიზიყურისთვის დამახასიათებელ დიალექტურ ფორმებს. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ მრავალგზისობის შესახებ. საკვლევ მასალად გამოვიყენეთ დიმიტრი მაჩხანელის მოთხრობები „სიყვარულის ამბავი“, რომელიც 1974 წელს გამოიცა.

ირკვევა, რომ XIX საუკუნის კახურში მრავალგზისობის გამოხატვის რამდენიმე შესალებლობა არსებობს: ორგანული წარმოება (ხოლმეობითის მწკრივები), **-ყე** (**-კე**) ნაწილაკიანი წარმოება და ხოლმე ნაწილაკიანი წარმოება.

დიმიტრი მაჩხანელის მოთხრობებში გვხვდება II ხოლმეობითის მწკრივი მრავალგზისობის გადმოსაცემად:

„ვინც კი **მნახვიდის, ატირდის** და ვენანდებოდი, მაგრამ ჩემს ნაღველს არავის ვეუბნებოდი“ (ხალხის ცხოვრებიდან“, 118).

-**ყე** ნაწილაკი ძალზე იშვიათად გვხვდება დიმიტრი მაჩხანელის შემოქმედებაში. არ დადასტურდა ობიექტის მრავლობითობის გადმოსაცემად, შევხვდით მხოლოდ მრავალგზისობისა და თანდებულის ფუნქციით. ჩანს, რომ იმ პერიოდში -**ყე** ნაწილაკი ხშირად აღარ გამოიყენებოდა, უფრო მეტიც, სირცხვილადაც კი ითვლებოდა მეტყველებაში მისი ხმარება. ამის შესახებ ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟს ათქმევინებს მწერალი: „ჰმ! აბა ეგ არის კიდეც ცეცხლიდა!.. – თავის ქნევით წარმოსთქვა ვიღაც ბერიკაცმა, რომელსაც **„ყეზე“ ეცნოდა, „დაბალ ხარისხის“ ქიზიყელი იყო** („მოგონება“, 127). -**ყე** ნაწილაკი -**კე**-მ ჩაანაცვლა და დღესაც ჩვეულებისამებრ გამოიყენება მეტყველებაში.

-**ყე** ნაწილაკი დადასტურდა ერთ შემთხვევაში მრავალგზისობის გადმოსაცემად:

„ეხლაც კი, ი დედაკაცი **გამენაზებაყე** რო გეგონებათ: დღევანდელი ჯვარდაწერილი პატარძალია“ („დილიმზე“, 34).

მეორე ნიმუში საინტერესოა იმ მხრივ, რომ **II ხოლმეობითის** მწკრივთან ერთად გამოყენებულია -**ყე** ნაწილაკიც, ანუ ვხვდებით მრავალგზისობის ორმაგ წარმოებას (ორმაგი წარმოების შემთხვევები ქიზიყურში დადასტურებულია, თუმცა არის ხოლმეობითის მწკრივითა და **ხოლმე** ნაწილაკით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედება). **II ხოლმეობითის** მწკრივითა და -**ყე** ნაწილაკით გადმოცემული ვარიანტები ფერეიდნულისთვის იყო დამახასიათებელი და კახურში ეს ფორმები არ იყო დადასტურებული. ფერეიდნული ქიზიყურის განაყარი დიალექტია და ბუნებრივად იქნებოდა, რომ ეს გზა ქიზიყურსაც გაეგლო. დიმიტრი მაჩხანელის შემოქმედებაში სწორედ ასეთ ფორმას შევხვდით, რაც, თავის მხრივ, საინტერესოა ქიზიყურისთვის:

„უწინ, ჩემს მოჰწერებაში, კამეჩებითაც ძლივ **შავითრივითყე** სახლებში სამეგზურე ხერგები და იგრევ გაუწყვეტლივ დუღდუღებდა და გუგუნებდა დღე და ღამ შუა ცეცხლი“ („ხალხის ცხოვრებიდან“, 118).

როგორც ჩანს, მრავალგზისობის გამოხატვამ ერთნაირი გზა გა-
იარა ფერეიდნულსა და ქიზიყურში: 1) ხოლმეობითის მწკრივით
გადმოცემული მრავალგზისი მოქმედება; 2) ხოლმეობითის მწკრი-
ვითა და -ყე ნაწილაკით გამოხატული მრავალგზისი მოქმედება; 3) -
ყე ნაწილაკით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედება სხვადასხვა
მწკრივებთან (-ყე ქიზიყურში -კე-თი შეიცვალა.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული ცუჯი, ლაზური ყუჯი || ცუჯი || უჯი „ყური“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის

მეგრული **ცუჯი** ლაზური **ყუჯი** || **ცუჯი** || **უჯი** „ყური“, ლექსი-
კური ერთეულების მეშვეობით გამოიხატება სხვადასხვა შინაარსი:
ყურადღების მიქცევა ან მიუქცევლობა, გაფრთხილება, შენიშვნის
მიცემა, დანაღვლიანება, მიხვედრა, გუნება-განწყობა, ერთგვარი სა-
სჯელი.

სემანტიკური ჯგუფების უმეტესობა საერთოა როგორც მე-
გრულ-ლაზურისთვის, ასევე ქართულთან მიმართებითაც. გამოიყო-
ფა ისეთი შესიტყვებებიც, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ
მეგრულისთვის ან ლაზურისთვის.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მეგრ. **ცუჯიში გოცოთა-
მა || დოცოთამა** „ყურის დაგდება“, ლაზ. **ყუჯი || ცუჯი || უჯი მეჩუ
(გა მეჩუ)** „ყურადღება მიაქცია (არ მიაქცია)“, შდრ. ქართ. **ყურს უგ-
დებს** „უსმენს“;

მეგრ. **ცუჯ(ეფ)იში გილარღვაფა** „დადარდიანება, დანაღვლია-
ნება“, ლაზ. **ყუჯი გელანდრიკერი** „დანაღვლიანებული, დამარცხე-
ბული“, ზედმიწ. „ყურჩამოდრეკილი“, შდრ. ქართ. **ყურები ჩამოყარა**
„დანაღვლიანდა, დადარდიანდა“;

მეგრ. **ცუჯიში გორხუალა** „გაგება, მიხვედრა“, ზედმიწ. „ყუ-
რის გახვრეტა“;

ლაზ. უჯის ქაფჩა ელაჭუ „ჩუმად საქმის კეთება“, ზედმიწ. „ყურზე ქაფშიის შეწვა“.

საანალიზო მასალა მნიშვნელოვანია აგებულების მხრივაც. გვხვდება, ძირითადად, ორ და სამკომპონენტური იდიომები. რომლებიც გადმოიცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. ყველაზე აქტიურია სახელი და ზმნა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ც. ჯანჯღავას სტატია „თოლი „თვალი“ და ყუჯი „ყური“ ლაზურ ფრაზეოლოგიზმებში“.

იზაჩანტლამე, რუსუდან იოსელიანი

კვლავ *ტაბ-, ტო^რმ/ნ^ბ-/ტებ-, ტო^რმ^ბ-/ტუ^რმ^ბ-/ტ^რტ^რებ-/ ტ^რტ^რებ-, ტებ- ძირის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზისათვის

ჯერ კიდევ 1954 წელს წერდა ურიელ ვაინრაიხი: „მხოლოდ იდეალურ შემთხვევაში შეუძლია ენათმეცნიერს იქონიოს პრეტენზია, რომ ის აღწერს მთელ ენას. პრაქტიკულად მან უნდა შემოფარგლოს თავისი ობიექტი რაღაც უფრო მცირე ნაწილით... სტრუქტურული დიალექტოლოგია სწავლობს მსგავსება-განსხვავებებს და ადგენს კვლევის შედეგებს, ასე მაგალითად: **taukh** ახალი ებრაულის ერთ სახესხვაობაში იგივეა, რაც **taukh** მეორე სახესხვაობაში. თუ პირველში ის უპირისპირდება **ozere**-ს („ტბა“) და, ამ ოპოზიციიდან გამომდინარე, ნიშნავს „მდინარეს“, მაგრამ, მაშინ, როდესაც მეორე დიასისტემაში ამგვარ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს, იქ **taukh** აღნიშნავს „წყლის საკმაო მასას“ (Is a Structural Dialectology Possible?, „მიმომხილველი“, ტ. 4-5, თბილისი, 1968, გვ. 128, 133).

ჩვენი საანალიზო ძირი არაერთხელ ეცეულა მსჯელობის საგნად სპეციალურ ლიტერატურაში როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტოპონიმებს:

ა) ამოსავალი **ტაბა** (და მისგან მომდინარე **ტბა**)

ტაბაკინი (< „ტბა ცივი“, შორაპნის მახლობელი სოფელი), **ტაბანათი** (სოფელი ლანჩხუთში), **ტაბაწყური** (ტბა ბორჯომისა და ახალქალაქის საზღვარზე, აგრეთვე, სოფელი ბორჯომის რაიონში), **ტაბასკუდი** (წყალსაცავი ბაღდადში), **ტაბახმელა** (სოფლები გარდაბანსა და ხულოში), **ტაბახმელისწყალი** (მდინარე ხულოში), **ტაბაკლდის** ჩანჩქერი (სურამში), **ტაბნარა** (მდინარე ხარაგაულში), **ტბა** (სოფელი ბორჯომის ტერიტორიაზე), **ტბათა** (ტბები ქარელში) **ტბათანა** (მთა პანკისის ხეობაში), **ტბეთურა** (მდინარე ზემო ნიქოზში), **ტბები** (იმერხევში), **ტბეთი** (მთა შავშეთის ქედზე < „ტბების მხარე“, მდინარე შუახევში და სოფლები: ამბროლაურის, გულრიფშის, ახალგორის, შუახევის, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში), **ტბისი** (სოფელი თეთრიწყაროში) < **ტაბ-ის-ი** (საქ. სახ. მუზეუმი, ფონდი №2236 hd – პაპუნა გოსტაშაბისშვილის წერილი), **ტბისსერი** (მთა მესხეთის ქედზე), **ტბისწვერი** (მთა გომბორის ქედზე),...

ბ) **ტაბა** > **ტობა**

ტობა (მდინარე სენაკში), **ტობავარჩხილი** (ტბა ეგრისის ქედზე), **ტობანიერი** (სოფელი ვანში), **ტობის მდვიმე** (ხონში), **ტობახჩა** (სოფელი ჩოხატაურში), **ტონტობეთი** (სოფელი ჯავაში), **ოტობაია** (სოფელი სამურზაყანოში).

გ) **ტაბა** > **ტობ** > **ტუბ** ან **ტაბ+ი/ე** > **ტრბ** > **ტუებ** > **ტუბ** > **ტუბიბ** და **ტუბ-** ან > **ტიბ-** (ზოგ ზემოსვანურ სოფელში), **ტუბ-** (ლნტ.)

ტობარ (სოფელი ხაიშთან ახლოს), **ტუბიბერ** (მთა, უღელტეხილი, მდინარე და სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში), **ტ'უ'ებიშ** (სოფელი ბეჩოში), **ტუბშიშ ფერმა** (საქონლის სადგომი მდინარე დოღრას მარჯვენა ხეობაში). **ტუბიბ** (სოფელი ლენტეხში), **ტუბიბნარ** (მთისკენ მიმავალი ბილიკი სოფელ ლენჯერში და ჭაობიანი ადგილი სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში), **ტუბიბმაშერ** (მთა მესტიაში), **ტუბიბრანშერ/ტუბიბრაშერა** (სოფელი კოდორის ხეობაში),... **ტიბარ** (სათიბები ღელის პირას სოფელ ლატალის თავზე),...

ნიკო მარისა (Яфетические элементы в языках Армений, III, ИИАН, Спб, 1912: 596) და აკაკი შანიძის (К этимологии названий "Топата", ენიმკის მოამბე, I, ტფილისი, 1937: 84) შრომების მიხედვით, მცირე აზიაში არსებული სოფლისა და ტბის სახელწოდება **ტობადა** (თანამედროვე აჯი-გიოლ, თურქული ტრანსკრიფციით

Aci-Göl) ქართველური წარმოშობის კომპოზიტია და ნიშნავს „ტბამწარე“-ს (**ტობა+და** < ***ტობა+და-რე**). **դარნი** (**dar-n** < ***zar-n**), ნ. მარის აზრით, იგივეა, რაც ზანური ***მ-ჭორ-ე** (< ქართული **მ-წარ-ე**), რომელიც სომხურმა ენამ შემოინახა. ვფიქრობთ, რომ ძალზე რთულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ჩვენ გთავაზობთ შედარებით მარტივად აღსაქმელ სურათს:

ყველა ქართველურ ენაში **ტაბ-/ტობ-/ტომბ-/ტუბ-/ტუმბ-** ძირებს ხშირად დაერთვის სონორი (**ნ, რ, ლ**), დენტალური (**თ**) ან ლაბიალური (**ბ**) თანხმოვნები, რომლებიც მრავლობითობის (ან კნინობითობის) ფუნქციით არიან გამოყენებულნი. მოსალოდნელია **ტობა-და** შიგ იგივე სიტუაცია გვქონდეს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ დაკარგული ზემოსვანური ძირისეული თუ აფიქსისეული ხმოვნები დღესაც დადასტურებულია ლენტეხურ დიალექტში: **ტუბ-ენ-არ** (ტყე და დელე მდინარე ლასკადურასთან, შდრ. ლენჯერული **ტუბ-ნ-არ**, ერთი მხრივ, და მეტათეზისური **ტუბ-რ-ნ** სათიბი სოფელ ღემდერში, მეორე მხრივ).

რაც შეეხება სემანტიკას, აქ საკმაოდ ჭრელი სურათია, თუმცა რომელ სახელდებასთანაც (ტბა, ტბორი, დელე, გუბე, გუბურა, მორევი, ჭაობი, ხევი, ხეობა, მთა, უღელტეხილი, სამოვარი, ყანა, სათიბი, ბუჩქნარი, ტყე, უბანი, სოფელი, ნაკადული, ავდარი, ნავსადგური, ჩაღრმავებული წყალი,...) უნდა გვქონდეს საქმე, ამოსავალი ყველგან „წყლის“ მნიშვნელობაა (იხ. ხეთოლოგ ე. ფორერის, ისტორიკოს ს. ჯანაშიას და ენათმეცნიერ ა. შანიძის ეტიმოლოგიები: **ტიბარენი, ტაზარი**,... = „წყლის, ტბის, ზღვის ქვეყანა“, **ტბელი** = „წყლის, ტბის, ზღვის კაცი“, ენიმკის მოამბე, 1937: 230-241).

1937 წელს აკაკი შანიძე წერდა: "Некоторые мегрельцы затрудняются ответить, когда их спрашивают: как по-мегрелски "озеро"?, ибо **ტობა** для них значит исключительно **глубокий**". დაახლოებით ანალოგიური ვითარება სვანურშიც (შდრ. **ტობგლდარ** – დელეები, მაგრამ იგივე **ტობგლდარ** გუბეებია – საღლიანი 2016: 559, 28 და 559, 1; ხოლო **ტუბიერ** – დელიანი, იქვე: 554). მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ასლან ლიპარტელიანის ერთი შენიშვნა: ჩო-

ლურში „დელეჟ“, მშრალიც რომ იყოს, მაინც **ტუბ** ჰქვია: **ზესკი ტუბ** – 1994: 265, მაგრამ იმავე წიგნში „დელეჟ“ მნიშვნელობით **ტუბრა/ტუბრა** (265-266) გვაქვს. სხვა შემთხვევაში **ტუბიზლდ** (კნინ. ფ.) „სახანავი ვაკე ადგილია“ (ლაშთხვერში), ხოლო იგივე ლექსემა „პატარა დელეჟ“, თუმცა ცუდ ამინდში ადიდეზაციის (მულახში)“. ასევე, „**ნა-ტბ-ებ-ი** ლეჩხუმში ადრე ტბა იყო, მაგრამ არხი გაჭრეს და გუბე დარჩა“ (ცხადაია 2014: 151), ხოლო იმერეთში (ხონში) **ტობაწულის** ტბაც არსებობს და დელეჟც (საქ. ტოპ. 1999: 161). საგულისხმოა, რომ მსაზღვრელში ზანური ვარიანტი (**ტობა**) შემოგვრჩა, საზღვრულში კი ქართული (**ტბა**) გვაქვს. მარტვილის რაიონში **ტობა** აღნიშნავს: 1. ტბას (სალხინი); 2. ღრმა ქვაბულს (მდინარე აბაშის ხეობა); 3. გუბურას, სამოვარს, მორევეს (ტაბაკოლა); 4. ჩავარდნილ ადგილს მთებში (ინჩხური); 5. მცირე ტბას (ნობულევი) – ცხადაია 2012: 562...

მაშასადამე, ტოპონიმია მართლაც „დედამიწის ენაა“ – დროთა ვითარებაში რელიეფი იცვლება, მაგრამ გარკვეული სახელწოდებანი უცვლელად რჩება მის აღმნიშვნელ ლექსემებში.

-**ტბ**- ძირი უძველეს ქართულ ძეგლებშია დადასტურებული, მაგრამ მისი მნიშვნელობა ლექსიკონებში ან საერთოდ არაა ნაჩვენები (აბულაძე, 1973: 411) ან სხვადასხვაგვარადაა განმარტებული: **ტბა** – ზღვა არს მომცრო, **ტბას** უწოდებენ ნავთსაყუდელსა (საბა, 1949: 640); **ტბა** – ნავსადგური (სარჯველაძე 2001: 205). გ. კლიმოვი ქართული ოთხთავის ერთ-ერთ რედაქციაში დადასტურებულ **ტბა**ს თარგმნის, როგორც „საბანაო“-ს ("купальня") – Климов, 1964: 179... რაც შეეხება **ტბური**ს (**ტბ**ისგან ნაწარმოებს), ის არის გუბე (აბულაძე), **ტბორე** გახლავთ ავი გუბე (საბა), ხოლო **ტბური** პატარა ტბაა, **ტბორი** კი – გუბე (სარჯველაძე).

ნიკო მარისთვის სვან. **ტვიბ** და **ტუბ** ძირი სხვადასხვა ბრუნვის ფორმაშია გამოყენებული და ყველგან აღნიშნავს *у щелъе*ს (1911: 1200).

ყველაზე რთულ პრობლემად აკაკი შანიძეს მიაჩნდა სვანურ უშმლაუტო (**ტობ**-/**ტუბ**-) და უშმლაუტიან (**ტუტებ**-/**ტუბებ**-) ფორმათა დაპირისპირება საანალიზო ლექსემაში (გვ. 83). დიახ, ეს მართლაც ასეა!...

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მორფოლოგიურ (ქართულ **ტაბ**- ძირ-ზე სახელობითი ბრუნვის **-ო/-ე** მორფემის დართვა-დაურთველობა) და ფონოლოგიურ (უძალაუტი/უუმლაუტობა, ძირისეული ხმოვნის დაცვა-დაუცველობა) პროცესთა კომპლექსურმა მოქმედებამ ხელი შეუწყო სვანურ ენაში **ტო¹მ¹ზ¹/ტ¹მ¹ზ¹-/, ტუ¹მ¹ზ¹/ტ¹მ¹ზ¹-** ფუძეთა დისტინქციური ღირებულებით გამოყენებას. დასახელებულ ვარიანტთა პირველი ცალები, ვფიქრობთ, თავდაპირველად იხმარებოდა „ტ ბ ი ს“ მნიშვნელობით, ხოლო მეორე – „ტ ბ ო რ ი ს ა“, თუმცა ეს წესი დღეს უკვე დარღვეულია, რაც ჯერ კიდევ არქაულობით გამორჩეულ ძველ ხალხურ სიმღერებში დაიწყო:

იმ¹ალე ტუბიდ ამ¹ყედღიხ, უოხერ ტ¹იბი და¹არ-ჰეცარენ გოშია (სადღაც ხ ე ვ ა მ დ ე მოსულან, ოხერი ხ ე ვ ი დეე-მხეცებით სავეე¹ა¹, სვ. პოეზ., 1939: 84, ტექსტი ჩაწერილია 1902 წელს სოფელ უშგულში).

1881 წელს ბესარიონ ნიჟარაძის მიერ ფიქსირებულ უშგულურ სიმღერაში „ყიფიანას მახელვაჟარე“ **ტუბის** თარგმნილია როგორც „ღ ე ლ ე შ ი“, სხვაგან კი იგივე **ტუბის** „ხ ე ო ბ ა ს“ ნიშნავს, რომელიც ვარლამ თოფურიას ჩაუსწორებია („ხ ე ვ შ ი“ – იქვე: 15, შდრ. აგრეთვე, 1923 წელს ლენჯერში სეზი გულედანის ჩაწერილ ტექსტში **ტუბას** იმავე მნიშვნელობით – იქვე: 6).

დღეს ენგურისა და კოდორის ხეობებში „ტ ბ ა“ **ტრმზ / ტობ, ტ¹იბ** „ხ ე ვ ი“ ან „ხ ე ო ბ ა ა“, ხოლო **ტუბრა/ტ¹იბრა** – „ღ ე ლ ე“ ან „მ ქ უ ხ ა რ ე ნ ა კ ა დ უ ლ ი“, მაგრამ შესაბამის ზმნათა თუ სახელ-ზმნათა წარმოებისას უუმლაუტო ფორმა (ვთქვათ, **ატრმზახ** – „ა გ უ ბ ე ბ დ ნ ე ნ, ტ ბ ო რ ა ვ დ ნ ე ნ“, **ლეტრმზე** „და გ უ ბ ე ბ უ ლ ი, და ტ ბ ო რ ი ლ ი“,...) იხმარება ისევე, როგორც „ტბის“ აღმნიშვნელ ლექსემაში.

რაც შეეხება ინლაუტში სონორთა ჩართვას, ეს პროცესი ყოველთვის იყო და დღესაც არის დამახასიათებელი ყველა ქართველური ენის ყველა დიალექტისთვის, ამიტომ უკვე დროა, თავი დავანებოთ **ტრმზ** ფუძის მეგრულიდან სესხებაზე მსჯელობას (Шанидзе 1937: 83, ფენრიხი/სარჯველაძე 2000: 428, Климов 1964: 179, სადლიანი 2016: 683) ან სვანური **ტუბ¹**ის ზანურ ვარიანტად

წარმოდგენას (ჩიქობავა 1938/2008: 80,191), თუ გავხსენებთ იმას, რომ მხოლოდ მეგრულში კი არ გვაქვს **ტომბა** („ღრმა მდინარე, მორევი, ტბა“), არამედ ხევსურულ-ფშაურ-თუშურშიც იხმარება **ტუმბო** იმავე მნიშვნელობით („მორევი, ღრმა და დიდად დაგუბებული წყალი მდინარეში, ღრმული წყლის ქვეშ“). გარდა ამისა, მეგრულში **-ნ-** ინლაუტიანი მონაცემიც არსებობს, რომელიც სხვა ქართველურ ენათა არც ერთ დიალექტში ჯერჯერობით გამოვლენილი არაა, თუმცა აკაკი შანიძე **ტონბა**-ს მიიჩნევს შუალედურ ფორმად **ტომბა**-სა და **ტრმბ**-ს შორის, როგორც მეგრულში, ისე სვანურში, ხოლო უმლაუტიან **ტუბ/ტუიბ** და **ტუბრა/ტუიბრა** ფუძეებს – საკუთრივ სვანურად (იქვე).

გარდა ამისა, მეტად საგულისხმოა პაატა ცხადაიას ერთი განმარტებაც: **ტობა (ტომბა)** – ტბა; მორევი; ღრმა წყალი; **ტომბა** უფრო წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებშია გავრცელებული, ხოლო **ტობა** – მარტვილში. „**ტბას**“ მხოლოდ **ტობა აღნიშნავს**.

საგანგებოდ უნდა გავხაზოთ, რომ **ტუიბ** („ხეობა, ხევი“) სვანური ენის ყველა დიალექტშია (მათ შორის ლაშხურშიც!) დადასტურებული, რომელიც ნაუმლაუტარი **ტუბ**-იდან მომდინარეობს [**ტაბა** > **ტაბ** > **ტობ** > **ტუბ+ი/ე** (სახ. ბრ.)]. ამ ფუძეში უმლაუტის კვალი არამხოლოდ თანამედროვე სვანურის უმლაუტო კილოში ჩანს. ვფიქრობთ, მარტვილისა და წალენჯიხის რაიონებში წარმოდგენილი ტოპონიმებიც (**ტებენა/ე**, **ტებიშ ღალ** // **ტებღალ**) დეუმლაუტიზაციის (**ტობა** > **ტობ** > **ტობ+ი/ე** > ***ტუებ** > **ტებ**) შედეგია (შდრ. სვან. **თეფ** < **თუეფ** < **თოფ+ი/ე**). იგივე შეიძლება გვეთქვას ლეჩხუმური **ტიბიშური**-ს („დელე ლაშიჭალასთან“) შესახებაც, რომელიც უნდა მომდინარეობდეს სვან. **ტუიბ-იშ-ური**-იდან. ფორმა იმითაა საინტერესო, რომ სახ. ბრუნვაში ის **-ა** დაბოლოებიანი არ უნდა ყოფილიყო, რაზედაც ნათ. **-იშ** მორფემა მიუთითებს. შდრ. მეგრ. **ტობეში** (ტყე, ხევი, მდინარე), ერთი მხრივ, და **ტობაში** (ტაფობი, ჭაობი, სამოვრები, ღრმა ხევი მცირე ტბით სამეგრელო-ხონის საზღვარზე), მეორე მხრივ.

ქართული ენის დიალექტებში, ჩვენს საანალიზო ძირში მკვეთრი თანხმოვანიც დასტურდება: გურ. **ტპაი** („ტბა ან ჩაღრმავებული საბანაო ადგილი მდინარეში“), აჭარ. **ტომბოყო** (შდრ. გურ. **ტომბოყო** „წყლიანი ორმო“ ან „მიწაზე დამდგარი წყალი“), იმერ.

ტომპოსდელე, ტამბ/პაყური, ტპიყელი – ტოპონიმები). მოსალოდნელია, რომ ქართული **ტომ-ავ-ს** („ფეხით დადის წყალში“) ზმნისთვის ამოსავალი იყოს **ტაბ**- ძირი. ევროპელ ებრაელთა **taikh** „ტბა“ იდენტურია გერმანული ლექსემისა **Der Teich** „ტბორი; გუბურა; ტბის ან მდინარის ყურე“. შდრ. **tauchen** „ჩაყვინთვა, ჩაყურყუმალაგება“¹, აგრეთვე რუსული **топкий берег** „ტბორიანი, ჭაობიანი ადგილი“, ერთი მხრივ და **топиться** „ჩაძირვა, ჩაფლობა წყალში“, მეორე მხრივ.

ტაბ- ძირი ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ანთროპონიმებშიც (ტაბატაძე < ***ტაბა-ტაბა**-ს-ძე?, ტაბეშაძე < **ტაბა**-შა... „ტაბაანი“ ძველ სვანეთსა თუ სამეგრელოში), **ტზერიანი** < **ტუიბ-ერიანი**-ი (სვან. მატ. 1941, VII: 219), შდრ. იქვე არაერთხელ გამოყენებული **ტბელიანი**. ვფიქრობთ, რომ **ტზერიანი ტუბერიანი**’ს დაქარაგმების შედეგი კი არაა (ერთი გრაფემის დაქარაგმება ეკონომიას მაინცადამაინც არ იძლევა!), არამედ – **ტუიბერიანი**’სა. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ენგურის ხეობის სვანურ დიალექტებში ხმოვანთა უმლაუტის ისტორიულ არსებობას ადასტურებს XIII საუკუნის ძეგლის („მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“) ონომასტიკა (ქალღანი 1969: 124-139).

ძალზე რთული ინტერდისციპლინური (ეთნოლინგვისტური თუ ისტორიულ-გეოგრაფიული) კვლევის საგნად გვესახება საანალოზო ძირის შემცველი რამდენიმე ტოპონიმის (**ტომზარ** –სოფელი მესტიის რაიონში < ***ტომ-ერ-ა**, შდრ. **შეყერ** – მთა კოდორის ხეობაში და **შეყერი** – სოფელი ტყიბულის რაიონში, **ტუბერ/ტუიბერ** – სვანეთში, **ტუბათისწყარო** და **ტობაწულისტბა** – ქვემო იმერეთის სოფელ ხანსა და კინჩხაში, **ტობათი** – ადგილის სახელწოდება საჯავახოს მახლობლად) სტრუქტურული განხილვა, მაგრამ ამაზე სხვაგან.

¹ გერმანული ენის მასალა მოგვაწოდა პროფ. მარიკა ჯიქიამ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ორინე ჩაჩანიძე, ნატო წულებისკირი,
თამარ გუჩუა

სკოლებში ქართული ენის სტატუსის შესახებ¹

(მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის პრესის მიხედვით)

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის ფუნქციონირების საკითხს იმერეთში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ 1801 წლიდან ქართული ენის ბედი მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ხელში ჩააგდო. შედეგმაც არ დააყოვნა: რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე დაიწყო, გაღვივდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტები და ა. შ. 1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ გამოაქვეყნა ცირკულარი, რომლითაც ყველა ტიპის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, ხოლო დედაენა არასავალდებულოდ გამოცხადდა.

ამ გადაწყვეტილების შედეგებს ეხმიანება გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე ერთ-ერთი კორესპონდენტის ავტორი:

„ევროპის პატარა ერების საშვალო საუკუნოების ისტორიას რო თვალი გადავავლოთ - ვნახავთ: გაბატონებულ ერებს დამონებული ერების ეროვნული სახის გასაქარწყლებათ უმთავრესი იერიში „დედა-ენაზე“ მიუტანიათ ხოლმე. და თუ ერს თავისი ენა დაუკარგავს, სახეც გაქრობია, გადაგვარებულა... სწორეთ ამ პატარა ერების ბედ-იღბალს განიცდის დღეს ქართველი ერი. ქართული ენა საქართველოს ყველა დაწესებულებიდან გაძევებულია; გადამთიელნი მას პირუტყვის ენას უწოდებენ, მხოლოდ სახალხო შკოლებში შერჩა მას ცოტა უფლება და უფლების წართმევა-დაკარგვასაც ვესწრებით დღეს. მე მოგახსენებთ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექცია-ინსპექციასა და ადგილობრივი ქალაქის თვითმართველობის შორის ატეხილი ომის შესახებ, რომელიც უკანასკნელმა სასტიკათ წააგო. შედეგი კი — თვითმართველობის დამარცხებისა არის ის, რომ ქუ-

¹ კვლევა [FR17_178] განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

თაისის გუბერნიის და ბათუმის ოლქის სახალხო და ქალაქის სკოლებში ქართულმა ენამ ადგილი დაკარგა („იმერეთი“, 1913, №97).

1885 წელს გამოქვეყნებული მეორე ცირკულარით, ქართული ენა სრულიად განიდევნა სკოლიდან. სასულიერო სემინარიაში აიკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება, ეგზარქოსის განკარგულებით, სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვეს ეროვნებით ქართველი მასწავლებლები. სწავლებაში დამკვიდრდა ე. წ. „მუნჯური მეთოდი“, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ ქართველმა ბავშვებმა არ იცოდნენ რუსული, ხოლო რუსმა მასწავლებლებმა – ქართული.

ზემოაღნიშნული მეთოდის შესახებ გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობთ:

„იმ დროს, როდესაც სოფლის პირველდაწყებით სკოლაში ვსწავლობდი, გამეფებული იყო ლევიტსკის მუნჯური მეთოდი. მოწაფეებს სასტიკათ გვექონდა აკრძალული ქართულ ენაზე დალაპარაკება. მასწავლებელს შეცდომით თუ არა, არ წამოსცდებოდა ქართულად ერთი სიტყვაც. „მარკაც“ კი შემოიღეს ერთჯერ. „მარკას“ ერთ გვერდზე ეწერა: "Передай тому, кто будет говорить по-грузинский". რომელ მოწაფესაც „მარკა“ აღმოაჩნდებოდა, უსათუოდ დაისჯებოდა. ხშირათ რუსულ სიტყვებს სრულიად გაუგებრათ, უსულგულო მანქანასავით ვიმეორებდით; ანდა სიტყვას ვაძლევდით სრულიად სხვა მნიშვნელობას“ („იმერეთი“, 1913, №164).

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ორდონიანი ინფორმაცია, როგორც ინტერპრეტაციის საშუალება და თანამედროვე ქართული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში „გოქსუ“

მხატვრული ნაწარმოებების ინტერპრეტაციათა შესაძლებლობა, უპირველესად, ამავე ნაწარმოებში გამოყენებული ენობრივი საშუალებებითაა განპირობებული. ფაქტია, რომ არსებობს ორდონიანი ინფორმაცია – ტექსტი და ქვეტექსტი (// ქვეტექსტები).

ქვეტექსტი (// ქვეტექსტები) მხატვრულ ნაწარმოებთან (და არა მხოლოდ) ნაირგვარი ინტერპრეტირების შემამზადებელია. ამასთანავე, გარდა კოლექტიური კულტურულ-პოეტური ცნობიერ-ქვეცნობიერისა, გამოცდილებისა და ინტენციისა, ჩვენ ყველას, როგორც მკითხველს, გვაქვს საკუთრივიც, მხოლოდ თითოეული ჩვენგანისთვის ნიშნული. შესაძლო ინტერპრეტაციათა უსასრულობა კი ნებისმიერ მკითხველს მუდამ აძლევს მარჯვე შესაძლებლობას თავად ჩაუკვირდეს ტექსტს და მასში „სათავისო ინფორმაცია“ აღმოაჩინოს (ერთიცაა, როდესაც უკვე გამზადებული ქვეტექსტით კითხულობ ტექსტს, მიიღებ არა იმ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც იგი მომზადდა, არამედ იმას, რასაც შენი წინასწარი განწყობა გკარნახობს). აქ, უთუოდ, დადებით როლს თამაშობს ის საყოველთაო შეთანხმება, რომ გამოქვეყნების შემდეგ ტექსტი ავტორს „აღარ ეკუთვნის“, იგი მკითხველისაა.

მოხსენებაში შესაძლო ინტერპრეტაციითა და ლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზებულია თანამედროვე ქართული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში „გოქსუ“ (ავტორი რ. გეთიაშვილი).

გოქსუ

სადაც ყვავილები მთავრდებიან
და შენი თითები იწყებიან,
შენი თითებიდან დაწყებული,
ჩემი დაკარგული მიწებია.
არ ღირს ობლობაზე ლაპარაკი,
სულით ობლობასაც ნუვინ ტირის,
საკუთარ მარღვებში დავწანწალებ,
ერთი უცხოელი ტურისტით,
თანაც დაკიდებულს, საცალფეხოს,
ფართოდ ვიღიმები გულისტკივილს.
უკან ურდოები მომყვებიან
და მიტოვებული მეფეები,
როცა ყველაფერი წესრიგშია,
როცა ყოჩივარდებს ეფერები.
სხვებით სხვა მგოსნებმა გაიხარონ,
ალბათ, ჩემს გვირგვინად ეს აკურთხეს:
მთელი უშენობის მფლობელი ვარ,
დიდი დანაკარგის მესაკუთრე.

ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ეს ლექსი სატრფიალო პოეზიის ნიმუშია – ერთობ საინტერესო და მიმზიდველი ინტერპრეტაციით ასეთად მიიჩნევს მას მკვლევარი ნ. დარბაისელი-სტრონი. პოეტური ქმნილებისადმი ანალიტიკური მიდგომისას ერთ-ერთი პირველი საქმე დროულ-სივრცულ-სიტუაციური პარამეტრების მონიშვნაა. ამათ გარეშე ინტერპრეტაცია წარმოდგენილია: რა ხდება, სად, როდის, ვინ მონაწილეობს, ვინ მეტყველებს და ვინ მოქმედებს და როგორ და ა. შ. ავიღოთ თუნდაც სათაური, რომელიც პირველ ბიძგს იძლევა სწორედ ნაირგვარი ინტერპრეტირებისათვის: არსებობს სათაური-გასაღები, რომელიც ხსნის, აღებს ტექსტს. ასევე, არსებობს სათაური-კლიტე, რომლის გასაღები არც ტექსტში, არც კონტექსტში არ მოიპოვება – ამ სივრცეთა გარეთაა, სათავისოდ იტოვებს ავტორი. სრულიად სამართლიანად წერს მკვლევარი: „ქართველ მკითხველს ისღა დარჩენია: ან მიიღოს სიტყვა „გოქსუ“ უცნაურად უჩვეულო საკუთარ სახელად, ან დაუშვას, რომ იგი განგებ არის ავტორის მიერ იმგვარად კოდირებული, რომ მკითხველის მხრიდან დეკოდირებას არ დაექვემდებაროს. იმის გათვალისწინებით, რომ პოეტური ხელოვნებისთვის უცხო არ არის მოვლენა, როცა ავტორი ტექსტში მხოლოდ თავისთვის, ჰა და ჰა, კიდევ ვიღაც რეალური ერთისთვის გასაგებ, სანუკვარ კოდებს „ინახავს“, მე მეორე ალბათობისკენ ვიხრები“.

ეს პატარა ლირიკული ლექსი დიდად საყურადღებოა კომპოზიციისა და პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით (ინტერტექსტი პოეტური მეხსიერების საგანძურიდან, თვითთრონია, ლექსის რიტმულ-ინტონაციური დინამიკა, ბგერწერული აქცენტები და ა. შ.). ავტორის – რ. გეთიაშვილის – თანახმად, ეს ლექსი ეხება ტაო-კლარჯეთს, იქ მცხოვრებ პატარა ქართველ გოგონას – გოქსუს, და ადამიანებს, რომელნიც ტერიტორიებთან ერთად დაგვარგეთ. „ფართოდ გაღიმებული გულისტკივილით“ დაწერილი „გოქსუ“ თანამედროვე ქართული პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია.

კომპოზიტებში შემონახული კანონზომიერი შესატყვისებისათვის მეგრულ-ლაზურში

1. *სივითლის* ცნება თანამედროვე ზანურ დიალექტებში ნა-სესხები ფორმებით არის გამოხატული; ლაზურში ასეთია სახელური **სარ**-ი „ყვითელი“ (<- თურქ. sari) ძირი; აქედან ზმნური ფორმაც გვაქვს – **ო-სარ**-უ „გაყვითლება“, შდრ. **სარ**-ელ-ი „გაყვითლებული“. მეგრულშიც მხოლოდ ფონეტიკურად შეფერილი სალიტერატურო სიტყვა გვაქვს – **ყვინთელ**-ი, სადაც საკუთრივ მეგრული კვალია ოდენ **ნ**-ს ჩართვა. არადა, ქართულ **ყვითელ**-სახელს უნდა მოეცა კანონზომიერი **ყვითა** / **კვითა** შესატყვისი ლაზურში (შდრ. ქართ. წითელ-/ჭითა „წითელი“) და **კვითა** მეგრულში. მოსალოდნელი **კვითა** რეალურად დასტურდება ვიწურსა და არქაბულში, ოღონდ კომპოზიტის ნაწილად გამოჩნდება, კერძოდ, **კვითა უშკური** ყვითელი ვაშლის ლაზებში გავრცელებული სახეობაა. მეგრულშიც დაიძებნა ზუსტი შესატყვისი, მაგრამ მხოლოდ ნასახელარი ზმნის სახით: **ყვინთ**-ინ-ი „უფერული, სუსტი, ავადმყოფური გამომეტყველება“, შდრ. **ყვინთ**-ალ-ი „გაყვითლებული“.

2. ქართველურ ენა-კილოთა შედარებით თუ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ძვ. ქართ. **ჯორც**- „ხორცი; სხეული; გვამი“ სიტყვის კოლხურ შესატყვისად მეგრულში **ხორც**-ს, ხოლო ლაზურში **ხორც**-ი / **ხოწ**-ი „ხორცი“ ალომორფებს მიიჩნევენ (ჩიქობავა 1938 : 70-71; კლიმოვი 1964 : 266). მაგრამ რეალურად საძიებო მოსალოდნელი კანონზომიერი შესატყვისი **უ** გახმოვანებით ისევ ლაზური კომპოზიტის შემადგენლობაში ჩანს შემონახული, შდრ. **ხუსუ**- ფორმა სიტყვებში **ხუსუ-მეტი** „ზედმეტი ხორცი, ხორცმეტი“, **ხუსუ-მეტობა** „ხორცმეტობა“. **ჯორც-ხუსუ**- ვარიანტების შედარებისას დამატებით კიდევ ორი საკუთრივ ლაზური თავისებურება გამოჩნდება: 1. **ც** -> **ს** სპირანტიზაცია (შდრ. ქართ. **კოც**- „მოხოცვა“ – ზან. (ლაზ.) **ხოს** (<- ***ხოც**-) „წმენდა ხილის“); 2. **რ** -> **0** – ***ურცუ**- -> **ხუსუ**-. ფაქტია, რომ სიღრმისეული და კომპლექსური კვლევა-ძიების შემთხვევაში ქართულ ძირ-ფუძეთა მრავალი სხვა დაფარული ეკვივალენტი გამოჩნდება როგორც მეგრულ-ლაზურში, ისე სვანურ დიალექტებში.

**გადაადგილებითი მოძრაობის გამომხატველი ზმნების
სტრუქტურულ-სემანტიკური კომპონენტები
მთის დიალექტებში**

1. ამ ხასიათის ზმნების ანალიზისას ორი ძირითადი საკითხი იქცევა ლინგვისტის ყურადღებას: სიტყვის სტრუქტურა და მისი სემანტიკა.

2. ზმნის სტრუქტურული მხარე მარტივია. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ფუძე თავისი სამიმართებო ელემენტებით – პირის, რიცხვის, დრო-კილოთა ფორმების ექსპონენტებით, რომელთაც უკავშირდება ზმნის ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა და ზმნისწინისაგან, რომელთანაც დაკავშირებულია გადაადგილებითი მოძრაობის მიმართულების გამოხატვა.

3. რაც შეეხება ზმნის სემანტიკური მხარის კომპონენტურ ანალიზს, აქ მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული საკითხები ექცევა ლინგვისტის ყურადღების არეში. პირველ ყოვლისა ზმნის ფორმა მიანიშნებს მის ორ უმთავრეს სემანტიკურ შემადგენელზე: ა) უძრავი ორიენტირი, იგივე დამკვირვებელი, სუბიექტი, რომლის მიმართაც – მისგან ან მისკენ ხორციელდება მოძრაობა და ბ) გადაადგილებადი ობიექტები: როგორია მოძრავი ობიექტი – სულიერი თუ უსულო, რის მიხედვითაც ზმნის ფორმაში წარმოდგენილია სვლა, დენა, ქონა, ყვანა მასდართა ძირეული ელემენტები; გ) როგორ ხორციელდება მოძრაობა – დამოუკიდებლად თუ სხვისი დახმარებით, რაც იძლევა ზმნათა დაპირისპირებას გარდამავლობის მიხედვით; დ) როგორია სამოდრაო სივრცე – ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დახრილი; ე) როგორია მოძრაობის გზა – ხმელეთი, წყალი, ჰაერი, რომლის მიხედვითაც მასდართა ამოსავალი ძირები იქნება: სვლა, ფრენა, ცურვა, ღება, ტანა, ქონა; ვ) მოძრაობა რთულ, უსწორმასწორო, მთაგორიან რელიეფზე, რომელიც წარმოადგენს მთის დიალექტების თავისებურებას და მოხსენებაში სწორედ ამ უკანასკნელზე იქნება საუბარი.

**ფუძე-გაორკეცებული და ტოლად შერწყმული სახელები
რევაზ ინანიშვილის ენის მიხედვით**

რევაზ ინანიშვილის ენა სადა, ლაკონიური და ეკონომიურია, ამასთან ერთად კი შინაარსით ფრიად ტევადი, გამომსახველობითი და ხატოვანი. მწერალი ყოველივე ამას სხვადასხვა ენობრივი საშუალებით აღწევს. ამ მხრივ, განსაკუთრებით ყურადსადებია კომპოზიცია (რედუქლიკაციითურთ). მწერლის ენაში დასტურდება როგორც ცნობილი, ისე მის მიერ შექმნილი ახალი კომპოზიტები. სიტყვის განმარტებისას, სხვადასხვა მწერალთან ერთად, ლექსიკოგრაფები საილუსტრაციოდ ხშირად მიმართავენ რევაზ ინანიშვილის პროზაში დადასტურებულ მასალას, რიგ შემთხვევაში კი სიტყვა მხოლოდ რევაზ ინანიშვილის ილუსტრაციაზეა დაყრდნობილი. მაგ.: გორვაგორვით, ბარგან-ბარგანით, ჩით-ჩუთი და სხვ. რა თქმა უნდა, მწერალი სიტყვათქმნადობისას მიმართავს ქართული ენისათვის დამახასიათებელ კომპოზიციის წესებს. ახალია მხოლოდ ამ სიტყვათა შეხამებები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გასამიჯნია ავტორისეულ მეტყველებასა და პერსონაჟთა მეტყველებაში გამოყენებული კომპოზიტების ლექსიკურ ერთეულთა შემადგენლობაც. ამჯერად შევეხებით მწერლის ენაში დადასტურებულ ახალ ფუძე-გაორკეცებულ და ტოლად-შერწყმულ კომპოზიტებს.

1. ორკეცდება სამწერლო ენიდან ცნობილი სიტყვა, მაგ.:

ბროლა: ეყარა **ბროლა-ბროლა** კაკლები („ალერსი შიშიანობის დროს“);

მტკაველი, ციდა: **მტკაველ-მტკაველ, ციდა-ციდა** აპატარავებდნენ ღმერთს („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“);

მადლობა: ქალი სულ **მადლობა-მადლობებით** წავიდა („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“).

ასევე გაორკეცებული სახით გვხვდება: **ბორიალი, ჩუჩუნო, წყალი. კრუტუნო, ჩერება, კეცვა** და სხვ.

გვხვდება ოდენ დიალექტში დადასტურებული გაორკეცებული სიტყვებიც:

თქლიშინი: წვიმა **თქლიშინ-თქლიშინით** მეხეთქებოდა სახეში („მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“);

ზივილი: „პობედა“ **ზივილ-ზივილით** მოაფარა კუთხეს („ალერსი შიშიანობის დროს“).

რიგ შემთხვევაში გაორკეცებულ სახელებში შეცვლილია ხმოვანი, თანხმოვანი ან ორივე ერთად, მაგ.:

სველი შარვლის ტოტებს **ლარტყა-ლურტყი** გაუდის („მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“);

ნახეს, რაღაც **ფიჩხფუჩხი** ეყარა, ის **ფიჩხფუჩხი** გასწი-მოსწიეს და, თქვენს მტერს, რაც იმათ დაინახეს („შორი თეთრი მწვერვალი“);

ირგვლივ ცივა, პირშეყინულ ტალახს ფეხქვეშ **ფხლაწაფხლუწი** გაუდის („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“), – შდრ. **ფხაწი-ფხუწი, ფხაჭა-ფხუჭი;**

ჩავცვივდით **ფლაქვა-ფლუქვით** კბოდეზე (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976), – შდრ. **ფლოქვი.**

2. მწერალი ტოლად-შერწყმული სახელების შესაქმნელად იყენებს მსგავსი შინაარსის არსებით და ზედსართავ სახელებს, საწყისებს, განსაკუთრებით ხშირად კი მიმღეობურ ფორმებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება სხვადასხვა აგებულების ტოლად შერწყმული სახელები:

თხლე-ჭაჭა რომ დაიწმინდება, თითო ჩარექა უნდა დავალევი-ნოთ, ეკუთვნის- მეთქი („ალერსი შიშიანობის დროს“);

ერბო-ხაჭოც დაწითლდა („შორი თეთრი მწვერვალი“);

ერთი **შეტევა-გამგელება** იმას მიუძღვნა („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“);

ერთი შეხედვითვე ეტყობაა ქართულობა სახლებს, ლობეებს, **საქონ-საყოლსაც** კი („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“);

აქ სულ **ახვეტილ-დახვეტილი** თოვლები იყო („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“);

ადამიანის ძლიერება **ოქრო-ვერცხლისა** და **სათქვლეფ-სახეთ-ქავის** სიმრავლეზე კი არ არის დამოკიდებული („ალერსი შიშიანობის დროს“);

მიქობილ-მოქობილი საღორე-საქათმეები („ალერსი შიშიანობის დროს“).

აგრეთვე: **სოფელ-ქვეყანა, დაღალ-წვერი, ჭყანტე-ჭაობი, ტკბილ-მწარა, ნათესავ-მოკეთე... გაქუცულ-გაწვრილებული, ჩურ-ჩულ-პუტუნი, ხრუტუნ-ფშუტუნი, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი, დახატულ-დაკალმული, მიქობილ-მოქობილი** და სხვ.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

დამხე სიტყვის სემანტიკისათვის

სულხან-საბას „ლექსიკონ ქართულში“ **დამხე** ასეა განმარტებული: „**დამხე** (+ 3 მეფ. 1,31 ZA; 17 კავშ.) დაბლა, ზემთა – მაღლა. ZAB... [დაბლა CD კ~დ კავშ.: **ოშკის** წიგნში: „მაშინ **დამხედ** დავარდა პირსა ზედა თჯსსა“ E] ნ. ზესთა, სიტყუა“... (სულხან-საბა 1991); „**ზესთა ზემთა** უმეტეს-უმადლესი: **დამხე** უ(მ)დაბლესი... **ზესთა-მჩენობა (ზეშთა-მჩენობა)** მაღლად თავის-გამოჩენა ამპარტავნულად... მაღლობით გამოჩენა ამპარტავნულად... **ზეშთა** უფროსად დიდი... ნ. უზეშთაესი, სიტყუა“... (სულხან-საბა 1991); „**სიტყუა** ...სამ სახე არიან მზრახველობანი ჳმონთა სიტყვათანი: **ზეშთა სიტყვა** – უაღრესათავის, **სწორ(ი)** – მოყვასთავის და **დამხე** – ჳელქვეშეთათვის ZAB... (სულხან-საბა 1993). სულხან-საბა **სიტყვის** განმარტებისას იოანე პეტრიწს ეყრდნობა: მის შრომებში **დამჳე** „დარე“, „მდარე“ მნიშვნელობით არის დამოწმებული (იოანე პეტრიწი, ტ. I, გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, 1940) [შდრ. ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის თეორია“].

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ეს სიტყვა დადასტურებულია ვითარებითი ბრუნვის ფორმით: „**დამხედ** მიწაზე, მიწის პირს, ძირს, პირდაღმა: „დავარდა დავით **დამხედ**, თაყუანის-სცა მას“ O I მფ. 24, 9“ (აბულაძე 1973).

აკაკი შანიძის თვალსაზრისით: „**დამხედ** ზმნიზედაა (წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ფორმა ზედსართავისა) და ნიშნავს: „მდაბლად“, როგორც შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს: „და ესრწო

აღდგა იობ, დაიპო სამოსელი თვის და **დამხედ** თაყუანი-სცა უფალ-სა პირსა ზედა თვისსა“ (იობ 1, 20); „და დავარდა დავით, **დამხედ** ...თაყუანის-სცა მას“ (I მეფ. 24, 9. ოშკურ-ათონური ხელნაწერის მიხედვით; ბაქარისეულ გამოცემაში ამის ნაცვლად იკითხება: „და დავარდა დავით **მიწამდე** პირთა მისითა და თაყუანის-სცა მას“.); „ესე ყოველი მიგცე შენ, უკეთუ დახვარდე და **დამხედ** თაყუანის-მცე მე“ (სვან. მრავალთავი, 400a)... “ აქვე აკაკი შანიძე შენიშნავს, რომ **დამხე** სიტყვის ეტიმოლოგია ნათლად არ ჩანს, მაგრამ რომ იგი ძველის ძველად **ხანით** გამოითქმოდა, ეს თითქო უეჭველი უნდა იყოსო: „როგორც მოყვანილი მაგალითების ორთოგრაფიიდან ჩანს, **დამხედ** ხანიანი სიტყვაა, მაგრამ ი. პეტრიწის ნაწერებში სათანადო ზედსართავი მოყვანილია ორივე ხარისხის ფორმით: დადებითი **ხანით (დამხე)**, უფრობითისა **ჯარით (უდამჯეეს)**; „ზესთაჲ და **დამხე**“ (II, 53, 4)... „რადჲომ **უდამჯეეს** იყოს ძალითა“ (I, 80, 27)... (შანიძე 1972).

როგორც ცნობილია, ქართულ სალიტერატურო ენაში /ჟ:/ხ/ ფონემატური ოპოზიციის მოშლა დაიწყო IX საუკუნის ბოლოდან, X-XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გამოვლენილია **ჯ** გრაფემის ნაცვლად **ხ**-ს ხმარების შემთხვევები...

თედო უთურგაიძე სიტყვა **დამხეს**, პეტრიწის „ლექსიკური ახალნაყარი“ ტერმინების განხილვისას, უკავშირებს დიალექტურ **ჯოლ**-ს: „**დამჯე** „დაბლა“ (საბა) (შდრ. **და-მ-ჯ-ობ-ა** და დიალექტ. **ჯ-ოლ-ი** „ნანგრევი“)...“ (უთურგაიძე I, 1999). შდრ. ალ. ჭინჭარაულის „ხვესურული ლექსიკონი“: **ჯო[ვ]ლ-ი¹** სახლის ნანგრევი, ნასახლარი“... (შდრ.: ა. შან.: **ჯოლი**, ქველ: **ხოვლი**). აგრეთვე. **ნაჯოლარი/ნაჯოლარა, ჩაჯო[ვ]ლებს, ჩაიჯოლებს, ჯოლ-კარი...**“ (ჭინჭარაული 2005). „**ხოვლი¹** კუთხ. ფშ. „ნაოხარი ადგილი“ („დიალ.“) (ქველ 1964).

საყურადღებოა, რომ **ჯ**-არიანი და **ხ**-ანიანი ლექსემები სემანტიკურად ახლოსაა ერთმანეთთან:

დამჯობა სულხან-საბას განმარტებით არის: „პირქვე დაცემა“... (სულხან-საბა 1991); ილ. აბულაძე ასე განმარტავს: „**დამჯობა, დამჯუება** „დაქცევა“, დამხოზა, „დაცემა“, დანგრევა, წაქცევა“... **დამჯობილი, დამჯუებული** დაქცეული, დარღვეული, დახსნილი... „**დამჯოლვა** დაქცევა... **მჯოლვა** იხ. **დამჯოლვა, დამჯუება... დამჯუმა** დამხოზა: „საპურთხვეველთა ღმრთისათა შეემთხვა **დამჯუმამ**“ H – 341, 613. იხ.

(**მჯუმა**)...“ (ილ. აბულაძე 1973) (შდრ.: ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული სიტყვის კონა“: „**დამხედ** მდაბლად. **დამჯობა//დამჯუება** დამხოზა, დაცემა. **დამჯობა**-მ დამხოზა, დაცემა. **დამჯობილი//დამჯუებული** დამხოზილი, დაცემული. **დამჯოლვა**-მ დამხოზა, დაცემა. **დამჯუება**-მ დამხოზა; წაქცევა. **დამჯუმა**-მ დამხოზა; წაქცევა“...; ასევე, ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენა“: „**დამხედ** ქვევით; ძირს; პირდაღმა. **დამჯობა**-მ დამხოზა; **დამჯობილი//დამჯუებული** დამხოზილი, დაცემული; დაქცეული).

სიტყვა **დამხე** ძველ ქართულშივე იშვიათად გვხვდება, რაც აძნელებს მისი ეტიმოლოგიის დადგენას, სემანტიკურად კი, როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან (და განმარტებებიდან) ჩანს, სიტყვა **დამხე ზემთა**-ს „მაღლა“ ანტონიმად მოიაზრებოდა: „დაბლა“; „უ(მ)დაბლესი“, „მდაბალი“; *ქვეყანა“ (შდრ.: ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“: „**შამაშ (მზე)** განმანათლებელო უკუნისა, გამაშუქებელო ცისა, დამამხოზებელო ბოროტთა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა!... მწყემსო **დამხე ქვეყანისა**, მფარველო ზესთაისა, გამგებელი და ნათელი ხარ ქვეყანისა შენ, შამაშ, მხოლოო! ...შამაშ, მაღალო მთავარო, მოსამართლე ხარ ცისა და მიწისა, შენ!.. შამაშ, უფალო ცისა და ხმელეთისა, აღმაშენებელი ქალაქისა და სახლისა ხარ შენ! ზედისწერა და ზედის გარდაწყვეტა შენთა ხელთა არს!... შამაშ, მეფე ხარ ცათა და ქვეყანათა, შენ განაგებ ყველაფერს, **ზემოდან დამხემდე**...“); **დამხედ** „მდაბლად“; მიწაზე, მიწის პირს, ძირს, პირდაღმა; აქედან შემდეგ: „დაქცევა“, დამხოზა, დანგრევა; პირქვე დაცემა, წაქცევა“... დამხოზილი, დაცემული; „ნანგრევი“; **დამხე სიტყვა** „წელქვემეთავის“, „მდაბიოთავის“ განკუთვნილი: „დარე“, „მდარე“...

მცენარეთა სახელების (მახოზელი, მახა) ურთიერთმიმართებისათვის ქართულში

ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (1949 წ., 1961 წ.) წარმოდგენილ მცენარეთა სახელების მდიდარ მასალას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ენათა ლექსიკის ენათმეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, თუმცა, ნათელია, რომ იგი ვერ ასახავს რეალურად არსებულ სურათს: ლექსიკონში სრულად არ არის წარმოდგენილი ქართველური ენების, ქართული ენის დიალექტების, ძველი ქართული ენის, სხვადასხვა დროს გამოცემული ლექსიკონების, ცოცხალი მეტყველების სათანადო მონაცემები. ამასთან, როგორც ირკვევა, ცნობილი ბოტანიკოსის მიზანი სულაც არ ყოფილა მცენარეთა სინონიმური სახელების ფონეტიკური ვარიანტების ზედმიწევნით წარმოდგენა, ამიტომ მცენარეთა სახელების ენათმეცნიერული კვლევისას ოდენ აღნიშნულ ლექსიკონზე დაყრდნობით მკვლევრის ანალიზის მიღმა შესაძლოა დარჩეს საგულისხმო ლექსიკური ერთეულები. მაგალითად, ლექსიკონში სარეველა მცენარე **მახოზლის** (*Cephalaria syriaca*) სინონიმურ სახელებს შორის (**მახოზელი** – ქართ., კახ. **მახოზელა**; გრ. კახ. **მამხოზელა**; ფშ. **მახოზელი**; ს. ს. **ორბელიანი მამხოზელი**) არ ჩანს სხვა წყაროებში დადასტურებული საგულისხმო ვარიანტები: *ხევს. აჭა*; *ფშ. მაჯაობელი* (შანიძე 1984); *თუშ. ნაჯობაი, მაჯობაყ* (ხუბუტია 1969; ლლონტი 1984; ცოცანიძე 1999); *მამჯობელი* (ს. ს. **ორბელიანი** 1991).

წარმოდგენილი ვარიანი ფორმები განსაკუთრებით საგულისხმოა ამ ფიტონიმის თავდაპირველი ფუძე-ძირის აღსადგენად. ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა იყოს **მაჯ-ა** (> **მაჯაობელი** /**ნაჯობაი**/**მაჯობაყ**/**მამჯობელი**).

ამ სარეველას სახელს აკავშირებენ ქართული პურის უძველეს სახეობა **მახასთან** (*Triticum macha*), რასაც მცენარის გავრცელების თავისებურებაც ადასტურებს, შდრ: „**მახოზელი** (ქართ. რაზიკ.) *მცენარე. ქართლში პურში იცის მორევა, თუ ბევრი არ ურევია, ძალიან*

აკეთებს და აფაფუკებს პურს“ (ჭყონია 2010); „გლეხი ზოგჯერ სარე-
ველა ბალახს თავის სასარგებლოდ იყენებდა, შემჩნეული ჰქონდა,
რომ ზომიერად შერეული **მახოზელი** პურს კარგ გემოს აძლევდა და,
რაც მთავარია, წებოვნებას მატებდა“ (ჩიტაია 1957); „ხორბლის გა-
ლეწვის შემდეგ ერთმანეთში შერეული მახობლისა და ხორბლის
თესლი ერთად იფქვებოდა. ასეთი ფქვილისაგან გამომცხვარ პურს
მოლურჯო ფერი დაჰკრავს. მახობლიანი პური დიდხანს ინარჩუ-
ნებს სირბილეს“ (ბერიშვილი 2008); „**მამჯობელი** (ბალ.) თესლია პუ-
რის გამაშავებელი და გემოს არ გაურყვნის; ... კაის გემოს მისცემს“
(ს. ს. ორბელიანი 1991).

მახოზელის წარმოდგენილი სინონიმური სახელების ფუძეში
დადასტურებული ჯარი, თავის მხრივ, გვაპარაუდებინებს, რომ
პურის ერთ-ერთი უძველესი ქართული სახეობის აღმნიშვნელი
სახელი უნდა ყოფილიყო არა საყოველთაოდ ცნობილი **მახა**,
არამედ – **მაჯა** და, თუ ეს ვარაუდი მართებულია, განსხვავებულად
წარმოვიდგება ბგერათშესატყვისობის საკითხიც კავკასიურ ენათა
დონეზე.

სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიობავას საკითხავები“

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა (1987-1995)

მოსაზრება მემორიალური სამეცნიერო სესიისათვის გვეწოდებინა **საკითხავები** ეკუთვნის აკად. არნ. ჩიობავას. 1973 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც აკად. ი. მეშჩანინოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე იყო საუბარი და სწავლულ მდივანს რუსული чтения-სათვის (Мещаниновские чтения) ქართული შესატყვისის მოძებნა გაუჭირდა, ბატონმა არნოლდმა ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: ასეთი სესიისათვის შეიძლებოდა **საკითხავები** გვეწოდებინაო...

აკად. არნ. ჩიობავას გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა აზრი დაარსებულიყო მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც სისტემატურად უნდა გამართულიყო. ამ აზრმა სათანადო მხარდაჭერა ჰპოვა, და 1987 წლის 26 მარტს (არნ. ჩიობავას დაბადების დღეს) ჩატარდა „საკითხავების“ I სესია: (I სხდომა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, II – ენათმეცნიერების ინსტიტუტში). პირველი მოხსენება (ა. არაბული, ვ. შენგელია) „საკითხავების“ მემორიალური სამეცნიერო სესიის სახელწოდებად გამოყენების დასაბუთებას მიეძღვნა. ორ სხდომაზე წაკითხული იყო სულ ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა 19 მოხსენება.

II სესიაზე, რომელიც გაიმართა 1990 წელს წარმოდგენილი იყო 9 მოხსენება, III სესიაზე (1992) – 12 მოხსენება, IV სესიაზე (1994) – 11 მოხსენება, V სესიაზე (1995) – 8 მოხსენება, VI სესიაზე (1996) – 18 მოხსენება. ამ ექვსი სესიისათვის დაიბეჭდა მხოლოდ მოსაწვევი ბარათები (სათანადო დღის წესრიგით). შემდეგ, VIII სესიიდან პროგრამასთან (დღის წესრიგთან) ერთად ქვეყნდება თეზისებიც (ზოგჯერ გამონაკლისის სახით – სტატია). 1994 წლიდან სესია

ყოველწლიურად ტარდება. დღემდე ჩატარებულია სულ „არნოლდ ჩიქობავას საკითხავების“ 29 სესია, ამჟამინდელი 30-ეა (საიუბილეო). ამ სესიების პროგრამებში წარმოდგენილია სულ 1200-მდე მოხსენება, ბუნებრივია, ყველა მათგანი არ წაკითხულა. სამწუხაროდ, წაკითხულ მოხსენებათა აღრიცხვა არ გვიწარმოებია (თუ არ ჩავთვლით პირველ სამ სესიას, რომლებზეც ყველა მოხსენება იყო წაკითხული).

ქვემოთ წარმოდგენილია I-VI სამეცნიერო სესიების მოხსენებები იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მოსაწვევ ბარათებში გვაქვს. რაც შეეხება მომდევნო 24 სესიას, მათ შესახებ საჭირო ცნობები, გამოქვეყნებული ბროშურებში (სესიათა მასალებში) ასახულია სათანადოდ.

ვ. შენგელია

2019.12.03.

I სესია, 1987

26 მარტი, 10 საათი (თსუ, 107-ე აუდ.)

აკად. ქ. ლომთათიძე – შესავალი სიტყვა

1. ა. არაბული, ვ. შენგელია – „საკითხავ“ სიტყვის ისტორიისათვის
2. თ. კვაჭანტირაძე – რამდენიმე სიტყვა მოგონებიდან
3. გ. როგავა – არსებით სახელთა გრამატიკული კლასის აფიქსთა შეზრდის საფუძვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში
4. ბ. ჯორბენაძე – ქართული დიალექტების შესწავლის ზოგი საკითხი
5. გ. თოფურიცა – ბრუნების ზოგი თავისებურების შესახებ დიდოურში

6. ევ. ო ს ი ძ ე – სიბილანტთა შესატყვისობის შესახებ ქართველურ ენათა ჰარმონიულ კომპლექსებში
7. ალ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი – ერთი სიტყვის ეტიმოლოგიისათვის დარგულში
8. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე – ტერმინ „ბაცბურის“ შედგენილობისათვის
9. მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – არნ. ჩიქობავა თეორიული ენათმეცნიერების მნიშვნელობის შესახებ

26 მარტი, 3 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

1. ი. ა ს ა თ ი ა ნ ი – სუფიქსაციისათვის ჭანური ვნებითის ფორმებში
2. ოტ. კ ა ხ ა ძ ე – „თაბასარან“ ტერმინის შესახებ
3. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – „ძილის“ აღმნიშვნელი საერთო სიტყვები დაღესტნურ და ნახურ ენებში
4. გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა – მეტყველების აღმნიშვნელი ლექსიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში
5. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – ნათესაობითი ბრუნვა ქართველურ ენებში
6. გ. ხ უ ხ უ ნ ი – შეხედულებანი თარგმანის შესახებ XVIII საუკუნის რუსეთში
7. ნ. ს ტ უ რ უ ა – ბასკური ზმნის ზოგი ტიპოლოგიური ნიშნის შესახებ
8. თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ლ ი – თანდებულები და ზმნისართები თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“
9. ა. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი – „მეტოქე“ სიტყვის ისტორიისათვის
10. ვ. კ ი კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი – რიცხვით სახელთა ბრუნების თავისებურებანი კრიწულში

*

* *

II სესია, 1990 წელი

26 მარტი, 11 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

1. ქ. ლომთათიძე – უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ენებში
2. თ. უთურგაიძე – ანტონი-პირველი ქართული გრამატიკული სისტემის ავტორი
3. ევ. ოსიძე – **აბასკ/აბაზგ** ეთნონიმის წარმომავლობისათვის
4. ბ. ჯორბენაძე – ქართველურ ენათა მორფოლოგიის ზოგი საკითხი
5. ალ. მაჰომეტოვი – ლაბიალიზაციის სპეციფიკა დარგულ ენაში
6. გ. თოფურია – კვლავ ირიბი ფუძის, პალეოერგატივისა და ერგატივის ურთიერთმიმართების შესახებ
7. ო. კახაძე – **დ** თანხმოვნის თაობაზე ლეზგიურ ენებში
8. გ. ბურჭულაძე – **ზარღ** „მზე“ რიგის სიტყვათა აგებულებისათვის ლაკურში
9. ც. ბარამიძე – ფერთა აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინები თაბასარანულში

*

* *

III სესია, 1992 წელი

26 მარტი, 11 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

1. ქ. ლომთათიძე – შ-((|<ს-)) ფუძე-წინდებული აფხაზურსა და აბაზურში
2. ევ. ოსიძე – „ზვინის“ აღმნიშვნელ ფუძეთა შესახებ სვანურში

3. ოტ. კახაძე – არნოლდ ჩიქობავა და „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“
4. თ. ღვინაძე – არნოლდ ჩიქობავა და ქართული პრესის ენა
5. ალ. მაკოშვილი – ან დიფთონგის მონოფთონგიზაცია კუბაჩურში
6. ი. ასათიანი – **ორ** სუფიქსიან სახელის ფუძეთა ბრუნების გამო
7. გ. თოფურიანი – ლაკური ბრუნების ერთი თავისებურების შესახებ
8. ი. ჩანტლაძე – უმლაუტის ქრონოლოგიისათვის სვანურში
9. მ. სუხიშვილი – ერგატიული კონსტრუქცია და ქართველური ზმნა
10. შ. აფრიდონიძე – ენობრივი პარადოქსებისათვის
11. ნ. ზვიადაური – ერთი მცენარის („ვაშლი“) აღმნიშვნელი ლექსემა იბერიულ-კავკასიურ ენებში
12. ზ. ვახანიანი – ქართლურ კილოში შემონახული ერთი არქაიზმის შესახებ

*

* *

IV სესია, 1993 წელი

26 მარტი, 11 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

- ბ. ჯორბენაძე – შესავალი სიტყვა
1. ქ. ლომთათიძე – გასუბსტანტივების ერთი შემთხვევა აფხაზურში
2. გ. რამიშვილი – არნოლდ ჩიქობავა როგორც თეორეტიკოსი
3. ოტ. კახაძე – მცირე ლექსიკური დაკვირვებანი
4. ეკ. ოსიძე – აფხაზური ამგ „წყალი“ სიტყვის წარმომავლობისათვის
5. თ. უთურგაიძე – ობიექტთა მრავლობითობის გამოხატვა ანტონის „ქართულ დრამმატიკაში“
6. გ. თოფურიანი – მეორე გრამატიკული კლასის ისტორიისათვის ნახურსა და დაღესტნურ ენებში

7. გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა – მხატვრული ენის შესახებ
 8. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – ზოგ გარდაუვალ ზმნათა წარმოებისათვის ქართველურ ენებში
 9. მ. ტ ა ბ ი ძ ე – ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიის შესახებ
 10. ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა – ქართველური ეტიმოლოგიები. V. რისუ
 11. ალ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი – სისინა ბგერის დისტანციური ასიმილაცია დარგული ენის ხაიდაყურ დიალექტში
- მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

*

* *

V სესია, 1994 წელი

29 მარტი, 11 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

1. ი. ა ს ა თ ი ა ნ ი – ზმნის ფორმა სახელის ფუძედ ქართულში
2. მ. ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი – ფრაგმენტები მოგონებიდან
3. ევ. ო ს ი ძ ე – ჰარმონიულ კომპლექსთა შესახებ ქართველურ ენებში
4. ალ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი – არნოლდ ჩიქობავა და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“
5. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – გარდაუვალ ზმნათა წარმოებისათვის ქართველურ ენებში
6. ა. ა რ ა ბ უ ლ ი – ქართველურ ენათა მასალის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზის ზოგი პრობლემისათვის არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონის“ მონაცემთა გათვალისწინებით“
7. თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე – აფხაზეთის ტოპონიმიკის ზოგი საკითხი
8. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე – ერთი უბიხური სიტყვის წარმომავლობისათვის

*
* *
*

VI სესია, 1995 წელი

11 აპრილი, 11 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

1. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე – აფხაზ.-დიდ. ს, ს* ≈ ქართ. თ || სთ, თვ, სთვ
ბგერათშესატყვისობა (კ ი თ ი, ს თ ვ ე ლ ი, თ ქ ვ ე ნ, მ ა რ -
თ ვ ე, აფხ. ა ს* ა ხ ა „ორშაბათი“... ფუძეთა ანალიზი) და
ქართ. *თ || <*სთ... ≈ ზან.-სვ. *შთ > ზან. თ, *შთ > სვ. შთ > შდ >
|| შტ შესატყვისობის საკითხი
2. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე – კოორდინაციის საკითხისათვის არნ. ჩიქო-
ბავას „მარტივი წინადადების პრობლემაში“
3. მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – პიროვნება და ენა
4. გ. თ ო ფ უ რ ი ა – ქართველურ ენათა ლექსიკიდან. II. ტყავ-
ძე
5. ოტ. კ ა ხ ა ძ ე – შენიშვნები ლეზგიურ ენათა ფონეტიკის ზოგი-
ერთ საკითხზე
6. ევ. ო ს ი ძ ე – სვანური აფსატ || აფსად ფუძის აფხაზურ-აბაზური
შესატყვისობისათვის
7. ა. ა რ ა ზ უ ლ ი – თ ხმოვანფუძიანი ზოგი სახელის წარმომავლო-
ბისათვის
8. თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე – ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული
ლექსიკა აფხაზურში
9. ნ. ზ ვ ი ა დ ა უ რ ი – დიდოურ ენათა მახვილისათვის
10. ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ქერის ზოგიერთი ჯიშის სახელწოდები-
სათვის ქართულში

12 აპრილი, 11 საათი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

1. ლ. ნ ო ზ ა ძ ე – არნ. ჩიქობავა ფუძედრეკადი ზმნების შესახებ
2. ალ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი – კუბაჩურის შესწავლის ისტორიიდან
(ნ. იაკოვლევი, ლ. ჟირკოვი)
3. ი. ა ს ა თ ი ა ნ ი – ჭანური ზმნის აგებულების საკითხები

4. ა. ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი – „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან („შეფლობა“ და „შეფრობა“)
5. გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – გრამატიკულ კლას-ნიშანთა მონაცვლეობაზე ლაკურ ზმნაში
6. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – კვლავ **ლიზ** „არის“ ზმნის შესახებ სვანურში
7. ე. და თ უ კ ი შ ვ ი ლ ი – აქტიური სემანტიკა **იმალება** ტიპის ზმნებში
8. ნ. ლ ო ლ ა ძ ე – ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისათვის ქართულ ზმნაში

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi

0179 Tel 995 (32) 225 04 84, 6284/6279

995 (32) 225 27 36